მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

მასწავლებლის
სახლი

# მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2015 წლის პროგრამები

სარჩევი

*თავი I* - 3 -

**1. მიზნობრივი პროგრამების სამსახური** - 3 -

1.1 პროგრამა „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ - 3 -

1.2 პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ - 13 -

1.3 პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ - 20 -

1.4 „პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების“ სახელმწიფო პროგრამა 26

*თავი II* - 30 -

**2. სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის სამსახური** - 30 -

2.1 ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) ტრენინგების პროგრამა - 30 -

2.2 „მასწავლებელთა ზოგადი კომპეტენციების განვითარების“ პროგრამა - 36 -

2.3 პროგრამა „საინფორმაციო, საგანმანათლებლო, მეთოდური რესურსი მასწავლებლებისთვის - ჟურნალი „მასწავლებელი“, ინტერნეტგაზეთი “Mastsavlebeli.ge“ - 40 -

2.4 მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის პროგრამა - 45 -

*თავი III* - 47 -

**3. უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახური** - 47 -

3.1 პროგრამა „ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდამჭერა“ - 47 -

3.2 „განათლების მართვის“ პროგრამა - 53 -

3.3 „მაძიებლობისა და დამწყები მასწავლებლის მხარდაჭერის“ პროგრამა - 57 -

3.4 „სასკოლო ქსელების“ პროგრამა - 63 -

3.5 „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მართვის“ პროგრამა - 68 -

3.6 „უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის“ პროგრამა - 73 -

3.7 სკოლის მასწავლებელთა ონლაინ სისტემაში ჩართვა და დამეგობრება ევროპის ქვეყნების მასწავლებლებთან (eTwinning Plus) - 79 -

*თავი IV* - 84 -

**4. სტრატეგიული დაგეგმვისა და ანალიზის სამსახური** - 84 -

4.1 „სტრატეგიული დაგეგმვისა და ანალიზის“ პროგრამა - 84 -

*თავი V* - 89 -

**5. რეგიონული კოორდინაციის სამსახური** - 89 -

5.1 „მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების“ პროგრამა - 89 -

5.2 პროგრამა „ტრენერთა სკოლა“ - 94 -

*დანართი 1* 100

ბიუჯეტი 100

# თავი I

## 1. მიზნობრივი პროგრამების სამსახური

### 1.1 პროგრამა „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად** |
| პროგრამის ხანგრძლივობა | 2015 წელი |
| პროგრამის წლიური ბიუჯეტი | 1,257,000 ლარი |
| დოკუმენტის შემუშავების თარიღი | 2014 წლის დეკემბერი |
| დოკუმენტის დამტკიცების თარიღი | 2015 წლის იანვარი |

**პროგრამის იდეის მოკლე აღწერა**

საქართველო, როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა, ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვან სივრცეში იმყოფება. უცხოური ენების ცოდნის გარეშე შეუძლებელია ამ სივრცეში ინტეგრირება და საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება, ამიტომაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული გეგმის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უდიდესი ყურადღება უცხოური ენების სწავლების ხელშეწყობას ექცევა. ამ მიმართულებით 2011 წლიდან გარკვეული ცვლილებები შევიდა ეროვნულ სასწავლო გეგმაში. კერძოდ, ინგლისური ენა, როგორც პირველი უცხოური ენა პირველი კლასიდან გახდა სავალდებულო, მეორე უცხოური ენა დაწყებითი საფეხურის მეხუთე კლასიდან იწყება. ეროვნული სასწავლო გეგმა ასევე ითვალისწინებს მესამე უცხოური ენის სწავლების შესაძლებლობას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

აღნიშნულმა ცვლილებებმა, ბუნებრივია, გარკვეული გამოწვევები გააჩინა სისტემაში: დღის წესრიგში დადგა პედაგოგების მიერ შესაბამისი პედაგოგიური უნარების დახვეწისა და სასწავლო რესურსების გამოყენების ცოდნის აუცილებლობა. აქცენტი კეთდება საკომუნიკაციო ენის სრულყოფილ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოყენებაზე.

არსებული გამოწვევების საპასუხოდ, 2010 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით განხორციელდა პროექტი, რომლის ფარგლებშიც საქართველოს ყოველწლიურად ინგლისურენოვან მოხალისეთა ჯგუფი სტუმრობს, მოხალისეები ცხოვრობენ მასპინძელ ოჯახებში და დასაქმებული არიან საჯარო სკოლაში, სადაც უცხოური ენის ადგილობრივ მასწავლებლებთან და თემის სხვა წევრებთან თანამშრომლობით აქტიურად ერთვებიან სასკოლო და სათემო ცხოვრებაში. უცხოელ კოლეგებთან ერთად ადგილობრივი პედაგოგები ითავისებენ უცხოური ენის შესწავლის კომუნიკაციური მეთოდის უპირატესობას, სასკოლო სახელმძღვანელოების ეფექტურ გამოყენებას, მოიძიებენ და დაამუშავებენ მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე დამატებით მასალებს და აქტიურად ჩაერთვებიან სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე. მოხალისე პედაგოგთა საქმიანობა სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს:

- პედაგოგებთან თანამშრომლობა და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა გაკვეთილის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებსა თუ საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს კრიტერიუმების გათვალისწინებაში;
- მოსწავლეებში უცხოური ენის ცოდნის დონის ამაღლება;
- ინტერკულტურული, საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღონისძიებების ჩატარება (სასკოლო კლუბები, საზაფხულო ბანაკები და სხვა).

2015 წლიდან პროგრამაში ინგლისურენოვან მოხალისე მასწავლებლებთან ერთად ჩაერთვებიან სხვა უცხოური ენის მასწავლებლები, რათა ხელი შეეწყოს სკოლის მოსწავლეებში, მასწავლებლებსა და ადგილობრივ თემში სხვადასხვა უცხოური ენის ცოდნის დონის ამაღლებასა და კულტურული და სოციალური ღირებულებების ურთიერთგაცვლის პროცესს, რაც გლობალურ სივრცეში საზოგადოების ინტეგრირების წინაპირობაა.

| |
|---|
| პროგრამის მიზნობრივი ჯგუფებია: კვალიფიციურ მოხალისეთა კორპუსი, საჯარო სკოლის მოსწავლეები, საჯარო სკოლის ადგილობრივი უცხოური ენის მასწავლებლები და ადგილობრივი თემი.<br><br>პროგრამის ფარგლებში უცხოელი მოხალისე მასწავლებლების შერჩევა კონკურსის წესით ხორციელდება, ისინი უზრუნველყოფილი არიან ჩამოსასვლელი და გასამგზავრებელი ავიაბილეთებით, ჯანმრთელობის დაზღვევითა და შესაბამისი შრომის ანაზღაურებით. |
| **პროგრამის საჭიროების  დასაბუთება** |
| ახალი ათასწლეულის დადგომასთან ერთად, საქართველომ ახალი მიზნები დაისახა ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან სხვადასხვა სფეროში. დაიწყო აქტიური რეფორმების გატარება ამა თუ იმ სისტემის მოდერნიზაციისა და თანამედროვე, დასავლურ სტანდარტებთან მიახლოებისთვის, რაც უამრავ გამოწვევასა და სირთულესთან აღმოჩნდა დაკავშირებული. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თავის მხრივ, აქტიურად ჩაერთო დაწყებული რეფორმების პროცესში და დაიწყო განათლების სისტემის გარდაქმნა, დასავლური ღირებულებებისა და სტანდარტების დანერგვა. სამინისტროს მიერ დაწყებულ რეფორმებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უცხოური ენების სწავლების ხელშეწყობასა და ზოგადად პედაგოგთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებას დაეთმო, ვინაიდან სწორედ უცხოური ენების სრულყოფილი ცოდნა შეიძლება იყოს საერთაშორისო ბაზარზე ახალგაზრდა თაობების ქმედუნარიანობისა და კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი წინაპირობა.<br><br>აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში აუცილებელია ახალგაზრდებს, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ჰქონდეთ უცხო ენის შესწავლის ხელმისაწვდომობა და იყვნენ არა მხოლოდ ამ ენაზე მოსაუბრე-კომუნიკატორები, არამედ მოაზროვნე-ინდივიდები, რაც ხელს შეუწყობს მათ ერთიან ევროპულ სივრცეში ინტეგრირებას.<br><br>აღსანიშნავია, რომ 2012 წლიდან პროგრამის არეალი გაფართოვდა და ინგლისურ ენასთან ერთად ჩინური ენის სწავლებასაც მოიცავს (ჩინური ენის კომპონენტი ხორციელდება ჩინეთის საელჩოსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის დადებული მემორანდუმის ფარგლებში). 2015 წლის სექტემბრიდან საპილოტე რეჟიმში იგეგმება პროგრამაში გერმანული და ფრანგული ენების დამატება. აღნიშნული ინიციატივა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ კონკრეტული ენების მასწავლებლების დიდ ნაწილს არ მისცემია მშობლიურ ენაზე მოსაუბრე კოლეგასთან პრაქტიკული კომუნიკაციის საშუალება, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ენობრივი კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით.<br><br>უცხოური ენის სწავლა გარკვეული სოციალური და კულტურული კონტექსტის ფარგლებში მიმდინარეობს და არა მხოლოდ ლინგვისტურ, არამედ საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებასაც გულისხმობს. უცხო ენის შესწავლისას კულტურული და სოციოკულტურული კონტექსტების გაცნობა უცხოური ენის გაკვეთილზე ენის სწავლებასთან ერთად უნდა ინტეგრირდეს. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი უცხოური ენების პედაგოგი არამხოლოდ აკადემიურ ცოდნას ფლობდეს, არამედ განსხვავებული კულტურის მიმართაც უღვივებდეს მოსწავლეებს სათანადო ინტერესებს და დამოკიდებულებებს.<br><br>ზემოხსენებული საკომუნიკაციო კომპეტენციების დაუფლებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მოხალისე მასწავლებლისა და ადგილობრივი მასწავლებლის თანამშრომლობა. ამგვარი თანამშრომლობა შედეგად გამოიღებს არა მხოლოდ სწავლის მოტივაციის გაზრდას და მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას, არამედ დადებითად იმოქმედებს ადგილობრივი მასწავლებლების პროფესიულ განვითარებასა და მასწავლებლებს შორის გუნდური მუშაობის პრინციპების უკეთ ათვისებასა და საგნის ინტეგრირებულად სწავლებაზე.<br><br>ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები, კერძოდ თემის ჩართულობა უცხოური ენის შესწავლის პროცესში ხელს შეუწყობს ადგილობრივი თემის მიერ საკომუნიკაციო უნარების განვითარებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ ტურისტულ ზონებში, სადაც მოსახლეობა ტენდენციურად ტოვებს სოფლებს და მიგრირებს ბარში. ქვეყნისთვის კი რეგიონული განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული და სტრატეგიული სფეროა, რისი განხორციელებაც შესაბამისი განათლების გარეშე შეუძლებელია. |

| პრობლემის ანალიზი |
|---|
| ეროვნული სასწავლო გეგმა ერთნაირ პირობებში აყენებს ყველა უცხოური ენის სწავლებას, თუმცა ენის გამოყენების შეზღუდული შესაძლებლობები და ამავდროულად რესურსების უკმარისობა (განსაკუთრებით საქართველოს რეგიონებში) აბრკოლებს უცხოური ენის ადეკვატურ სწავლებას საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. შესაბამისად, ვლინდება, ერთი მხრივ, უცხოური ენის მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების და, მეორე მხრივ, მოსწავლეების აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად ქმედითი ღონისძიებების გატარების საჭიროება.<br><br>აღსანიშნავია, რომ 2014 წლიდან ერთიან ეროვნულ გამოცდებში უცხოური ენის გამოცდას დაემატა მოსმენის კომპონენტი, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეებს თანაბრად უნდა ჰქონდეთ განვითარებული, როგორც წერისა და კითხვის, ასევე სამეტყველო და მოსმენის კომპეტენციები.<br><br>პროგრამის ფარგლებში ჩატარებული არაერთი გამოკითხვის შედეგების თანახმად, პედაგოგთა ნაწილი, მიუხედავად აკადემიური ცოდნისა, აღიარებს ენის პრაქტიკის დეფიციტით გამოწვეულ ხარვეზებს, რაც ართულებს უცხოური ენების სტანდარტის ეფექტიან განხორციელებას, კერძოდ, ისეთი კომპეტენციების განვითარებას მოსწავლეებში, როგორიცაა მოსმენა და ლაპარაკი. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ადგილობრივი მასწავლებლების შესაბამისი საკომუნიკაციო უნარებით აღჭურვა და მომზადება.<br><br>აღნიშნულ გამოწვევებს ესგ-ში განხორციელებული ახალი ცვლილებების თანახმად, კულტურათა დიალოგი, სწავლის სწავლა და უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება დაემატა. პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების თანახმად, გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობა დადებითად აფასებს მოხალისესთან თანამშრომლობის გამოცდილებას და ხაზს უსვამს საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების დახვეწის აუცილებლობას. გამოკითხვის შედეგად მოხალისეების საქმიანობა ხელს უწყობს მოსწავლეებში დამატებით სმენითი და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარებას, ასევე სწავლების ახალი მეთოდის - თანამშრომლობითი სწავლების დანერგვას.<br><br>აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა პროფესიული უნარებისა და საგნობრივი კომპეტენციების თვითშეფასების კვლევის[1] თანახმად, უცხო ენების მასწავლებლები შედარებით კრიტიკულები ორ კომპონენტთან დაკავშირებით არიან: „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება უცხოურ ენაში, ელექტრონული რესურსების გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში თავად შექმნა“ და „უცხოური ენების სწავლებისას ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო-დოკუმენტის მოთხოვნების გათვალისწინება“.<br><br>გარდა ზემოაღნიშნული პრობლემებისა, 2010-2014 წლებში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები მოწმობს, რომ ადგილობრივ მასწავლებელთა უმეტესობა არ ახორციელებს გაკვეთილების რეგულარულ დაგეგმვას, პრობლემები იკვეთება სასწავლო რესურსების შექმნისა და ეფექტური გამოყენების კუთხით, უცხოური ენების სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით, ასევე სკოლებში შეინიშნება ურთიერთთანამშრომლობითი კულტურის შედარებით დაბალი დონე.<br><br>საქართველო ჩართულია ბოლონიის პროცესში და არის ლისაბონის კონვეციის მონაწილე, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს განათლების სისტემა (ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება) აბსოლუტურად შეესაბამება განათლების ევროპულ სტანდარტებს. გამომდინარე აქედან, განათლების სისტემის რეფორმირებისას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მასწავლებელთა პროფესიული კვალიფიკაციის დონის ამაღლება, საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებთან მათი ცოდნის გათანაბრება. |
| მიზნობრივი ჯგუფების/ბენეფიციარების აღწერა/მათი საჭიროებები |

[1]მასწავლებელთა საჭიროებებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შეთავაზებული მომსახურებების, რესურსების და პროგრამების შეფასების კვლევა, 2012 წ. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი.

- უცხოელი მოხალისე-მასწავლებლები;
- ადგილობრივი უცხო ენის მასწავლებლები;
- საჯარო სკოლის მოსწავლეები;
- ადგილობრივი თემი.

**პროგრამის გრძელვადიანი მიზანი**

უცხოური ენების სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობა მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების, სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი პედაგოგიური მეთოდების დანერგვისა და უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენების უზრუნველყოფით.

**პროგრამის სპეციფიური მიზან(ებ)ი**

- ადგილობრივი უცხოური ენების მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მასწავლებელთა ენობრივი კომპეტენციების, სამეტყველო, ზოგად პროფესიული უნარების გაუმჯობესება;
- უცხოური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდების, მათ შორის, თანამშრომლობითი სწავლების დანერგვა სკოლებში;
- მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაზრდა: წერითი, კითხვითი, საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და ინტერკულტურული კომპეტენციების ამაღლება;
- უცხოური ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ადგილობრივ თემში.

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგები | შედეგების მიღწევის გზები |
|---|---|
| ▪ უცხოური ენის ადგილობრივმა მასწავლებლებმა გაიუმჯობესეს საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები. | • ადგილობრივი უცხოური ენის მასწავლებლებისა და უცხოელი მოხალისე მასწავლებლების მიერ გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმვა;<br>• სათანადო მეთოდებისა და სასწავლო რესურსების შერჩევა;<br>• საგაკვეთილო და კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვა;<br>• სადისკუსიო ჯგუფების შექმნა; |
| ▪ სკოლაში დაინერგა ურთიერთთანამშრომლობითი სწავლების მეთოდები. | ▪ ადგილობრივი უცხოური ენის მასწავლებლებისა და უცხოელი მოხალისე მასწავლებლებისთვის ტრენინგის ჩატარება თანამშრომლობითი სწავლებისა და კლასის მართვის შესახებ;<br>▪ ადგილობრივი უცხოური ენის მასწავლებლებისა და უცხოელი მოხალისე მასწავლებლების მიერ ფორმალური და კლასგარეშე აქტივობების (შემეცნებითი და საგანმანათლებლო ღონისძიებები) ერთობლივი დაგეგმვა და განხორციელება. |
| ▪ მოსწავლეებმა გაიუმჯობესეს თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები. | ▪ პროექტ-გაკვეთილების განხორციელება;<br>▪ კლასგარეშე აქტივობების განხორციელება;<br>▪ სხვადასხვა სახის სასკოლო კლუბის ფუნქციონირება;<br>▪ სხვადასხვა სახის შემეცნებით თუ კულტურულ ღონისძიებებში მოსწავლეთა ჩართულობა. |
| ▪ მოსწავლეებს აუმაღლდათ სწავლის მოტივაცია. | ▪ მოსწავლეების ჩართულობა მრავალფეროვან სასწავლო პროექტებში;<br>▪ მოსწავლეთა წახალისების მიზნით სხვადასხვა სახის კონკურსის ჩატარება და შესაბამისი სიგელებით ჯილდოებითა დასაჩქრება. |
| ▪ მოსწავლეებმა გაიუმჯობესეს მოსმენის კომპეტენციები. | ▪ ადგილობრივი და უცხელი მოხალისე მასწავლებლების მიერ ჩატარებული უცხოური ენის გაკვეთილები;<br>▪ კლასგარეშე აქტივობები, რომლებშიც აქტიურად არიან ჩართულები მოსწავლეები და უცხოელი მოხალისე მასწავლებლები;<br>▪ უცხოური ენის შემსწავლელი კლუბის ფუნქციონირება სკოლის ბაზაზე. |

| | |
|---|---|
| ▪ მოსწავლეებმა გაიუმჯობესეს მეტყველების კომპეტენციები. | ▪ ადგილობრივი და უცხელი მოხალისე მასწავლებლების მიერ ჩატარებული უცხოური ენის გაკვეთილები;<br>▪ კლასგარეშე აქტივობები, რომლებშიც აქტიურად არიან ჩართულები მოსწავლეები და უცხოელი მოხალისე მასწავლებლები;<br>▪ უცხოური ენის შემსწავლელი კლუბის ფუნქციონირება სკოლის ბაზაზე. |
| ▪ თემში ხელმისაწვდომი გახდა უცხოური ენის სწავლა და მასთან დაკავშირებული რესურსები. | ▪ ინგლისური ენის კლუბის ფუნქციონირება სკოლის ბაზაზე;<br>▪ მასპინძელ ოჯახის წევრებისთვის უცხოური ენის სწავლება მოხალისე მასწავლებლის მიერ. |
| ▪ ადგილობრივ თემში გაიზარდა ინტერესი უცხოური ენის სწავლისადმი. | ▪ ინგლისური ენის კლუბის ფუნქციონირება სკოლის ბაზაზე, მათ შორის სპეციფიკური სამიზნე ჯგუფებისთვის (მაგ., ადგილობრივი თვითმმართველობის წევრები, ტურისტული სააგენტოების თანამშრომლები და სხვა;<br>▪ სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარება;<br>▪ მოხალისე მასწავლებლის მიერ მასპინძელი ოჯახის წევრებისთვის უცხო ენის გაკვეთილების ჩატარება. |
| ▪ მოსწავლეები და მასწავლებლები, თემის წარმომადგენლები ეცნობიან განსხვავებულ სოციალურ და კულტურულ ღირებულებებს. | • უცხოური ენის კლუბის ფუნქციონირება;<br>• კინოკლუბის ფუნქციონირება;<br>• ექსკურსიების დაგეგმვა და განხორციელება;<br>• მუსიკალური, სპორტული კულტურული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. |

| **პროგრამის შეფასების მთავარი კრიტერიუმები/ინდიკატორები** | | |
|---|---|---|
| **მიზნები/შედეგები** | **ინდიკატორი** | **გადამოწმების წყარო** |
| **პროგრამის გრძელვადიანი მიზანი** | | |
| უცხოური ენების სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობა მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების, სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი პედაგოგიური მეთოდების დანერგვისა და უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენების უზრუნველყოფით | • უცხოური ენის ადგილობრივი მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ მოხალისე მასწავლებლებთან;<br>• უცხოური ენის ადგილობრივ მასწავლებლებს უტარდებათ სხვადასხვა უწყვეტი პროფესიული განვითარების ტრენინგები;<br>• სასკოლო ცხოვრებაში ინერგება და გამოიყენება ურთიერთთანამშრომლობითი მეთოდები და სწავლების ინოვაციური სტრატეგიები;<br>• მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო და კლასგარეშე აქტივობებში, სადაც იუმჯობესებენ ენობრივ კომპეტენციებს მშობლიურ ენაზე | • პროგრამის წლიური ანგარიში<br>• მონიტორინგის ანგარიშების ანალიზი და შეფასება |

| | | |
|---|---|---|
| | მოსაუბრე უცხოელ მასწავლებლებთან პირისპირი ურთიერთობის საფუძველზე. | |
| **პროგრამის სპეციფიური მიზან(ებ)ი** | | |
| ადგილობრივი უცხოური ენების მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მასწავლებელთა ენობრივი კომპეტენციების, სამეტყველო, ზოგად პროფესიული უნარების გაუმჯობესება | ▪ პედაგოგების გარკვეულმა ნაწილმა გაიუმჯობესა საკომუნიკაციო და ზოგადპროფესიული უნარ-ჩვევები: გაკვეთილს მეტწილად წარმართავს ინგლისურ ენაზე; იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს; ეფექტურად იყენებს უცხოური ენის სწავლების სტრატეგიებს, სათანადოდ გეგმავს გაკვეთილებს, გააუმჯობესა ორგანიზაციული, დაგეგმვითი და დროის მართვის უნარები. | ▪ ადგილობრივი მასწავლებლების საგნობრივი გამოცდების შედეგები.<br>▪ მოხალისე მასწავლებელთა ანგარიშები<br>▪ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების ანგარიში<br>▪ მონიტორინგის ანგარიში |
| უცხოური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდების, მათ შორის, თანამშრომლობითი სწავლების დანერგვა სკოლებში; | • სკოლების უმეტესობაში დაინერგა/გაუმჯობესდა ურთიერთთანამშრომლობითი სწავლების მეთოდები;<br>▪ სკოლების გარკვეულ ნაწილში ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს სხვადასხვა სახის კლასგარეშე კლუბები, სადაც მონაწილეობენ სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები ადგილობრივი თემის სხვა წარმომადგენლები. | ▪ მონიტორინგის ანგარიში;<br>▪ მოხალისე მასწავლებელთა ანგარიშები;<br>▪ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების ანგარიში. |
| მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაზრდა: წერითი, კითხვითი, საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და ინტერკულტურული კომპეტენციების ამაღლება; | • მოსწავლეების უმრავლესობას გაუუმჯობესდა უცხოური ენის ცოდნა: აკმაყოფილებს ე.ს.გ-თი დადგენილ მოთხოვნებს; მონაწილეობს სასწავლო პროექტებსა და სხვა სასკოლო ღონისძიებებში; | ▪ მოსწავლეების აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი;<br>▪ მოსწავლეთა ოლიმპიადებისა და კონკურსების შედეგები;<br>▪ მოხალისეთა ანგარიშები. |

| | | |
|---|---|---|
| | • მოსწავლეების გარკვეული ნაწილი ჩართულია დამატებით კლასგარეშე აქტივობებში;<br>• მოსწავლეების გარკვეული ნაწილი მონაწილეობას ღებულობს კლუბების, ბანაკების ფუნქციონირებაში. | |
| უცხოური ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ადგილობრივ თემში. | • ადგილობრივი თემის ნაწილი აქვს შესაძლებლობა ხელი მიუწვდებოდეს უცხოური ენის შესწავლის რესურსებზე. | • მონიტორინგის ანგარიში<br>• მოხალისეთა ანგარიშები |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგები** | | |
| 1. შერჩეული და საჯარო სკოლებში განაწილებულია უცხოელ მოხალისეთა ახალი ნაკადი. | 1.1 პოტენციურ სამიზნე ჯგუფებში გავრცელებულია ინფორმაცია პროგრამისა და მოხალისეთა შესარჩევი კონკურსის შესახებ;<br>1.2 კალენდარული წლის ბოლოსთვის შერჩეულია დაახ. 80 ინგლისურენოვანი მოხალისე მასწავლებელი;<br>1.3 კალენდარული წლის ბოლოსთვის შერჩეულია დაახ. 4 ფრანგულენოვანი მოხალისე მასწავლებელი;<br>1.4 კალენდარული წლის ბოლოსთვის შერჩეულია დაახ. 6 გერმანულენოვანი მოხალისე მასწავლებელი;<br>1.5 მოხალისეთა 95 % -ს წარმატებით აქვს გავლილი მოსამზადებელი საორიენტაციო ტრენინგი. | 1.1.1. ვებგვერდების კონტენტ-ანალიზი;<br>1.2.1.-1.4.1. სარეგისტრაციო ბაზების კონტენტ-ანალიზი;<br>1.5.1. ტრენინგის ანგარიშები;<br>1.5.2. ტრენერთა მიერ მოხალისეთა ინდივიდუალური შეფასებები;<br>1.5.3. მოხალისე მასწავლებელთა შრომითი ხელშეკრულება; |
| 2. უცხოური ენის ადგილობრივმა მასწავლებლებმა გაიუმჯობესეს საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები. | სამიზნე ჯგუფი: დაახ. 200-220 ადგილობრივი უცხოური ენის მასწავლებელი, რომელიც თანამშრომლობს მოხალისე მასწავლებელთან.<br>კალენდარული წლის ბოლოსთვის:<br>ადგილობრივი პედაგოგების დაახ. 80 % -მა (საერთო რაოდენობიდან) გაიუმჯობესა საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები:<br><br>2.1. დავალებების ინსტრუქციებს იძლევა უცხოურ ენაზე, | 2.1.1. მოხალისე მასწავლებლების ყოველთვიური ანგარიშები;<br>2.1.2. ადგილობრივი მასწავლებლების (თვით-შეფასება) გამოკითხვა;<br>2.1.3. საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების ანგარიში. |

| | | |
|---|---|---|
| | 2.2. რეგულარულად იყენებს უცხოურ ენას კლასში და კლასის გარეთ სხვადასხვა აქტივობაში. | |
| 3. სკოლაში დაინერგა ურთიერთთანამშრომლობითი სწავლების მეთოდები. | სამიზნე ჯგუფი: დაახ. 200-220 ადგილობრივი უცხოური ენის მასწავლებელი, რომელიც თანამშრომლობს მოხალისე მასწავლებელთან. კალენდარული წლის ბოლოსთვის:<br><br>3.1 ადგილ. პედაგოგების დაახ. 40%-მა (საერთო რაოდენობიდან) და უცხოელი მოხალისეების 95%-მა გაიარა ტრენინგი თანასწავლებისა და კლასის მართვის შესახებ;<br>3.2 პედაგოგების დაახ. 80 % -მა (საერთო რაოდენობიდან) გაიუმჯობესა უცხოური ენის სწავლების უნარები ერთი ან მეტი მიმართულებით, როგორიცაა: მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, კონკრეტული სასწავლო მეთოდი, ორგანიზაციული, დაგეგმვის, დროის მართვის უნარები.<br>3.3 პედაგოგების დაახ. 80 % -მა (საერთო რაოდენობიდან) მოხალისესთან ერთად განახორციელა მინ. სამი სასწავლო პროექტი და რამდენიმე კლასგარეშე აქტივობა. | 3.1.1. ტრენინგის ანგარიში;<br>3.1.2. მოხალისეთა ანგარიშები;<br>3.1.3. ადგილ. მასწავლებლების გამოკითხვა;<br>3.1.4. საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების ანგარიში. |
| 4. მოსწავლეებმა გაიუმჯობესეს თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები. | სამიზნე ჯგუფი: საჯარო სკოლის დაახ. 10 000 მოსწავლე. კალენდარული წლის ბოლოსთვის:<br><br>4.1. მოსწავლეთა რაოდენობა (საერთო რაოდენობიდან), რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სასწავლო პროექტებსა და სხვა კლასგარეშე აქტივობებში;<br>4.2. მოსწავლეთა რაოდენობა (საერთო რაოდენობიდან), რომლებმაც წარმოაჩინეს ან გაიუმჯობესეს გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები კლასში, კლუბსა თუ ბანაკში | 4.1.1. მოხალისეთა ანგარიშები;<br>4.1.2. მოსწავლეთა გამოკითხვის ანგარიში;<br>4.1.3. ადგილობრივი მასწავლებლების გამოკითხვა. |

| | | |
|---|---|---|
| | განხორციელებული აქტივობების ან ურთიერთობების დროს. | |
| 5. მოსწავლეებს აუმაღლდათ სწავლის მოტივაცია. | სამიზნე ჯგუფი: საჯარო სკოლის დაახ. 10 000 მოსწავლე. კალენდარული წლის ბოლოსთვის:<br><br>5.1. მოსწავლეთა რაოდენობა (საერთო რაოდენობიდან), რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სასწავლო პროექტებსა და სხვა კლასგარეშე აქტივობებში;<br>5.2. მოსწავლეთა რაოდენობა (საერთო რაოდენობიდან), რომლებმაც დაიმსახურეს ჯილდოები, სიგელები, სიმბოლური საჩუქრები. | 5.1.1. მოხალისეთა ანგარიშები;<br>5.1.2. სკოლის დირექციის გამოკითხვის ანგარიში;<br>5.1.3. ადგ. მასწავლებელთა გამოკითხვა;<br>5.1.4. მშობელთა გამოკითხვა;<br>5.1.5. ოლიმპიადებისა და კონკურსების შედეგები |
| 6. მოსწავლეებმა გაიუმჯობესეს მეტყველების კომპეტენციები. | სამიზნე ჯგუფი: საჯარო სკოლის დაახ. 10 000 მოსწავლე. კალენდარული წლის ბოლოსთვის:<br><br>6.1 მოსწავლეთა რაოდენობა (საერთო რაოდენობიდან), რომლებმაც გაიუმჯობესა მეტყველების უნარები ფორმალური და არაფორმალური შეფასებების საფუძველზე. | 6.1.1. მოხალისეთა ანგარიშები<br>6.1.2. ადგილობრივი მასწავლებლების გამოკითხვის ანგარიში;<br>6.1.3. მოსწავლეთა გამოკითხვის ანგარიში;<br>6.1.4. მოსწავლეების აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი. |
| 7. მოსწავლეებმა გაიუმჯობესეს მოსმენის კომპეტენციები. | სამიზნე ჯგუფი: საჯარო სკოლის დაახ. 10 000 მოსწავლე. კალენდარული წლის ბოლოსთვის:<br><br>7.1 მოსწავლეთა რაოდენობა (საერთო რაოდენობიდან), რომლებმაც გაიუმჯობესა საკომუნიკაციო უნარები ფორმალური და არაფორმალური შეფასებების საფუძველზე. | 7.1.1 მოხალისეთა ანგარიშები<br>7.1.2 ადგილობრივი მასწავლებლების გამოკითხვის ანგარიში;<br>7.1.3 მოსწავლეთა გამოკითხვის ანგარიში;<br>7.1.4 მოსწავლეების აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი. |
| 8. თემში ხელმისაწვდომი გახდა უცხოური ენის სწავლა და მასთან დაკავშირებული რესურსები. | სამიზნე ჯგუფი: საჯარო სკოლის დაახ. 10 000 მოსწავლე, დაახ. 400 ადგ. მასწავლებელი და თემის წევრები. კალენდარული წლის ბოლოსთვის:<br><br>8.1 მოსწავლეების, მასწავლებლების, ოჯახის წევრები, თემის სხვა წარმომადგენლების | 8.2.1 სკოლის დირექციის გამოკითხვის ანგარიში;<br>8.2.2 მშობელთა გამოკითხვის ანგარიში<br>8.2.3 მოსწავლეთა გამოკითხვის ანგარიში;<br>8.2.4 ადგ. მასწავლებლების გამოკითხვის ანგარიში;<br>8.2.5 მოხალისეთა ანგარიშები;<br>8.2.6 ენის კლუბებში მონაწილეთა სარეგისტრაციო ფორმა. |

| | | |
|---|---|---|
| | რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს ინფორმაცია სკოლაში ან სკოლის გარეთ არსებული უცხოური ენის შესწავლის შესაძლებლობების შესახებ.<br>8.2 მოსწავლეების, მასწავლებლების, ოჯახის წევრები, თემის სხვა წარმომადგენლების რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს სკოლაში ან სკოლის გარეთ არსებული უცხოური ენის შესწავლის შესაძლებლობებით. | |
| 9. მოსწავლეები, მასწავლებლები, თემის წარმომადგენლები, მოხალისე მასწავლებლები ეცნობიან განსხვავებულ სოციალურ და კულტურულ ღირებულებებს. | 9.1 მოხალისე და ადგილობრივი მასწავლებელის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში ორგანიზებულია მინიმუმ 3 კლასგარეშე აქტივობა (უცხოურ ენაზე მიზნობრივი კინოფილმების ჩვენება, სპორტული ღონისძიებები, ესქკურსიები და სხვა) სოციო-კულტურული ღორებულებების თემატიკაზე. | 9.1.1. სკოლის დირექციის გამოკითხვის ანგარიში;<br>9.1.2. მშობელთა გამოკითხვის ანგარიში<br>9.1.3. მოსწავლეთა გამოკითხვის ანგარიში;<br>9.1.4. ადგ. მასწავლებლების გამოკითხვის ანგარიში;<br>9.1.5. მოხალისეთა ანგარიშები.<br>9.1.6. მოხალისეების მიერ ჩატარებული აქტივობების ფოტო მასლა და მონაწილეთა სია; |

### 1.1.1 *ბიუჯეტი*

პროგრამის ბიუჯეტი მოცემულია დანართში #1.

## 1.2 პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის** |
| პროგრამის ხანგრძლივობა | 2015 წელი |
| პროგრამის წლიური ბიუჯეტი | 3,550,000 ლარი |
| შემუშავების თარიღი | 2014 წლის დეკემბერი |
| დამტკიცების თარიღი | 2015 წლის იანვარი |

**პროგრამის იდეის მოკლე აღწერა**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ერთიან პოლიტიკას ახორციელებს ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ნაბიჯი გადაიდგა ქართული ენის სწავლების მიმართულებით, ერთ-ერთ პრობლემად კვლავ რჩება საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, რასაც შეუძლია შეაფერხოს მათი სრულფასოვანი მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დაბალი ენობრივი კომპეტენციის გამო მასწავლებლები ნაკლებად იცნობენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებს და ნაკლებად მონაწილეობენ პროფესიული განვითარების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიის ფარგლებში, ახორციელებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სახელმწიფო ენის სწავლებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით. ტარდება ისეთი კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს განათლების ხელმისაწვდომობას ეთნიკური უმცირესობებისთვის, ხელს უწყობს სახელმწიფო ენის პოპულარიზაციასა და ასევე, ეროვნული უმცირესობების ენობრივი და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ამავდროულად მნიშვნელოვანია სკოლები, სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები სწავლობენ და ასწავლიან, აკმაყოფილებდნენ ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებს. პედაგოგიური კოლექტივის მიერ ქართული ენის ფლობის დაბალი კომპეტენციების გამო, რისკის ქვეშ დგება სკოლებში სხვადასხვა საგნის ეფექტიანი სწავლება. იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მოსწავლის მისაღწევი სტანდარტი, მასწავლებელს უნდა შეეძლოს იხელმძღვანელოს ეროვნული სასწავლო გეგმით და განახორციელოს სასწავლო პროცესი მასზე დაფუძნებით. ამ პროცესებში ხშირ შემთხვევაში მასწავლებელს ხელს უშლის ქართული ენის ფლობის ნაკლები კომპეტენცია.

არაქართულენოვან სკოლებში, ქართული ენის ფლობისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების, სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი საჭიროებისამებრ გამოაცხადებს პროგრამის მონაწილეთა შესარჩევ კონკურსს.

1. პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ ქართული ენის სერტიფიცირებულ მასწავლებლებს ან მათ, ვინც წარმატებით ჩააბარა ქართული, როგორც მეორე ენის საგნობრივი გამოცდა და აქვთ სკოლაში ქართული ენის მასწავლებლად მუშაობის მინიმუმ ორწლიანი გამოცდილება;
2. პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც სრულყოფილად ფლობენ სახელმწიფო ენას და აქვთ აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მინიმუმ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი შესაბამისი მიმართულებით. პროგრამაში მონაწილეობა ასევე შეუძლია მათ, ვისაც ბოლო 5 წლის განმავლობაში აქვთ შესაბამისი საგნის სწავლების მინიმუმ ორწლიანი უწყვეტი გამოცდილება.
3. პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს, რომლებსაც გავლილი აქვთ საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.

პროგრამაში მონაწილეობის მსურველების რეგისტრაცია მოხდება ელექტრონულად ვებ-გვერდზე www.hr.gov.ge. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ კონკურსის II ეტაპზე გასული ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას. გასაუბრების შედეგად შერჩეული კანდიდატები გაივლიან ინტენსიურ მომზადებას და განაწილდებიან სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის

| |
|---|
| არაქართულენოვან სკოლებში. დამხმარე მასწავლებლები დაეხმარებიან შესაბამისი საგნის ადგილობრივ მასწავლებლებს საგაკვეთილო პროცესის წარმართვაში. ეს, ერთი მხრივ, ხელს უწყობს მოსწავლეთა და პედაგოგთა ცოდნის დონის გაუმჯობესებას საგანში და მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს, ადგილობრივი მოსახლეობის ქართული ენის ფლობის დონეს. ასევე საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსახლეობასთან მჭიდრო ურთიერთობა და არაფორმალური განათლების მიმართულებით ღონისძიებების განხორციელება. პროგრამის მონაწილე დამხმარე მასწავლებლები იცხოვრებენ ადგილობრივ ოჯახებში და რეგიონებში რჩებიან მინიმუმ ერთი აკადემიური წლის მანძილზე. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში შერჩეული მონაწილეები არაქართულენოვან სკოლაში იმუშავებენ მინიმუმ ერთი აკადემიური წლის განმავლობაში, რისთვისაც შესაბამის ანაზღაურებას მიიღებენ. პროგრამაში ორი აკადემიური წლის განმავლობაში წარმატებით მონაწილეობის შემთხვევაში პროგრამის დამხმარე მასწავლებელს დაუფინანსდება სწავლა საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების ან განათლების მეცნიერებების მიმართულებით სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის ოდენობით. |
| **პროგრამის საჭიროების დასაბუთება** |
| სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების მხრიდან სახელმწიფო ენის და საგნობრივი თუ მეთოდური კომპეტენციის არქონის გამო რეგიონის სკოლებში სასწავლო პროცესი ძალიან დაბალ დონეზე მიმდინარეობს. მოსწავლეები ვერ აღწევენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზანს ქართულ ენაში, ისტორიასა და გეოგრაფიაში. |
| **პრობლემის ანალიზი** |
| საქართველოში მცხოვრები ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა ჩვენი სახელმწიფოსთვის. არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების მიღების ხელშეწყობა განათლების რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. ერთიმხრივ, ქართული ენის არასათანადო დონეზე ცოდნის და, მეორე მხრივ, არასაკმარისი საგნობრივი და მეთოდური კომპეტენციის გამო ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სასწავლო პროცესი ვერ იმართება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.<br><br>სახელმწიფო ენის არცოდნის გამო ადგილობრივი მოსახლეობა მოწყვეტილია სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებს და ვერ ახერხებს სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრირებას. |
| **მიზნობრივი ჯგუფების/ბენეფიციარების აღწერა/მათი საჭიროებები** |
| • სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონების არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეები;<br>• პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ სერტიფიცირებული კონსულტანტ-მასწავლებლები<br>• პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ დამხმარე მასწავლებლები (ქართული ენა, ისტორია, გეოგრაფია);<br>• პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მონაწილე ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი დამხმარე მასწავლებლები, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებებით;<br>• სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონების არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი არასერტიფიცირებული ქართული ენის და სხვა საგნების მასწავლებლები; |
| **პროგრამის გრძელვადიანი მიზანი** |
| სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი პედაგოგების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და ქართული ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. |
| **პროგრამის სპეციფიური მიზან(ებ)ი** |
| • არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლებისთვის და მოსახლეობისთვის ქართული ენის სწავლების ხელშეწყობა მათთვის ენის შემსწავლელი კურსების ჩატარების გზით; |

- ადგილობრივ მასწავლებლებში მეთოდური კომპეტენციის ამაღლება:
    - ქართულის, როგორც მეორე ენის სფეროში
    - ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლებისთვის.
- პროგრამის დამხმარე მასწავლებლების მიერ ადგილობრივი მასწავლებლებისთვის კომპეტენტური ასისტირების გაწევის მიზნით მათთვის სათანადო მეთოდური ცოდნის მიწოდება;
- პროგრამის დამხმარე მასწავლებლების საგნობრივი (ქართული ენის სწავლების მიმართულებით) კომპეტენციების განვითარება;
- პროგრამის დამხმარე მასწავლებლების მიერ შესაბამისი ინტერკულტურული და სოციალური კომპეტენციის შეძენა არაფორმალური ღონისძიებების სათანადოდ დაგეგმვის და განხორციელების მიზნით, რათა თემსა და ადგილობრივ მოსწავლე-მასწავლებლებს გაუჩნდეთ ინტერესი და მიმღებლობა სახელმწიფო ენის და სოციო-კულტურის მიმართ.
- პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მონაწილე სერტიფიცირებული კონსულტანტ-მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება პრაქტიკული მუშაობით, რათა მათ თავად სათანადო მაღალხარისხიანი მეთოდური და ენობრივი ტრენინგ-კურსები ჩაუტარონ პროგრამის დამხმარე მასწავლებლებს ან/და ადგილობრივ მასწავლებლებს ან/და თემის წარმომადგენლებს ონლაინ-რესურსების ჩართვით.

| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგები** | **შედეგების მიღწევის გზები** |
|---|---|
| • გაზრდილია სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება ქართულ ენასა და საზოგადოებრივ მეცნიერებებში (ისტორია, გეოგრაფია) გასულ წლებთან შედარებით | • პროგრამის დამხმარე მასწავლებლებისა და ადგილობრივი მასწავლებლების მიერ გავლილ ტრენინგ-კურსებზე მიღებული ცოდნის საფუძველზე მეთოდურად გამართული გაკვეთილების დაგეგმვა;<br>• პროგრამის დამხმარე მასწავლებლებისა და ადგილობრივი მასწავლებლების მიერ გავლილ ტრენინგ-კურსებზე მიღებული ცოდნის საფუძველზე მეთოდურად გამართული გაკვეთილების ჩატარება. |
| • სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონების არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლებმა აიმაღლეს ქართული ენის ცოდნის დონე მინიმუმ ერთი საფეხურით. | • ა1, ა2, ბ1 დაბ2 დონის კურსების ჩატარება (თითოეული დონე შედგება 2 ქვედონისგან, თითოეული ქვედონის მოცულობა - 60 საათი, ანუ 10 კვირა, კვირაში 6 საათის ოდენობით). ნულიდან დაწყების შემთხვევაში შემსწავლელებს სჭირდებათ 2 წელიწადი ოთხივე დონის დასაძლევად (წელიწადში 4 ქვედონე, სულ 40 კვირის მანძილზე).<br>• ადგილობრივი მასწავლებლებისთვის კურსების ჩატარება პროგრამის სერტიფიცირებული კონსულტანტ-მასწავლებლების მიერ ამავე პროგრამის დამხმარე მასწავლებლების ასისტირებით. |
| • სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონის სკოლის მასწავლებლებს გააჩნიათ სათანადო მეთოდური კომპეტენცია იმისთვის, რომ კვალიფიციური გაკვეთილი დაგეგმონ და ჩაატარონ. | ქართული ენის ბ2 დონეზე მცოდნე მასწავლებლებისთვის მეთოდური ტრენინგების ჩატარება (6 ტრენინგ-კურსის მოდული, თითოეული 3 კვირის მოცულობის, წელიწადში სულ 18 კვირა). მიზნობრივი ჯგუფები:<br>• ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები.<br>• ისტორიის და გეოგრაფიის ენასთან ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარების მსურველები (ენისა და საგნის |

| | |
|---|---|
| | ინტეგრირებული სწავლების (ესის / CLIL) კომპეტენციის მისაღებად. კურსებს ატარებენ სერტიფიცირებული კონსულტანტ-მასწავლებლები, ხოლო შემდგომ ეტაპზე ადგილობრივი კადრები, რომლებმაც თავად გაიარეს წარმატებით აღნიშნული ტრენინგები. |
| • პროგრამის დამხმარე მასწავლებლები კვალიფიციურად გეგმავენ და ატარებენ გაკვეთილის ცალკეულ მონაკვეთებს | • სერტიფიცირებული კონსულტანტ-მასწავლებლების მიერ დამხმარე მასწავლებლებისთვის ტრენინგების ჩატარება უწყვეტად მთელი სასწავლო წლის მანძილზე (6 ტრენინგ-კურსის მოდული, თითოეული 6 კვირის ხანგრძლივობით, სულ 36 კვირა). |
| • პროგრამის დამხმარე მასწავლებლების მიერ ქართული სოციოკულტურის გაცნობის და მასთან დაახლოების მიზნით განხორციელებულ კლუბურ და არაფორმალურ ღონისძიებებში, ჩართულია მოსწავლეები, მასწავლებლები და თემის წარმომადგენლები. | • სერტიფიცირებული კონსულტანტ-მასწავლებლების მიერ დამხმარე მასწავლებლების კურატორობა არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით ღონისძიებების დაგეგმვაში: დამხმარე მასწავლებელის მიერ კურატორ კონსულტანტ-მასწავლებელთან შეთანხმებით ღონისძიებების და კლუბური საქმიანობის დაგეგმვა; |
| • პროგრამის სერტიფიცირებულ კონსულტანტ-მასწავლებლებს გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია იმისთვის, რომ ჩაატარონ ხარისხიანი ტრენინგები დამხმარე მასწავლებლებისათვის, ადგილობრივი კოლეგებისთვის და თემის წარმომადგენლებისთვის, როგორც ენის კურსის ასევე მეთოდური მიმართულებით | • ქართულის, როგორც მეორე ენის ექსპერტების მიერ 6 მეთოდურ ტრენინგ-მოდულის შერეულ ფორმატში ჩატარება (პირადი შეხვედრები, მუშაობის ონლაინ-ფაზე ილიაუნის moodle პლატფორმის გამოყენებით) სულ 18 კვირა წლის განმავლობაში. |

| **პროგრამის შეფასების მთავარი კრიტერიუმები/ინდიკატორები** | | |
|---|---|---|
| **მიზნების/შედეგები** | **ინდიკატორი** | **გადამოწმების წყარო** |
| **პროგრამის გრძელვადიანი მიზანი:** | | |
| 1. სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი პედაგოგების პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა/ხელშეწყობა და ქართულის ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. | 1.1 სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი სერტიფიცირებული მასწავლებლების რაოდენობის გაზრდა;<br>1.2 აღნიშნული სკოლების იმ მოსწავლეთა რაოდენობა რომელთა აკადემიური მოსწრება ქართულ ენაში გაიზარდა გასულ წლებთან შედარებით;<br>1.3 აღნიშნული სკოლების იმ მოსწავლეთა რაოდენობა რომელთა აკადემიური მოსწრება საზოგადოებრივი მეცნიერების საგნებში გაიზარდა გასულ წლებთან შედარებით; | 1.1.1- 1.1.3 სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი მასწავლებელთა კომპეტენციის დასადგენი გამოცდის შედეგები; მოსწავლეების პრე- და პოსტტესტები; მოსწავლეების ენის ფლობის დონის დასადგენი ტესტები. |

| პროგრამის სპეციფიური მიზან(ებ)ი: | | |
|---|---|---|
| 1.არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლებისთვის და მოსახლეობისთვის ქართული ენის სწავლების ხელშეწყობა მათთვის ენის შემსწავლელი კურსების (ოთხი დონისა 1-ბ2) ჩატარების გზით; | 1.1 პროგრამის კონსუტანტ-მასწავლებლების და დამხმარე მასწავლებლების მიერ ჩატარებულ ენის კურსებში ჩართული ადგილობრივი მასწავლებლების (%) და მოსახლეობის რაოდენობა (%), რომლებმაც წარმატებით დაასრულეს კურსი | 1.1.1 ტრენინგის სარეგისტრაციო ფორმა (ადგილობრივი მასწავლებლების და მოსახლეობის)<br>1.1.2 ტრენერების შეფასება<br>1.1.3 ენის კურსების ფარგლებში გათვალისწინებული წინასწარი და საბოლოო ტესტირება ყველა მონაწილისათვის ენის ფლობის დონის და დგენის მიზნით. |
| 2. ადგილობრივ მასწავლებლებში მეთოდური კომპეტენციის ამაღლება:<br>ა. ქართულის, როგორც მეორე ენის სფეროში<br>ბ. ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლებისთვის; | 2.1 არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების რაოდენობა (%) რომლებიც მონაწილეობდნენ პროგრამის კონსუტანტ-მასწავლებლების მიერ ჩატარებულ ქმე და CLIL მეთოდურ ტრენინგებში და ატარებენ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად მეთოდურად გამართულ გაკვეთილს | 2.1.1 “ღია გაკვეთილები” და ონლაინ სასწავლო პლატფორმაზე განთავსებული დოკუმენტირებული გაკვეთილები |
| 3.პროგრამის დამხმარე მასწავლებლების მიერ ადგილობრივი მასწავლებლებისთვის კომპეტენტური ასისტირების გაწევის მიზნით მათთვის სათანადო მეთოდური ცოდნის მიწოდება; | 3.1 პროგრამის დამხმარე მასწავლებლების რაოდენობა (%), რომლებიც ატარებენ ეროვნული სასწავლოს გეგმის შესაბამისად მეთოდურად გამართულ გაკვეთილს | 3.1.1 გავლილი ტრენინგ-კურსების შეფასება<br>3.1.2. პროგრამის დამხმარე მასწავლებლების მიერ ონლაინ სასწავლო პლატფორმაზე განთავსებული დოკუმენტირებული გაკვეთილები |
| 4. პროგრამის დამხმარე მასწავლებლების საგნობრივი (ქართული ენის სწავლების მიმართულებით) კომპეტენციების განვითარება; | 4.1 პროგრამის დამხმარე მასწავლებლების რაოდენობა (%), რომლებმაც გაიარეს შესაბამისი ტრენინგები;<br>4.2 პროგრამის დამხმარე მასწავლებლების რაოდენობა (%), რომლებიც ფლობენ ქართული ენის სწავლების მეთოდიკას და ატარებენ ტრენინგებს ადგილობრივი მასწავლებლებისთვის; | 4.1.1 ტრენინგების სარეგისტრაციო ფორმები;<br>4.1.2.ადგილობრივი მასწავლებლების გამოკითხვა |
| 5.პროგრამის დამხმარე მასწავლებლების მიერ შესაბამისი ინტერკულტურული და | 5.1 დამხმარე მასწავლებლების მიერ ჩატარებული არაფორმალური ღონისძიებების სიხშირე და | 5.1.1 თემის წარმომადგენლების, პროგრამის მასწავლებლების, |

| | | |
|---|---|---|
| სოციალური კომპეტენციის შეძენა არაფორმალური ღონისძიებების სათანადოდ დაგეგმვის და განხორციელების მიზნით, რათა თემსა და ადგილობრივ მოსწავლე-მასწავლებლებს გაუჩნდეთ ინტერესი და მიმღებლობა სახელმწიფო ენის და სოციო-კულტურის მიმართ. | მასში ჩართული მოსწავლეების და თემის წარმომადგენლების რაოდენობა (%) | ადგილობრივი მასწავლებლებისა და მოსწავლეების გამოკითხვა.<br>5.1.2.ფოტო მასალა; |
| 6.პროგრამის სერტიფიცირებული კონსულტანტ-მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება პრაქტიკული მუშაობით, რათა მათ თავიანთ მხრივ სათანადო მაღალხარისხიანი მეთოდური და ენობრივი ტრენინგ-კურსები ჩაუტარონ პროგრამის დამხმარე მასწავლებლებს და/ან ადგილობრივ მასწავლებლებს და/ან თემის წარმომადგენლებს ონლაინ-რესურსების ჩართვით. | 6.1 იმ სერტიფიცირებული კონსულტანტ-მასწავლებლების რაოდენობა (%), რომლებმაც პროგრამის ფარგლებში გაიარეს სპეციალური ტრენინგ-კურსი;<br>6.2 იმ სერტიფიცირებული კონსულტანტ-მასწავლებლების რაოდენობა (%), რომლებიც უტარებენ პროგრამის დამხმარე მასწავლებლებს, ადგილობრივ მასწავლებლებს და თემის წარმომადგენელებს ტრენინგ-კურსებს ონლაინ რესურსების ჩართვით | 6.1.1-6.1.2. გავლილი ტრენინგ-კურსების შეფასება; მეთოდურად გადამზადებული მასწავლებლების "ღია გაკვეთილების" შეფასება. ტრენინგების სარეგისტრაციო ფურცელი; ტრენერების შეფასება<br>6.2 სარეგისტრაციო ფორმების ცალკეული ჯგუფებისთვის; ტრენერების ანგარიშები. |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგები** | | |
| 1. გაზრდილია სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება ქართულ ენასა და საზოგადოებრივ მეცნიერებებში (ისტორია, გეოგრაფია) გასულ წლებთან შედარებით | 1.1 სკოლის მოსწავლეების რაოდენობა (%), რომლებიც აღწევენ მინიმუმ ბ2 დონეს ქართულ ენაში სკოლის დამთავრების შედეგად და მათ ნაწილობრივ ქართულად აქვთ ნასწავლი საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, რის შედეგადაც ფლობენ დარგობრივ ლექსიკას. | 1.1.1 მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება და ბ2 დონის დასადგენად ტესტირების ჩატარება |
| 2.რეგიონის სკოლის მასწავლებლები ფლობენ ქართულ ენას მინიმუმ ბ2 დონეზე. | 2.1 ადგილობრივი მასწავლებლების რაოდენობა (%) რომლებიც ჩართული იყვნენ პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ენის კურსებში და გაიუმჯობესეს ენის ფლობის დონე | 2.1.1. პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ენის კურსებით გათვალისწინებული წინასწარი და პოსტ-ტესტირება;<br>2.1.2. ენის კურსზე დასწრების ფურცელი; |
| 3.რეგიონის სკოლის მასწავლებლებს გააჩნიათ | 3.1 არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი | 3.1.1.პროგრამის ფარგლებში გავლილი ტრენინგების |

| | | |
|---|---|---|
| სათანადო მეთოდური კომპეტენცია იმისთვის, რომ კვალიფიციური გაკვეთილი დაგეგმონ და ჩაატარონ. | მასწავლებლების რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ მეთოდურ ტრენინგებში და ატარებენ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის კვალიფიციურ გაკვეთილებს | შეფასება<br>3.1.2. პროგრამის კონსულტანტ-მასწავლებლების დაკვირვება ადგილობრივი მასწავლებლების მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე |
| 4. პროგრამის დამხმარე მასწავლებლები კვალიფიციურად გეგმავენ და ატარებენ გაკვეთილის ცალკეულ მონაკვეთებს | 4.1 პროგრამის დამხმარე მასწავლებლების რაოდენობა (%), რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ მეთოდურ ტრენინგებში და ატარებენ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი კვალიფიციური გაკვეთილის მონაკვეთებს | 4.1.1.ტრენინგზე დასწრების ფორმა.<br>4.1.2.სასწავლო ონლაინ პლატფორმაზე განთავსებული დოკუმენტირებული საგაკვეთილო გეგმები და გაკვეთილები |
| 5. პროგრამის დამხმარე მასწავლებლების მიერ ქართული სოციოკულტურის გაცნობის და მასთან დაახლოების მიზნით განხორციელებულ კლუბურ და არაფორმალურ ღონისძიებებში მოსწავლეების, ადგილობრივი მასწავლებლების და თემის წარმომადგენლების ჩართვა | 5.1. ჩატარებული კლუბური და არაფორმალური ღონისძიებების სიხშირე და რაოდენობა;<br>5.2. აღნიშნულ ღონისძიებებში ჩართული მოსწავლეების, ადგილობრივი მასწავლებლების და თემის წარმომადგენლების რაოდენობა (%) | 5.1.1.-5.1.2.დამხმარე მასწავლებლების ანგარიშები და ადგილობრივი თემის, მასწავლებლების და მოსწავლეების გამოკითხვა |
| 6. პროგრამის სერტიფიცირებულ კონსულტანტ-მასწავლებლებს გააჩნიათ სათანდო კვალიფიკაცია იმისთვის, რომ ჩაატარონ ხარისხიანი ტრენინგები პროგრამის დამხმარე მასწავლებლებისთვის, ადგილობრივი კოლეგებისთვის და თემის წარმომადგენლებისთვის, როგორც ენის კურსის ასევე მეთოდური მიმართულებით | 6.1 პროგრამის სერტიფიცირებულ კონსულტანტ-მასწავლებლების რაოდენობა (%), რომლებმაც გაიარეს მეთოდური ტრენინგი პროგრამის ფარგლებში და თავად უტარებენ ტრენინგებს პროგრამის დამხმარე მასწავლებლებს, ადგილობრივ კოლეგებს და თემის წარმომადგენლებს, როგორც ენის კურსის ასევე მეთოდური მიმართულებით | 6.1.1. მეთოდურ ტრენინგზე დასწრების ფურცელი; ონლაინ სასწავლო პლატფორმაზე განთავსებული დოკუმენტირებული გაკვეთილები |

1.1.2 *ბიუჯეტი*

პროგრამის ბიუჯეტი მოცემულია დანართში #1.

## 1.3 პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **ასწავლე საქართველოსთვის** |
| პროგრამის ხანგრძლივობა | 2015 წელი |
| პროგრამის წლიური ბიუჯეტი | 2,020,000 ლარი |
| შემუშავების თარიღი | 2014 წლის დეკემბერი |
| დამტკიცების თარიღი | 2015 წლის იანვარი |

**პროგრამის იდეის მოკლე აღწერა**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმები მიმართულია ზოგადი განათლების სისტემის განვითარებისა და საჯარო სკოლებში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისკენ. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ნაბიჯი გადაიდგა ამ მიმართულებით, ერთ-ერთ პრობლემად კვლავ რჩება კვალიფიციური კადრების მოზიდვა საქართველოს შორეული და მაღალმთიანი რეგიონების საჯარო სკოლებში. არის შემთხვევები, როცა სკოლას არ ჰყავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის მასწავლებელი, ასევე ხშირია შემთხვევა, როცა საგანს ასწავლის არა სპეციალისტი. არსებულ ვითარებას ადასტურებს შეუვსებელი ვაკანსიები, რომლებიც რეგულარულად ქვეყნდება მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ-გვერდზე (www.teacherjobs.ge) და ფიქსირდება პროგრამის მონაცემთა ბაზაში. ასეთი სიტუაცია, ბუნებრივია, არ უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის თანაბარ ხელმისაწვდომობას ხარისხიან განათლებაზე.

პროგრამის ფარგლებში კონკურსის წესით შერჩეული კონსულტანტ-მასწავლებლები ნაწილდებიან საქართველოს საჯარო სკოლებში შესაბამისი ვაკანსიების შესავსებად. კონსულტანტ-მასწავლებლები სკოლის დირექციასთან თანამშრომლობით, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით და სკოლაში კონკრეტული საგნის სწავლების საჭიროებიდან გამომდინარე, შეიმუშავებენ სამოქმედო გეგმას, ყოველი სასწავლო სემესტრის ბოლოს მოამზადებენ ანგარიშს სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების შესახებ. კონსულტანტ-მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს სწავლების თანამედროვე მეთოდები. მას შესაძლებლობა ექნება, მუდმივად მიიღოს ინფორმაცია ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამების/აქტივობების და მასწავლებლის პროფესიაში არსებული სიახლეების შესახებ. მაქსიმალურად შეუწყოს ხელი სკოლაში სიახლეების დანერგვას. პროგრამის ფარგლებში კონსულტანტ-მასწავლებლები სკოლებში დასაქმდებიან სულ მცირე ერთი აკადემიური წლით და ამ პერიოდის განმავლობაში იზრუნებენ სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც მიიღებენ შესაბამის შრომით ანაზღაურებას.

**პროგრამის საჭიროების დასაბუთება**

დღეისათვის საქართველოს სკოლებში არის მასწავლებელთა ვაკანსიები, რომელთა გამოცხადების შემდეგ თვეები, ზოგჯერ წლები გადის, მაგრამ კვალიფიციური კადრები არ იძებნება. მეორე მხრივ, მასწავლებელთა საჭირო და მოსალოდნელი რაოდენობის შესახებ კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებში მასწავლებლის პროფესია არაპოპულარულია და ისინი იშვიათად ირჩევენ ამ მიმართულებას.

სკოლებში ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობისა და სწავლა-სწავლების გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანია კვალიფიციური კადრების მოზიდვა პროფესიაში. მათთვის ზოგადი პედაგოგიური უნარ-ჩვევების და საგნობრივი კომპეტენციების განვითარებისათვის ტრენინგების ჩატარება და იმ სკოლებში დასაქმება, სადაც არ ივსება ვაკანსიები.

პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია, ასევე, ქვეყნის რეგიონული განვითარებისათვის, რაც ხელს შეუწყობს მიგრაციის პროცესის შემცირებას და უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობას.

**პრობლემის ანალიზი**

საქართველოში საჯარო სკოლის ნებისმიერი მოსწავლისთვის, მიუხედავად იმისა, დედაქალაქში სწავლობს იგი, თუ მაღალმთიანი რაიონის რომელიმე სოფელში, ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა განათლების რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. განსაკუთრებულ ყურადღებას და დახმარებას საჭიროებენ რეგიონის ის სკოლები, სადაც კვალიფიციური მასწავლებლის დეფიციტია და მოსახლეობა ვერ იღებს შესაბამის განათლებას. ასეთ ადგილებში მოსახლეობა ტენდენციურად ტოვებს სოფლებს.

მასწავლებელთა ნაკლებობა ფიქსირდება, როგორც მაღალმთიან რაიონებში, ასევე, საქართველოს სხვა კუთხეებშიც. მასწავლებლის დეფიციტს განიცდიან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში. პროგრამის აქტუალობა კარგად ჩანს სკოლების მიერ გაცხადებული მოთხოვნის საფუძველზე. ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად იკვეთება მოთხოვნა სხვადასხვა საგნის მასწავლებელზე.

საწყის ეტაპზე ჩატარებული გარემოს ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ინფრა-სტრუქტურული, ეკონომიკური თუ სოციალური ხასიათის პრობლემები:

- ზოგიერთი რეგიონის სკოლებში ზოგადად მასწავლებელთა, განსაკუთრებით კი უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებელთა სიმცირე;
- სწავლა-სწავლების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პედაგოგიური უნარ-ჩვევების მქონე კადრების დეფიციტი;
- პრობლემურ სკოლებში დიდი რაოდენობით შეუვსებელი ვაკანსიები;
- ვაკანსიაზე კვალიფიციური კადრების მოძიების სირთულე;
- შრომის დაბალი ანაზღაურება, რაც ნაკლებ მიმზიდველს ხდის მასწავლებლის პროფესიას;

არსებული ვითარების პრევენციისა და სკოლებში ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“.

**მიზნობრივი ჯგუფების/ბენეფიციარების აღწერა/მათი საჭიროებები**

- კონსულტანტ-მასწავლებელი;
- საჯარო სკოლის მოსწავლე;
- საჯარო სკოლის დირექცია;
- ადგილობრივი მასწავლებელი;
- ადგილობრივი თემი.

**პროგრამის გრძელვადიანი მიზანი**

კვალიფიციური კადრების მოზიდვის გზით სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობა და განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში.

**პროგრამის სპეციფიური მიზან(ებ)ი**

- კვალიფიციური კადრების მასწავლებლის პროფესიით დაინტერესება;
- ვაკანსიების კვალიფიციური კადრებით შევსება;
- მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებისა და სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების სასწავლო პროცესში დანერგვა-გამოყენების პროცესის ხელშეწყობა;
- მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაზრდა;
- ადგილობრივი თემის ჩართულობის ხელშეწყობა.

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგები | შედეგების მიღწევის გზები |
|---|---|
| • კვალიფიციური კადრები ინტერესდებიან მასწავლებლის პროფესიით და შემოდიან პროფესიაში: შერჩეულ კადრებს გავლილი აქვთ ეფექტური საორიენტაციო ტრენინგ-კურსი ზოგადი პროფესიული უნარების განვითარების მიმართულებით | • პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია პროგრამის შესახებ ბენეფიციარების ინფორმირება სხვადასხვა ბეჭდური და მედია საშუალებებით.<br>• პროგრამაში პედაგოგთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადება კონსულტანტ-მასწავლებელთა მოსაზიდად. პედაგოგების შერჩევა განხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში.<br>• კონკურსის წესით შერჩეული კადრებისთვის საორიენტაციო ტრენინგების უზრუნველყოფა ზოგად პროფესიულ უნარებსა და პროგრამის |

| | |
|---|---|
| | შინაარსიდან გამომდინარე შესაბამის სპეციფიკურ საკითხებში. |
| • ვაკანტური ადგილები შევსებულია კვალიფიციური კადრებით | • ვაკანსიების იდენტიფიცირება: აღსანიშნავია, რომ მაღალკვალიფიციური მასწავლებლის დეფიციტი ფიქსირდება, როგორც მაღალმთიან ზონებში, ასევე ბარში მდებარე სკოლებშიც. ვაკანსიების იდენტიფიკაცია განხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, როგორც დამოუკიდებლად, ასევე, საგანმანათლებლო რესურსცენტრების დახმარებით, სკოლის დირექციის უშუალო მონაწილეობით და სპეციალურად შემუშავებული ვაკანსიების სარეგისტრაციო ფორმის მეშვეობით;<br>• სკოლების შერჩევა: სკოლების შერჩევა ხორციელდება სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით. შერჩევის ეტაპზე სკოლა წარმოადგენს მასწავლებლის მოთხოვნის ფორმას, სადაც  სკოლის დირექცია უზრუნველყოფს შემდეგი სახის ინფორმაციას: რა საგნ(ებ)ის მასწავლებელი სჭირდება სკოლას და რა საათობრივი დატვირთვით; რა სამუშაო პირობებს სთავაზობს მასწავლებელს; რა რესურსები გააჩნია სკოლას, რომ მასწავლებელმა შეძლოს საკუთარი პროფესიული უნარების რეალიზაცია; დაბინავების რა შესაძლებლობები არსებობს თემში; ინფორმაცია თემის სპეციფიკის შესახებ, გარემო პირობების შესახებ და ა.შ. |
| • ცენტრმა იზრუნა კონსულტანტ-მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე;<br>• კონსულტანტ–მასწავლებლებს აქტიური მონაწილეობა აქვთ მიღებული პროფესიული განვითარების სხვადასხვა ღონისძიებაში | • კონფერენციის, სამუშაო/ინფორმაციული შეხვედრების, სემინარებისა და ტრენინგების ორგანიზება: აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებენ კონსულტანტ-მასწავლებლები და ცენტრის წარმომადგენლები, ასევე მოწვეული სტუმრები/ექსპერტები.<br>ღონისძიებების მიზანია:<br>• კონსულტანტ-მასწავლებლების ერთმანეთთან დაახლოება, გამოცდილების გაზიარება;<br>• კონსულტანტ-მასწავლებლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე  ორიენტირებული ტრენინგების ჩატარება, ტრენინგების თემატიკა და სპეციფიკა განისაზღვრება არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე;<br>• განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეების გაცნობა;<br>• კონსულტანტ-მასწავლებლების მიერ იდენტიფიცირებული მთავარი პრობლემების ერთმანეთისთვის გაზიარება და მათ მოსაგვარებლად გარკვეული გეგმების შემუშავება. |

| | |
|---|---|
| • გაზრდილია ადგილობრივი მასწავლებლების ჩართულობა სკოლის განვითარების პროცესში;<br>• ადგილობრივი მასწავლებლები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა დონის სასკოლო აქტივობებში, კონფერენციებსა და მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამებში;<br>• ადგილობრივმა მასწავლებლებმა იზრუნეს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე. | კონსულტანტ-მასწავლებელი<br>• აწვდის ინფორმაციას განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებისა და პროგრამების შესახებ როგორც მასწავლებლებს, ასევე სკოლის დირექციას;<br>• კოლეგებთან ერთად განიხილავს და აანალიზებს სხვადასხვა პროფესიულ ლიტერატურას: სახელმძღვანელოებს, კვლევებს, მონოგრაფიებს, სტატიებს, ჟურნალს „მასწავლებელი“, საგანმანათლებლო ფილმებს, ასევე სხვა სკოლების გამოცდილებას, ეროვნულ სასწავლო გეგმაში მიმდინარე ცვლილებებს, მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პროგრამებს, საგანმანათლებლო ვებ-გვერდებს;<br>• ხელს უწყობს სკოლებს შორის ურთიერთ თანამშრომლობითი კომუნიკაციის გაუმჯობესებას და ერთობლივი პროექტების განხორციელებას;<br>• თანამშრომლობს დამსაქმებელთან პროგრამით გათვალისწინებული სიახლეების პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგვის მიზნით. |
| • გაზრდილია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება;<br>• მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებებში: პროექტებში, ოლიმპიადებსა და კონფერენციებში;<br>• გაუმჯობესებულია მოსწავლეთა შედეგები სკოლის საატესტატო გამოცდაზე. | კონსულტანტ-მასწავლებელი<br>• ასწავლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანს/საგნებს სკოლაში;<br>• აწარმოებს არაფორმალურ სწავლებას (ქმნის საგნობრივ წრეებს, ატარებს დამატებით გაკვეთილებს, ახორციელებს საგანმანათლებლო და შემეცნებით პროექტებს);<br>• ხელს უწყობს მოსწავლეთა მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებში (ოლიმპიადები, სკოლებს შორისი შეჯიბრებები და სხვა);<br>• იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს;<br>• იყენებს საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და ხელს უწყობს მათ დანერგვას სწავლა-სწავლების პროცესში;<br>• განსაზღვრავს მოსწავლეთა საჭიროებებს და თანამშრომლობს სკოლის დირექციასთან და კოლეგა-მასწავლებლებთან სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით;<br>• გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა ტიპის აქტივობებს მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან და ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან;<br>• ხელს უწყობს სკოლებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებას და ერთობლივი პროექტების განხორციელებას;<br>• კონკრეტული საგნის პრობლემატიკიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, სასწავლო სემესტრის დასაწყისში შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, ხოლო სასწავლო სემესტრის ბოლოს ამზადებს შესაბამის ანგარიშს. |

| | |
|---|---|
| • გაზრდილია სასკოლო ცხოვრებაში ადგილობრივი თემის ჩართულობის ხარისხი. | <u>კონსულტანტ-მასწავლებელი</u><br>• გეგმავს და ახორციელებს ისეთ პროექტებს, რომლებშიც ჩართულია სკოლის პედ-კოლექტივი და მოსწავლეები, ასევე მშობლები და თემის სხვა წარმომადგენლები მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობა და სხვა. |

| **პროგრამის შეფასების მთავარი კრიტერიუმები/ინდიკატორები** | | |
|---|---|---|
| **მიზნები/შედეგები** | **ინდიკატორი** | **გადამოწმების წყარო** |
| **პროგრამის გრძელვადიანი მიზანი:** | | |
| 1. კვალიფიციური კადრების მოზიდვის გზით სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობა | 2015 წლის ბოლოსთვის:<br>• ვაკანსიების რაოდენობა;<br>• ვაკანტური ადგილების 60% შევსებულია;<br>• გამოცხადებულია კონკურსი 2015 წლის მაისიდან ივნისის ჩათვლით. | ▪ მონიტორინგის ანგარიში;<br>▪ პროგრამის წლიური შედეგების ანალიზი და შეფასება;<br>▪ კონსულტანტ-მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი სემესტრული ანგარიში; |
| **პროგრამის სპეციფიური მიზან(ებ)ი:** | | |
| 1. კვალიფიციური კადრების მასწავლებლის პროფესიით დაინტერესება, მოზიდვა და ვაკანტური ადგილების შევსება; | 2015 წლის ბოლოსთვის:<br>▪ კონსულტანტ-მასწავლებლების რაოდენობის დაახ. 10-15%-ით გაზრდა;<br>▪ სკოლებში არსებული მასწავლებლის ვაკანტური ადგილები შევსებულია;<br>▪ შერჩეულია (სერტიფიცირებული ან ტესტირებაზე წარმატებით გასული) კვალიფიციური კადრები;<br>▪ 2015 წლის კონსულტანტ-მასწავლებელთა შესარჩევ კონკურსზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გაზრდილია;<br>▪ 2015 წელს პროგრამის კურსდამთავრებულთა დაახ. 10 % აგრძელებს საქმიანობას საგანმანათლებლო სფეროში. | ▪ ვაკანსიების ვებ-გვერდის და მასწავლებელთა რეგისტრაციის მონაცემების ანალიზი;<br>▪ ტესტირების შედეგები და ტრენერთა ანგარიშები;<br>▪ პროგრამის მონიტორინგის შედეგების შეფასების ანგარიში 2015 წლის ბოლოს; |
| 2. ადგილობრივი მასწავლებლებისთვის განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეების გაცნობა; | ▪ კონსულტანტ-მასწავლებლების მიერ მოწყობილი ღია შეხვედრები ადგილობრივი მასწავლებლების ინფორმირებისთვის;<br>▪ კონსულტანტ-მასწავლებლის მიერ ორგანიზებული საინფორმაციო შეხვედრა ადგილობრივი მასწავლებლებისთვის სემესტრის დასაწყისში;<br>შეხვედრას დაესწრო სკოლის პედაგოგების 80%. | ▪ პროგრამის მიმდინარეობის შესახებ მონიტორინგის ანგარიშები;<br>▪ კონსულტანტ მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი სემესტრული ანგარიშები. |
| 3. ადგილობრივი თემის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა. | ▪ კონსულტანტ- მასწავლებლების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში ჩართულია/დაესწრო ადგილობრივი თემის წარმომადგენლები (მშობლები, მასწავლებლები)<br>▪ კონსულტანტ- მასწავლებელმა განახორციელა პროექტი თემის წარმომადგენლებთან ერთად. | ▪ პროგრამის მიმდინარეობის შესახებ მონიტორინგის ანგარიში;<br>▪ სკოლის დირექციის, ადგილობრივ პედაგოგთა და მშობელთა გამოკითხვის შედეგები;<br>▪ კონსულტანტ-მასწავლებლის სემესტრული ანგარიში. |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგები | | |
|---|---|---|
| 1. კვალიფიციური კადრები შემოდიან მასწავლებლის პროფესიაში; | ▪ შერჩეული კადრების 50 % ფლობს მასწავლებლობის დამადასტურებელ, შესაბამის სერტიფიკატს;<br>▪ კონკურსის გავლის შემდეგ საშუალოზე მაღალი შედეგი აჩვენა შერჩეულ კონკურსანტთა 40% -მა; | ▪ კონკურსანტის დიპლომის დანართი;<br>▪ კონკურსანტთა სერტიფიკატები<br>▪ ტესტირების შედეგები<br>▪ ტრენერების ანგარიშები. |
| 2. ვაკანტური ადგილები შევსებულია კვალიფიციური კადრებით; | • ვაკანსიების რაოდენობა;<br>• ვაკანტური ადგილების 60% შევსებულია;<br>• გამოცხადებულია კონკურსი 2015 წლის მაისიდან ივნისის ჩათვლით. | ▪ ვაკანსიების მონაცემთა ბაზის ანალიზი;<br>პროგრამის წლიური შედეგების ანალიზი. |
| 3. კონსულტანტ–მასწავლებლებს აქტიური მონაწილეობა აქვთ მიღებული მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ სხვადასხვა ღონისძიებაში. | • 2015 წლის განმავლობაში კონსულტანტ-მასწავლებლების დაახ. 80-85 % ჩართულია ქვეყანაში მიმდინარე მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ სხვადასხვა ღონისძიებაში. | ▪ შეხვედრების / კონფერენციების ანგარიშები;<br>▪ მონიტორინგის ანგარიში;<br>▪ მონაცემთა ერთიანი ბაზა. |
| 4. გაზრდილია ადგილობრივი მასწავლებლების ჩართულობა სასკოლო აქტივობებში. | • შესაბამის საგნობრივ ჯგუფებში ადგილობრივი მასწავლებლების 80% ჩართულია სასკოლო ღონისძიებებში. | ▪ სკოლის დირექციის და ადგილობრივი მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები;<br>▪ კონსულტანტ მასწავლებელთა სემესტრული ანგარიშები |
| 5. გაზრდილია მოსწავლეთა აკადემიური მაჩვენებლები; | • კონსულტანტ-მასწავლებლების მოსწავლეების 60% წარმატებით გადის სკოლის საატესტატო გამოცდას. | • საატესტატო გამოცდების შედეგები |
| 6. მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა დონის სასკოლო ღონისძიებებში: პროექტებში, ოლიმპიადებსა და კონფერენციებში | • 2015 წელს მოსწავლეების 80% ჩართულია სასკოლო ღონისძიებებსა და აქტივობებში სკოლის დონეზე;<br>• კონსულტანტ-მასწავლებლების მოსწავლეების 20% მონაწილეობას იღებს ოლიმპიადებში საქართველოს მასშტაბით; | ▪ სემესტრული ანგარიშები; |
| 7. ადგილობრივი თემი ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში. | • სასკოლო ცხოვრებაში ადგილობრივი თემის წარმომადგენლების (მშობლების, მასწავლელების, სკოლის ადმინისტრაცია, თვითმმართველობების) ჩართულობის ხარისხის გაზრდა გასულ წელთან შედარებით. | • მონიტორინგის შედეგები (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) |

### *1.3.1. ბიუჯეტი*

პროგრამის ბიუჯეტი მოცემულია დანართში #1.

## 1.4 „პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების“ სახელმწიფო პროგრამა

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამა** |
| პროგრამის ხანგრძლივობა | 2015 წელი |
| პროგრამის წლიური ბიუჯეტი | 235,000 ლარი |
| შემუშავების თარიღი | 2014 წლის დეკემბერი |
| დამტკიცების თარიღი | 2015 წლის იანვარი |
| **პროგრამის იდეის მოკლე აღწერა** | |
| საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი პროფესიული განათლების მასწავლებლის განვითარება და ამ პროფესიის პრესტიჟის ამაღლებაა. პროფესიულ განათლებაში დაწყებული ცვლილებები მასწავლებლებს განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე აყენებს. იმისათვის, რომ ამ გამოწვევებს უპასუხონ, მასწავლებლებს დახმარება ესაჭიროებათ პროფესიული განვითარების სხვადასხვა ღონისძიებებით.<br><br>პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი არის საქართველოს საჯარო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლები.<br><br>სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა პროგრამის „პროფესიული სტანდარტები განათლებაში“ ფარგლებში ბოლო სამი წლის განმავლობაში (2011-2013) მნიშვნელოვანი აქტივობები განახორციელა საჯარო პროფესიული კოლეჯების მასწავლებელთა პროფესიული კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. გასული 2014 წლიდან პროგრამა „პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება“ ფუნქციონირებს დამოუკიდებელი სახელმწიფო პროგრამის სტატუსით. პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა ყოველ წელს იზრდება და პროგრამის მასშტაბიც მნიშვნელოვნად ფართოვდება.<br><br>2015 წელს პროგრამას მნიშვნელოვანი ღონისძიებები აქვს დაგეგმილი პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარებისათვის, რათა სწავლების პროცესი ხარისხიანი და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი იყოს. განვლილ წლებში დაგროვებული გამოცდილების გათვალისწინებით და ასევე თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებით მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას სისტემური და სისტემატური ხასიათი ექნება. გაგრძელდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ღონისძიებები ზოგად პედაგოგიურ უნარებში; გაგრძელდება ტრენინგები საწარმოებში და მისი მასშტაბი სამჯერ გაიზრდება; ჩამოყალიბდება მასწავლებელთა სავალდებულო პედაგოგიური კურსის პროექტი; შეიქმნება სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის პედაგოგიკაში; დაიწყება თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მასწავლებელთა განვითარებისათვის დაგეგმილი ღონისძიებებთან დაკავშირებით; ჩატარდება მასწავლებელთა გამოკითხვები და სისტემატური შეხვედრები ინფორმაციის გაცვლისა და პრობლემების იდენტიფიცირების, ასევე მათი პრევენციის ან ინტერვენციის მიზნით. | |
| **პროგრამის საჭიროების დასაბუთება** | |
| პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა, გარდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა, მუშაობს ასევე კონცეფციაზე, რომლის ფარგლებშიც გათვალსიწინებულია პროფესიაში ახალი კადრების მოზიდვა, არსებული კვალიფიციური კადრების პროფესიაში შენარჩუნება და მათი განვითარების ხელშეწყობა.<br><br>მოცემულ ეტაპზე პრობლემას წარმოადგენს პროფესიული განათლების პედაგოგთა პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოუყალიბებლობა, რაც უარყოფითად აისახება მასწავლებელთა პროფესიული განვითარებაზე ყველა დონეზე, როგორც დამწყები, ასევე პროფესიაში მყოფი და მასწავლებლობის მსურველებისათვის, ეს კი თავის მხრივ ნეგატიურ გავლენას ახდენს სწავლების ხარისხზე.<br><br>აქედან გამომდინარე, აუცილებელია უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ეფექტური და შედეგიანი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება როგორც პედაგოგიური უნარების, ასევე პროფესიული კომპეტენციების ამაღლების მიმართულებით. მასწავლებელთა პროფესიული | |

განვითარების ღონისძიებების დასაგეგმად მნიშვნელოვანია მათი აკადემიური საჭიროებებისა და განწყობა-დამოკიდებულებების კვლევა. პროფესიული განვითარების ყველა ღონისძიება უნდა პასუხობდეს მასწავლებელთა საჭიროებებს და უნდა ექცეოდეს მათი ინტერესის სფეროში, რათა ეს ღონისძიებები შედეგიანი იყოს როგორც მასწავლებლისთვის, ასევე აისახოს სწავლების ხარისხზე და სტუდენტების სწავლის შედეგებზე. პროფესიული განათლების მასწავლებელთა შესახებ არსებული კვლევები აჩვენებს, რომ პროფესიული სწავლების მასწავლებელთა ერთ-ერთ უმთავრეს აკადემიურ საჭიროებას წარმოადგენს პროფესიული განვითარების ტრენინგები დამსაქმებლებთან და საწარმოებში. არსებული პირობებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, პროგრამა უშუალოდ პასუხობს პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა საჭიროებებს და მიმართულია მათი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობაზე. პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და განვითარების კონცეფციის საფუძველზე შემუშავდება სამოქმედო გეგმა, მოხდება მისი პილოტირება და დანერგვა.

**პრობლემის ანალიზი**

პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და განვითარების ერთიანი სისტემის აქამდე არარსებობის გამო, მასწავლებლების განვითარების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებები არაორაგნიზებულ და არასისტემურ ხასიათს ატარებდა. ასევე არ ხდებოდა პროფესიული განვითარების ღონისძიებების შედეგების შეჯამება და მათი პრაქტიკაში გამოყენების ანალიზი.

მასწავლებელთა არსებულ რაოდენობაზე ყოველწლიურად განხორციელებული დაკვირვების თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ პროფესიულ განათლებაში მასწავლებელთა სამუშაო ადგილზე დასაქმება საკმაოდ არასტაბილური პროცესია, რამაც საჭირო გახადა მოდულური სწავლების დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს მასწავლებელთა არსებული რაოდენობის სტაბილურობას, ასევე ის საშუალებას მოგვცემს მასწავლებელთა პროფესიული ცოდნა და უნარები კონკრეტულ მოდულთან მიმართებაში განისაზღვროს.

**მიზნობრივი ჯგუფების/ბენეფიციარების აღწერა/მათი საჭიროებები**

საჯარო და კერძო პროფესიული საგანამანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლები.
პროფესიული განვითარების ღონისძიებები:

- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
- ინკლუზიური განათლება
- მასწავლებელთა ტრენინგები მოდულურ სწავლებაში;
- მასწავლებელთა ტრენინგები საწარმოებში;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და განვითარების კონცეფციის პროექტის შემუშავება;
- სახელმძღვანელოს შემუშავება როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე მასწავლებლობის მსურველებისათვის.

პროგრამაში ჩართული მხარეები და პარტნიორები: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები, პროფესიული ასოციაციები, დონორი ორგანიზაციები.

**პროგრამის გრძელვადიანი მიზანი**

პროგრამის მიზანია პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და განვითარების ერთიანი სისტემის შექმნა და დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს მასწავლებელთა პროფესიული ცოდნისა და უნარების შესაბამისობას პროფესიული სტანდარტთან და მოდულური სწავლებით გათვალისწინებულ შედეგებთან.

**პროგრამის სპეციფიური მიზან(ებ)ი**

- მასწავლებელთა განვითარებული უნარები მოდულურ სწავლებაში;
- მასწავლებელთა მომზადება ინკლუზიურ განათლებაში;
- მასწავლებელთა მომზადება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაში;
- მასწავლებელთა გადამზადება საწარმოებში და დამსაქმებლებთან;
- დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნა მასწავლებლებისთვის;

| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგები** | **შედეგების მიღწევის გზები** |
|---|---|

| | |
|---|---|
| მასწავლებელთა არსებული რაოდენობის მინიმუმ 50%-ს ჩაუტარდა ტრენინგები მოდულურ სწავლებაში; | ტრენინგის დაგეგმვა-განხორციელება. |
| მასწავლებელთა მინ. 50%-ს ჩაუტარდა ტრენინგები ინკლუზიურ განათლებაში; | ტრენინგის დაგეგმვა-განხორციელება. |
| მასწავლებელთა მინიმუმ 50%-ს ჩაუტარდა ტრენინგები ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაში; | ტრენინგის დაგეგმვა-განხორციელება. |
| მასწავლებელთა არსებული რაოდენობის მინიმუმ 30 %-მა გაიარა საწარმოებში ტრენინგები; | საწარმოებში და დამსაქმებლებთან ტრენინგების დაგეგმვა-განხორციელება. |
| შეიქმნა დამხმარე სახელმძღვანელო პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის და მასწავლებლობის მსურველთათვის; | ცენტრის მიერ დაქირავებული ექსპერტების მიერ სახელმძღვანელოს შექმნა, რომელიც დაეფუძნება, ერთი მხრივ, მასწავლებლის სტანდარტს, ხოლო მეორე მხრივ, პროფესიულ სტანდარტებსა და მოდულური სწავლებს პრინციპებს. |

| **პროგრამის შეფასების მთავარი კრიტერიუმები/ინდიკატორები** | | |
|---|---|---|
| **მიზნები/შედეგები** | **ინდიკატორი** | **გადამოწმების წყარო** |
| **პროგრამის გრძელვადიანი მიზანი** | | |
| ▪ პროგრამის მიზანია პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და განვითარების ერთიანი სისტემის შექმნა და დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს მასწავლებელთა პროფესიული ცოდნისა და უნარების შესაბამისობას პროფესიული სტანდარტთან და მოდულური სწავლებით გათვალისწინებულ შედეგებთან. | ▪ პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და განვითარების კონცეფციის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა შემუშავებული და დამტკიცებულია დადგენილ ვადებში.<br>▪ მასწავლებელთა ტრენინგების დროს შეფასებული მასწავლებელთა მინ. 50 % ფლობს მოდულური სწავლებით გათვალისწინებულ შესაბამის ცოდნას და უნარებს. | ▪ კონცეფციის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა.<br>▪ ტრენერთა ანგარიშები და შეფასებები. |
| **პროგრამის სპეციფიური მიზან(ებ)ი** | | |
| ▪ მასწავლებელთა განვითარებული უნარები პროფესიულ მოდულურ სწავლებაში. | ▪ მასწავლებლის სტანდარტის მიხედვით გადამზადებულია მასწავლებელთა მინ. 50 %. | ▪ ტრენინგმოდული პედაგოგიურ უნარებში;<br>▪ ტრენინგებზე დასწრების რეგისტრაციის ფურცლები. |
| ▪ მასწავლებელთა განვითარებული უნარები ინკლუზიურ განათლებაში; | ▪ ინკლუზიურ განათლებაში გადამზადებულია მასწავლებელთა მინ. 50 % | ▪ ტრენინგმოდული ინკლუზიურ განათლებაში;<br>▪ ტრენინგებზე დასწრების რეგისტრაციის ფურცლები |
| ▪ მასწავლებელთა განვითარებული უნარები ინფორმაციულ-საკომუნიკაციო | ▪ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაში | ▪ ტრენინგმოდული ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაში; |

| | | |
|---|---|---|
| ტექნოლოგიების გამოყენებაში. | გადამზადებულია მასწავლებელთა მინ. 50 % | ▪ ტრენინგებზე დასწრების რეგისტრაციის ფურცლები. |
| ▪ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ღონისძიებები საწარმოებში და დამსაქმებლებთან. | ▪ მასწავლებელთა მინ. 30 % სამინისტროს მიერ დასახელებულ პრიორიტეტულ მიმართულებებში გადამზადებულია დამსაქმებლებთან და საწარმოებში. | ▪ საწარმოში ტრენინგების გეგმა ▪ ფასილიტატორების მიერ შემუშავებული ტრენინგმოდული. ▪ მასწავლებელთა ხელმოწრებით დადასტურებული რეგისტრაციის ფურცლები. |
| ▪ დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნა მასწავლებლებისთვის; | ▪ სახელმძღვანელოს ელექტრონული და/ან ბეჭდური ვერსია ვერსია შექმნილია დადგენილ ვადებში. | ▪ ცენტრის ვებგვერდი |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგები** | | |
| ▪ მასწავლებელთა არსებული რაოდენობის მინიმუმ 50 %-ს გავლილი აქვს ტრენინგები პროფესიულ უნარებში; | ▪ არანაკლები 300 მასწავლებელი დაესწრო ტრენინგს პროფესიულ უნარებში; | ▪ მასწავლებელთა ხელმოწერები ▪ ტრენერთა ანგარიშები |
| ▪ მასწავლებელთა მინ. 50 %-ს გავლილი აქვს ტრენინგები გაიაროს ინკლუზიურ განათლებაში; | ▪ არანაკლები 300 მასწავლებელი დაესწრო ტრენინგს ინკლუზიურ განათლებაში; | ▪ მასწავლებელთა ხელმოწერები ▪ ტრენერთა ანგარიშები |
| ▪ მასწავლებელთა მინიმუმ 50 %-ს გავლილი აქვს ტრენინგები ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაში; | ▪ არანაკლები 300 მასწავლებელი დაესწრო ტრენინგს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაში; | ▪ მასწავლებელთა ხელმოწერები ▪ ტრენერთა ანგარიშები |
| ▪ მასწავლებელთა არსებული რაოდენობის მინიმუმ 30 %-მა გაიარა საწარმოებში ტრენინგები პრიორიტეტული მიმართულებით; | ▪ პრიორიტეტულ მიმართულებების არანაკლებ 50 მასწავლებელმა გაიარა ტრენინგი საწარმოში და დამსაქმებელთან. | ▪ მასწავლებელთა ხელმოწერები ▪ ტრენერთა ანგარიშები ▪ ფასილიტატორების ანგარიშები |
| ▪ შეიქმნა და ხელმისწავდომია დამხმარე სახელმძღვანელო პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის და მასწავლებლობის მსურველთათვის. | ▪ არსებობს სახელმძღვანელოს ელექტრონული და ბეჭდური ვერსიები; ▪ ყველა საჯარო სკოლა ფლობს სახელმძღვანელოს ელექტრონული და/ან ბეჭდური ფორმით. | ▪ საინფორმაციო წერილი და/ან მიღება-ჩაბარების აქტები სასწავლებლებთან |

### *1.4.1. ბიუჯეტი*

პროგრამის ბიუჯეტი მოცემულია დანართში #1.

# თავი II

## 2. სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის სამსახური

### 2.1 ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) ტრენინგების პროგრამა

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) ტრენინგების პროგრამა** |
| პროგრამის ხანგრძლივობა | 2015 წელი |
| პროგრამის წლიური ბიუჯეტი | 1,376,000 ლარი |
| შემუშავების თარიღი | 2014 წლის დეკემბერი |
| დამტკიცების თარიღი | 2015 წლის იანვარი |
| **პროგრამის იდეის მოკლე აღწერა** | |
| განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთ სტრატეგიულ ამოცანას სწავლა-სწავლების შედეგების გასაუმჯობესებლად წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანი დანერგვის უზრუნველყოფა.<br><br>ისტ-ის დასანერგად აუცილებელი პირობაა მასწავლებლებისა და სკოლის დირექციის შესაბამისი უნარებით აღჭურვა, რათა მათ თავის მხრივ უზრუნველყონ ციფრული კულტურის სკოლაში დამკვიდრება, მოსწავლეებში 21-ე საუკუნის შესაბამისი კომპეტენციების განვითარება.<br><br>ამ პრიორიტეტული ამოცანის მისაღწევად ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგების პროგრამის ფარგლებში შემდეგი აქტივობები განხორციელდება: ისტ კომპეტენციების სტანდარტი შემუშავდება მასწავლებლებისთვის; უკვე არსებული ისტ ტრენინგ-კურსები გაგრძელდება, საგანმანათლებლო ტექნოლოგიების მიმდინარე ტენდენციების მიხედვით ახალი ტრენინგ-კურსები მომზადდება და განხორციელდება მასწავლებლებისთვის, დირექტორებისა და ბიბლიოთეკარებისთვის, მათ შორის სხვადასხვა საგანში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირების ხელშესაწყობად. ციფრული რესურსების საცავის შევსება გაგრძელდება ახალი ინსტრუმენტებით, ეროვნული კონფერენცია მოეწყობა საგანმანათლებლო ტექნოლოგიებსა და მათი სკოლაში გამოყენების შესახებ, ინოვაციური სწავლების პრაქტიკის კვლევა განხორციელდება. | |
| **პროგრამის საჭიროების დასაბუთება** | |
| ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარებაზე მთელს მსოფლიოში, მნიშვნელოვნად შეცვალა ადამიანის ცხოვრების, საქმიანობისა და კომუნიკაციის სტილი რამაც, თავის მხრივ, სასწავლო გარემოს ტრანსფორმაციის აუცილებლობა მოითხოვა. ეს ცვლილებები სწავლების ახალი მიდგომების შემუშავებას და დანერგვას მოითხოვს, რომელიც მიმართული იქნება მოსწავლეებში XXI საუკუნის უნარებით აღჭურვისაკენ, მათი ცოდნის საზოგადოების კონკურენტუნარიან წევრებად ჩამოყალიბებისკენ.<br><br>ტექნოლოგიების საშუალებით შესაძლებელი ხდება განათლების სისტემა გახდეს უფრო მოქნილი, ინდივიდუალური მოსწავლის საჭიროებაზე მორგებული, სადაც მოსწავლე თვითრეგულირებადი მსწავლელია და აქტიურად შეაქვს წვლილი მყარი, საფუძვლიანი და დინამიური ცოდნის კონსტრუირებაში, დაგროვებასა და ახლის შექმნაში ნებისმიერ დროს და ადგილას.<br><br>სხვადასხვა კვლევები ადასტურებენ, რომ მოსწავლეები უკეთესად სწავლობენ, როდესაც:<br>• სწავლობენ მოსწავლის ინტერესებისა და საჭიროების გათვალისწინებით შექმნილი ინტერაქტიული საგანმანათლებლო რესურსის გამოყენებით;<br>• ასწავლიან პედაგოგები, რომლებიც იყენებენ ინდივიდუალურ მიდგომას მოსწავლეთა ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, სთავაზობენ სიახლესა და მრავალფეროვნებას;<br>• სწავლობენ რეალური სამყაროს კონტექსტში, სადაც სწავლის პროცესი ეხმარება მათ რეალური სამყაროს აღქმაში;<br>• სწავლობენ გუნდურად; | |

- იღებენ მყისიერ უკუკავშირს, რომელიც მიმართულია სწავლის პროცესის მხარდაჭერაზე;

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროცესთან შერწყმა ხელს უწყობს ასეთი გარემოს შექმნას, ამდიდრებს საგანმანათლებლო გარემოს, ზრდის სწავლის მოტივაციას, რაც საბოლოო ჯამში აუმჯობესებს სწავლის ხარისხსა და შედეგებს.

კვლევების მიხედვით ტექნოლოგიების ინოვაციური და რეგულარული გამოყენება:

- აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას იკვლიონ ინფორმაცია, გამოიყენონ და შემოქმედებითად გამოავლინონ საკუთრი ცოდნა, ააგონ ახალი ცოდნა და გააზიარონ საკუთარ თანატოლებთან და ექსპერტებთან მთელ მსოფლიოში;
- უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ხარისხიან განათლებაზე თანაბარი წვდომის შესაძლებლობას ნებისმიერი დროს, ნებისმიერი ადგილიდან.
- ხელს უწყობს სწავლა/სწავლების ინოვაციური მიდგომების გამოყენებას, მოსწავლეს აძლევს საშუალებას მრავალფეროვანი სასწავლო კონტენტიდან და მიწოდების მეთოდებიდან დაისახოს მის ინტერესებსა და საჭიროებაზე მორგებული სასწავლო ამოცანები და გეგმა;
- ქმნის პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს და ავითარებს პრაქტიკას;
- ხელს უწყობს ინდივიდუალური მოსწავლის სწავლის პროცესის დაგეგმვას, მართვის საინფორმაციო სისიტემებიდან მიღებული მონაცემების ანალიზისა და ადმინისტარციული ეფექტიანობის ზრდის საფუძველზე;
- აუმჯობესებს მონაცემთა ანალიზის, გაზიარებისა და კომუნიკაციების პროცესებს, როგორც საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში, ასევე მის გარეთ.

სასწავლო პროცესში ისტ-ის ეფექტიანი ინტეგრირება, ერთ მხრივ, მასწავლებლის კომპეტენციებზეა დამოკიდებული. მეორეს მხრივ კი, სკოლაში ინოვაციური სასწავლო პროცესის დანერგვისა და მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესების ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს სკოლის ხელმძღვანელი, რომელსაც საგანმანათლებლო ლიდერის ფუნქცია აქვს. ტრანსფორმირებულ გარემოში ეფექტიანი მუშაობისათვის საჭიროა შესაბამისი კომპეტენციების მქონდე ლიდერი, რომელიც იღებს მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს და უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას.

ამ ტიპის ლიდერი ახორციელებს:

- სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების ხელშეწყობას;
- ცვლილებების მენეჯმენტს შესაბამისი სტრატეგიების გამოყენებით;
- მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითრების ხელშეწყობას;
- ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენების მოდელირებას და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გაზიარებას;
- დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციასა და ჩართულობას;
- ტრანსფორმაციის შესახებ ხედვის ჩამოყალიბებას, გაზიარებასა და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან კომუნიკაციას;
- სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების დანერგვას, მონიტორინგსა და შეფასებს;

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით დგება მასწავლებლებსა და სკოლის ხელმძღვანელობაში შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავების აუცილებლობა, რათა მათ უზრუნველყონ ტექნოლოგიებით გამდიდრებული სასწავლო პროცესი, სადაც მოსწავლე იძენს, ქმნის და აზიარებს ცოდნას.

**პრობლემის ანალიზი**

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2009 წლიდან ახორციელებს მასწავლებელთა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) ტრენინგებს. ისტ ტრენინგების პროგრამის მიზანი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება და სასწავლო გარემოს გაუმჯობესებაა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირების გზით. მიზნის მისაღწევად 2009-2014 წლებში სხვადასხვა ისტ ტრენინგ-კურსი ჩატარდა საჯარო სკოლის მასწავლებლებისთვის. 2014 წლის ბოლოსთვის საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში მასწავლებელთა გარკვეული რაოდენობაა მომზადებული, რომლებიც ისტ-ის სასწავლო პროცესში ინტეგრირების უნარ-ჩვევებს ფლობენ.

ამ ეტაპზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით შემდეგი გამოწვევები არსებობს:

- კომპიუტერების ხელმისაწვდომობა და გამოყენება სკოლებში განსხვავებულია და დამოკიდებულია სკოლის მდებარეობაზე, საკუთრების ტიპზე, მოსწავლეთა რაოდენობაზე და სხვა ფაქტორებზე; ამასთან, კომპიუტერები ძირითადად განთავსებულია ლაბორატორიებში და მიუწვდომელია სხვა სასწავლო ადგილებში, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს კომპიუტერის გამოყენების შესაძლებლობას სასწავლო პროცესში;
- არ არსებობს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნიკის ექსპლუატაციის, მომსახურების, შეკეთებისა და განახლების ერთიანი სისტემა;
- არ ხდება ინოვაციური სწავლების პრაქტიკის კვლევა და მისი შემდგომი გავრცელება/ განვითარება;
- შეზღუდულია ინფორმაციის ონლაინ მიღების შესაძლებლობები, გარკვეულ ადგილებში ინტერნეტის დაბალი სიჩქარის გამო, აგრეთვე შესაბამისი ციფრული ინფორმაციის და სათანადო რესურსის არარსებობის გამო;
- შეზღუდულია ქართულენოვანი სასწავლო ციფრული რესურსების არჩევანი ინტეგრირებული სწავლებისათვის, დაბალია მათი ხარისხი. არ არსებობს საქართველოში შექმნილი ციფრული რესურსები არაქართულენოვანი სკოლების/სექტორებისათვის;
- მნიშვნელოვნად განსხვავდება პედაგოგების ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ცოდნა და უნარები, დაბალია მზაობა გამოიყენონ ტექნოლოგიები ინტეგრირებული სწავლებისათვის;
- ელექტრონული სწავლა-სწავლება განიხილება ძირითადი სასწავლო პროცესისაგან განცალკევებით;
- სკოლის დონეზე დაბალია სკოლის პერსონალის უნარები და მზაობა ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირების უზრუნველსაყოფად;
- სკოლის ხელმძღვანელობა არ არის ჩართული პროცესში, როგორც მნიშვნელოვანი მხარე და სასწავლო პროცესის ლიდერი;
- დაბალია გამოცდილების გაზიარებისა და კოლეგებს შორის თანამშრომლობის დონე, რაც კვლევების მიხედვით წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაა;
- სათანადოდ არ ხორციელდება სასწავლო პროცესში მასწავლებლების ტექნიკური მხარდაჭერა;
- არ ხდება მასწავლებლების უწყვეტი და თანმიმდევრული მხარდაჭერა ტექნოლოგიური და პედაგოგიური უნარების განვითარებისათვის;

მასწავლებელთა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროგრამის ფარგლებში შემდეგი აქტივობები განხორციელდება: ისტ კომპეტენციის სტანდარტები შემუშავდება მასწავლებლებისთვის; ისტ ტრენინგები გაგრძელდება იმ მასწავლებლების პროგრამაში ჩასართველად, რომლებსაც ისტ ტრენინგები აქამდე არ გაუვლია, ტრენინგები ჩატარდება სკოლის დირექციისა და ბიბლიოთეკარებისთვის მათი მხრიდან ციფრული კულტურის სკოლაში დანერგვის უზრუნველსაყოფად.

**მიზნობრივი ჯგუფების/ბენეფიციარების აღწერა/მათი საჭიროებები**

დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლები, ბიბლიოთეკარები, საჯარო სკოლის დირექტორები.

**პროგრამის გრძელვადიანი მიზანი**

ტექნოლოგიების დახმარებით მოსწავლის საჭიროებაზე მორგებული ინოვაციური სასწავლო გარემოს დანერგვის ხელშეწყობა.

**პროგრამის სპეციფიური მიზან(ებ)ი**

1. მასწავლებლების, დირექტორებისა და ბიბლიოთეკარების კვალიფიკაციის ამაღლება და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირების გზით.
2. ქართულენოვანი ელექტრონული სასწავლო რესურსის შექმნა და გამოყენების პოპულარიზება ისტ-ის სასწავლო პროცესში ინტეგრაციის ხელშესაწყობად.

| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგები** | **შედეგების მიღწევის გზები** |
|---|---|

| | |
|---|---|
| • მასწავლებლები, დირექტორები და ბიბლიოთეკარები ფლობენ შესაბამის ისტ კომპეტენციებს სასწავლო პროცესში ისტ-ის ეფექტიანი დანერგვის უზრუნველსაყოფად. | • ტრენინგები, ინდივიდუალური კონსულტაციები „ქოუჩინგის“ მეთოდის გამოყენებით, საგანმანათლებლო ტექნოლოგიების კონფერენცია |
| • ისტ კომპეტენციების სტანდარტი შემუშავებულია მასწავლებლებისთვის, რომელსაც ეფუძნება ტრენინგ-მოდულები | • საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით სტანდარტების შემუშავება და დამტკიცება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული ტრენინგ-მოდულები. |
| • მასწავლებლების მიერ ტრენინგების განმავლობაში ისტ-ზე დაფუძნებული ინოვაციური გაკვეთილები იქმნება და ინტერნეტში ხელმისაწვდომია | • ტრენინგზე საგაკვეთილო გეგმებისა და სასწავლო პროექტების შექმნა შესაბამისი ციფრული რესურსებით და ინტერნეტში განთავსება, |
| • ტრენერთა ჯგუფი ფორმირებულია და ატარებს ტრენინგ-კურსებს სხვადასხვა მოდულების მიხედვით. | • ტრენერების ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, მასტერ კლასები, კონფერენციებში მონაწილეობა |
| • მასწავლებლები უზრუნველყოფილი არიან ისტ უნარების უწყვეტად განვითარებისათვის საჭირო ბეჭდური და ციფრული მასალებით. | • სახელმძღვანელოს მომზადება და დაბეჭდვა, ვიდეოგაიდების დამუშავება სხვადასხვა ელექტრონული ინსტრუმენტების გამოყენებაზე |

**პროგრამის შეფასების მთავარი კრიტერიუმები/ინდიკატორები**

| მიზნები/შედეგები | ინდიკატორი | გადამოწმების წყარო |
|---|---|---|
| **პროგრამის გრძელვადიანი მიზანი:** | | |
| • ტექნოლოგიების დახმარებით მოსწავლის საჭიროებაზე მორგებული ინოვაციური სასწავლო გარემოს დანერგვის ხელშეწყობა. | • გამოკითხული სკოლების, მასწავლებლების 70% ისტ ტრენინგების პროგრამით განსაზღვრულ აქტივობებს მიიჩნევს სკოლაში ინოვაციური პრაქტიკის დამკვიდრების ხელშემწყობ ფაქტორად. | • ადგილობრივი კვლევა სკოლის ორგანიზაციული კვლევის შესახებ, სადაც ერთ-ერთი კომპონენტი ინოვაციური პრაქტიკის კვლევაა. |
| **პროგრამის სპეციფიური მიზან(ებ)ი:** | | |
| 1. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირების გზით.<br>2. ქართულენოვანი ელექტრონული სასწავლო რესურსის შექმნა და გამოყენების პოპულარიზება ისტ-ის სასწავლო პროცესში ინტეგრაციის ხელშესაწყობად. | • 12700-მდე მასწავლებელმა (21%) გაიარა ისტ-ის ტრენინგ კურსის სხვადასხვა მოდული, აქედან: საბაზო ტრენინგ კურსი - 2300 პედაგოგმა (3.8%); II დონის ტრენინგი - 1300 პედაგოგმა (2%); 1:1 ელექტრონული სწავლების დანერგვის ტრენინგი - 2100 პირველი კლასის მასწავლებელმა (დაწყებითი კლასის მასწავლებლების 16%); „შებრუნებული საკლასო ოთახი“ – 2700 მეორე კლასის მასწავლებელმა (დაწყებითი კლასის მასწავლებლების 21%); ინტელის ძირითადი კურსი - 3500 პედაგოგმა (5.8%) ( (აქედან 1700 მე-3 კლასის მასწავლებელი, და 1800 საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი); ისტ-ის მოკლე ტრენინგ-კურსები - 800 პედაგოგმა (0.8%).<br>• 250-მდე დირექტორმა (12%) გაიარა ტრენინგი 21-ე საუკუნის ტექნოლოგიებით გამდიდრებული სასწავლო გარემოს დანერგვისა და მართვისათვის საჭირო ლიდერის უნარების გამოსამუშავებლად. | • ტრენერების რეპორტები ვებ-რეპორტინგის სისტემაში, ტრენინგების მონიტორინგი,<br>• ict.tpdc.ge-ზე ატვირთული ვიდეო-გაიდები, google ანალიტიკის მონაცემები, ტრენინგის მონაწილეეების პორტფოლიოები ვებ-ბლოგებზე<br>• მონაწილეთა შეფასებები და გამოხმაურებები საგანმანათლებლო ქსელის „ედმოდოს“ ჯგუფებში, ასევე კონფერენციის საიტზე. |

| | | |
|---|---|---|
| | • 170-მდე (8%) ბიბლიოთეკარმა გაიარა ტრენინგი ისტ უნარების გასავითარებლად საკუთარ პროფესიულ საქმიანობაში.<br>• 2700-მდე ვიზიტი განხორციელდა დაწყებითი კლასის მასწავლებლებთან „ქოუჩინგის" მეთოდის გამოყენებით, რომელიც ბუკების სასწავლო პროცესში გამოყენებაში მასწავლებლების საკლასო ოთახში დახმარებას ითვალისწინებს.<br>• ტრენინგის მონაწილე მასწავლებლების, დირექტორებისა და ბიბლიოთეკარების 85%-მა მიიღო სერტიფიკატი, რაც ნიშნავს რომ კურსით გათვალისწინებული მასალა დაძლიეს და ტრენინგ-კურსით განსაზღვრული შესაბამისი ციფრული რესურსი შექმნეს.<br>• 4200 მასწავლებელს (87%) პირადი ბლოგი აქვს შექმნილი, სადაც მის მიერ დამუშავებული პროექტის პორტფოლიო და ელ-რესურსებია ატვირთული.<br>• 250 მონაწილე დარეგისტრირდა და დაესწრო საგანმანათლებლო ტექნოლოგიების კონფერენციას.<br>• ტრენინგ-კურსებში გამოყენებული და ახალი ისტრუმენტების აღწერები (ჯამში 800 წთ) ვიდეოგაიდების სახით ატვირთულია ციფრული რესურსების პორტალზე ict.tpdc.ge<br>• წლის განმავლობაში 100 000 ნახვა ფიქსირდება გუგლანალიტიკზე, ვიდეო გაიდის ყურების საშუალო ხანგრძლიოვბა 5 წუთია.<br>• სახელმძღვანელოები დაბეჭდილია და გადაეცათ საბაზო, მეორე დონისა და 1:1 ელექტრონულიტრენინგის მონაწილე მასწავლებლებს.<br>• 1700 ცალი მე-2 დონის  ტრენინგ-სახელმძღვანელო დაბეჭდილია და გადაეცა ტრენინგის მონაწილეებს ტექნოლოგიებთან დამოუკიდებლად მუშაობის უზრუნველსაყოფად; 2600 საბაზო კურსის სახელმძღვანელო დაბეჭდილია და გადაეცა ტრენინგის მონაწილეებს ტექნოლოგიებთან ელემენტარული ოპერაციების დამოუკიდებლად შესრულების უზრუნველსაყოფად;<br>• ქართული ელ-რესურსების საცავი შევსებულია 6500-მდე (ტრენინგში მონაწილე მასწავლებლების 85%) ინოვაციური ისტ-ზე დაფუძნებული საგაკვეთილო გეგმითა და სასწავლო | |

| | | |
|---|---|---|
| | პროექტით, რომელსაც თან ერთვის შესაბამისი ელექტრონული რესურსი; | |

### 2.1.1 *ბიუჯეტი*

პროგრამის ბიუჯეტი მოცემულია დანართში #1.

## 2.2 „მასწავლებელთა ზოგადი კომპეტენციების განვითარების“ პროგრამა

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **მასწავლებლების ზოგადი კომპეტენციების განვითარების პროგრამა** |
| პროგრამის ხანგრძლივობა | 2015 წელი იანვარი-დეკემბერი |
| პროგრამის წლიური ბიუჯეტი | 200,000 ლარი |
| შემუშავების თარიღი | 2014 წლის დეკემბერი |
| დამტკიცების თარიღი | 2015 წლის იანვარი |

**პროგრამის იდეის მოკლე აღწერა**

21-ე საუკუნე განათლებას ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. ის ზოგადი კომპეტენციები (ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები/ღირებულებები), რომელთა ფლობაც მასწავლებლებს ყოველთვის მოეთხოვებოდათ, დღეს გადამწყვეტად მნიშვნელოვანია სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის წარმატებით და ეფექტიანად წარმართვისათვის. სხვადასხვა ნორმატიული დოკუმენტი (ეროვნული სასწავლო გეგმა, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და საერთაშორისო სამართლებრივი თუ მეთოდური ჩარჩოები) გამოკვეთს, განსაზღვრავს, აყალიბებს და ასაბუთებს 21-ე საუკუნის მასწავლებლის იმ კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია 21-ე საუკუნის მოქალაქის აღსაზრდელად.

ზოგად/გამჭოლ კომპეტენციებს მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც ადგენს მოსწავლეთა მისაღწევ შედეგებს კონკრეტული კლასის/ასაკის შესაბამისად. ბუნებრივია, აღნიშნული კომპეტენციების განვითარებისათვის არსებითად მნიშვნელოვანია მასწავლებელთა მომზადება, რათა მათ შეძლონ, უპასუხონ 21-ე საუკუნის გამოწვევებს.

2015 წელს პროგრამის სამიზნე კომპეტენციებია (რომელთა ფლობაც მნიშვნელოვანია ყველა მასწავლებლისთვის, მიუხედავად საგნისა და სწავლების საფეხურისა):

1. წიგნიერება
2. მედიაწიგნიერება
3. ციფრული წიგნიერება
4. რაოდენობრივი წიგნიერება
5. ეკოლოგიური წიგნიერება
6. მრავალენობრივი (პლურილინგვური) კომპეტენცია
7. სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია
8. ეთიკა, როგორც კომპეტენცია
9. მეწარმეობრივი კომპეტენცია
10. ჯანსაღი ცხოვრების წესი
11. შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება

პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს, სხვადასხვა ღონისძიების/აქტივობის დაგეგმვისა და რესურსების განვითარების გზით, მასწავლებლებში ზოგადი/გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას, ასევე, ამ კომპეტენციების ასახვას მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში.

პროგრამის ფარგლებში:
- მოხდება საჭიროებების იდენტიფიცირება, რისთვისაც გაანალიზდება არსებული კვლევები და გამოცდილება;
- შემუშავდება პრაქტიკული რეკომენდაციები (პრაქტიკული სახელმძღვანელოები, ბროშურები) გამჭოლი კომპეტენციების განვითარების მიზნით;
- მოეწყობა კონფერენციები, ვორქშოფები, საჯარო ლექციები;
- იდენტიფიცირდება და მომზადდება საჭირო რესურსები.

ასევე, პროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყობა იმ რესურსების იმპლემენტაციას, რომლებიც წლების განმავლობაში მზადდებოდა და მიეწოდებოდა სკოლებს.

პროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყობა ცენტრის თანამშრომლობას სხვადასხვა ორგანიზაციასთან (ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე - საქართველოდ დაწყებითი განათლების პროექტი, ევროპის საბჭო და ა.შ.), რომლებიც მუშაობენ მასწავლებელთა ზოგადი კომპეტენციების მიმართულებით.

| | |
|---|---|
| პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებაში ჩართული იქნებიან ცენტრის საგნობრივი კონსულტანტები, გათვალისწინებული იქნება ცენტრის მიზნები, სტრატეგიული მიმართულებები და სხვა პროგრამების ამოცანები.<br><br>მასწავლებელთა ზოგადი კომპეტენციების განვითარების კუთხით, არსებითად მნიშვნელოვანია სკოლებში ბიბლიოთეკების აქტიურად ფუნქციონირება და სკოლის ბიბლიოთეკარების ზოგადი კომპეტენციების განვითარებისა და პროფესიული ზრდის ხელშეწყობა. | |
| **პროგრამის საჭიროების დასაბუთება** | |
| ვინაიდან პროგრამის სამიზნე კომპეტენციები იმ ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს/ღირებულებებს მოიცავს, რომლებიც განსაზღვრავს 21-ე საუკუნის მოქალაქის წარმატებასა და ადგილს თანამედროვე მსოფლიოში. შესაბამისად, ამ კუთხით, უპირველეს ყოვლისა, სკოლასა და მასწავლებელს ეკისრება პასუხისმგებლობა. აქედან გამომდინარე, საჭიროა მასწავლებლის სისტემური და მიზანმიმართული დახმარება, რათა მან შეძლოს, სათანადოდ უპასუხოს გამოწვევებს. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია აქტიური სამუშაოების გატარება გამჭოლი კომპეტენციების საგნობრივ ჭრილში ინტეგრირების ხელშემწყობი რეკომენდაციების ჩამოყალიბებისთვის. | |
| **პრობლემის ანალიზი** | |
| პროცესი, რომელიც ამჟამად საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარეობს - ეროვნული სასწავლო გეგმისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დახვეწა - კიდევ ერთხელ ადასტურებს მასწავლებლის ზოგადი, გამჭოლი კომპეტენციების გადააზრების აუცილებლობას. ამავე დროს, სხვადასხვა ორგანიზაციის ეგიდით, პერმანენტულად ტარდება კვლევები, რომლებიც მიემართება პროგრამის სამიზნე კომპეტენციების განვითარების საკითხს ქართულ სკოლებში.<br><br>იმისათვის, რომ მოსწავლეებმა სათანადოდ შეძლონ წაკითხულის გააზრება, ინფორმაციის გაგება-გამოყენება, მათემატიკური უნარების განვითარება, საბუნებისმეტყველო საგნების სასწავლო ამოცანების დაძლევა, 21-ე საუკუნის უნარების განვითარება და, ზოგადად, სწავლა-სწავლების პროცესში სრულფასოვნად ჩართვა, საჭიროა მასწავლებელთა მომზადება ამ მიმართულებით და მათი აქტიური მხარდაჭერა საჭირო ინფორმაციითა და რესურსებით. | |
| **მიზნობრივი ჯგუფების/ბენეფიციარების აღწერა/მათი საჭიროებები** | |
| პროგრამის უშუალო მიზნობრივ ჯგუფებს/ბენეფიციარებს წარმოადგენენ:<br><br>• ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლები;<br>• ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის მართვაში მონაწილე პირები;<br>• უმაღლესი საგანმანათლებლო სკოლების აკადემიური პერსონალი და სტუდენტები;<br>• განათლების სპეციალისტები და მკვლევრები;<br>• ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ბიბლიოთეკარები;<br>• ზოგადსაგანმანათლებლო სისტემით დაინტერესებული სხვა მხარეები.<br><br>ტრენინგების, ვორქშოფების, საჯარო ლექციების შეთავაზებით, მათ ხელი შეეწყობათ, გაიღრმავონ ცოდნა და გაიუმჯობესონ პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციები და, შესაბამისად, ეფექტიანად იმუშაონ მოსწავლეებთან. | |
| **პროგრამის გრძელვადიანი მიზანი** | |
| მასწავლებელთა ზოგადი პროფესიული და გამჭოლი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა. | |
| **პროგრამის სპეციფიკური მიზან(ებ)ი** | |
| • მასწავლებლის სტანდარტის გადამუშავების, სტანდარტის დანერგვის ღონისძიებებში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გამჭოლი კომპეტენციების გათვალისწინება და ასახვა;<br>• მასწავლებელთა ზოგადი კომპეტენციების განვითარების ხელშემწყობი აქტივობების ორგანიზება;<br>• მასწავლებელთა ზოგადი კომპეტენციების განვითარების ხელშემწყობი რესურსების შემუშავება. | |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგები** | **შედეგების მიღწევის გზები** |
| • მასწავლებლის სტანდარტის (როგორც ზოგადპროფესიული, ასევე, საგნობრივი ნაწილის) დანერგვის ღონისძიებებში გათვალისწინებულია მასწავლებელთა ზოგადი/გამჭოლი კომპეტენციები. | • მიზნობრივი სამუშაო შეხვედრები/ვორქშოფები მასწავლებლებთან; |

| | |
|---|---|
| | • სამუშაო შეხვედრები საგნობრივ კონსულტანტებთან;<br>• კონფერენციების ორგანიზება. |
| • მასწავლებლები აქტიურად ერთვებიან და/ან უწევენ ორგანიზებას მასწავლებელთა ზოგადი კომპეტენციების განვითარების ხელშემწყობ აქტივობებსა და ღონისძიებებს. | • სამუშაო შეხვედრების ორგანიზება;<br>• კონფერენციების ორგანიზება;<br>• საჯარო ლექციების ორგანიზება. |
| • მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ზოგადი კომპეტენციების განვითარების ხელშემწყობ რესურსებს და/ან მონაწილეობას იღებენ მათ შექმნაში. | • არსებული პროფესიული რესურსის გაცნობა-განხილვა;<br>• დამხმარე პროფესიული რესურსის შექმნა გამჭოლი კომპეტენციების მიმართულებით. |
| • სკოლის ბიბლიოთეკარები, სხვადასხვა პროფესიული რესურსის დახმარებით, ეხმარებიან მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ზოგადი/გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაში. | • ბიბლიოთეკარების ჩართვა პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში. |

| **პროგრამის შეფასების მთავარი კრიტერიუმები/ინდიკატორები** | | |
|---|---|---|
| **მიზნები/შედეგები** | **ინდიკატორი** | **გადამოწმების წყარო** |
| **პროგრამის გრძელვადიანი მიზანი:** | | |
| • მასწავლებელთა ზოგადი პროფესიული და გამჭოლი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა. | • გაუმჯობესებული შედეგები სასერტიფიკაციო გამოცდებზე;<br>• მოსწავლეთა გაუმჯობესებული შედეგები საერთაშორისო კვლევებში. | • საგამოცდო შედეგები;<br>• კვლევის შედეგები. |
| **პროგრამის სპეციფიური მიზან(ებ)ი:** | | |
| 1. ზოგადი/გამჭოლი კომპეტენციების სათანადოდ ასახვა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დანერგვისა და განვითარების ღონისძიებებში. | მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დანერგვისა და განვითარების, ზოგადპროფესიული და საგნობრივი მიმართულებით, გათვალისწინებული იქნება პროგრამის სამიზნე ყველა ზოგადი/ გამჭოლი კომპეტენცია. | • სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის სამსახურის ღონისძიებების ანგარიშები |
| 2. მასწავლებელთა ზოგადი კომპეტენციების განვითარების ხელშემწყობი აქტივობების ორგანიზება; | 2015 წლის განმავლობაში ორგანიზებულია მინიმუმ:<br>• 7 სამუშაო შეხვედრა/ვორქშოფი;<br>• 2 კონფერენცია;<br>• 12 საჯარო ლექცია. | • პროგრამის ანგარიშები;<br>• მასწავლებლების უკუკავშირი;<br>• სარეგისტრაციო/დასწრების დოკუმენტაცია;<br>• მიღება-ჩაბარების აქტები. |
| 3. მასწავლებელთა ზოგადი კომპეტენციების განვითარების ხელშემწყობი რესურსების შემუშავება; | 2015 წელს, ესგ/სტანდარტის გადამუშავების შემდეგ შექმნილია მინიმუმ 9 პრაქტიკული გზამკვლევი ზოგადი/გამჭოლი კომპეტენციების მიმართულებით. | • პროგრამის ანგარიშები;<br>• მონაწილეთა უკუკავშირი;<br>• ცენტრის შიდაწარმოების დოკუმენტაცია;<br>• მიღება-ჩაბარების აქტები. |
| 4. სკოლის ბიბლიოთეკარების ჩართულობა ზოგადი კომპეტენციების განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებში. | 2015 წელს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში ჩართულები არიან სკოლის ბიბლიოთეკარები. | • პროგრამის ანგარიშები;<br>• სკოლის ბიბლიოთეკართა უკუკავშირი. |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგები: | | |
|---|---|---|
| **შედეგი** | **ინდიკატორი** | **გადმოწმების წყარო** |
| 1. მასწავლებლის სტანდარტის (როგორც ზოგადპროფესიული, ასევე, საგნობრივი ნაწილის) დანერგვის ღონისძიებებში გათვალისწინებულია მასწავლებელთა ზოგადი/გამჭოლი კომპეტენციები. | • ჩატარებული მიზნობრივი სამუშაო შეხვედრები/ვორქშოფები რაოდენობა;<br>• სამუშაო შეხვედრების რაოდენობა საგნობრივ კონსულტანტებთან;<br>• ორგანიზებული კონფერენციების რაოდენობა. | • სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის სამსახურის ანგარიშების ანალიზი;<br>• პროგრამის ანგარიშები. |
| 2. მასწავლებლები აქტიურად ერთვებიან და/ან უწევენ ორგანიზებას მასწავლებელთა ზოგადი კომპეტენციების განვითარების ხელშემწყობ აქტივობებსა და ღონისძიებებს. | • ჩატარებულია 7 სამუშაო შეხვედრა/ვორქშოფი, თითოეული შეხვედრის მონაწილეთა რაოდენობა - 60.<br>• ჩატარებულია 2 კონფერენცია თბილისსა და რეგიონებში. თითოეული კონფერენციის მონაწილეთა რაოდენობა - 90.<br>• ჩატარებულია 12 საჯარო ლექცია (თითო ლექცია თითო კომპეტენციის შესახებ). ლექციის მონაწილეთა რაოდენობა - 50. | • მასწავლებლების უკუკავშირი<br>• სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ანალიზი<br>• მიღება-ჩაბარების აქტები |
| 3. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ზოგადი კომპეტენციების განვითარების ხელშემწყობ რესურსებს და/ან მონაწილეობას იღებენ მათ შექმნაში. | • შექმნილია, მინიმუმ, 9 პრაქტიკული გზამკვლევი პროგრამის სამიზნე ზოგადი/გამჭოლი კომპეტენციების მიმართულებით.<br>• ჩატარებულია, მინიმუმ, 7 შეხვედრა/განხილვა/პრეზენტაცია. | • პროგრამის ანგარიშების ანალიზი;<br>• მასწავლებლების უკუკავშირის ანალიზი;<br>• სარეგისტრაციო/დასწრების დოკუმენტაციის ანალიზი;<br>• მიღება-ჩაბარების აქტების ანალიზი. |
| 4. სკოლის ბიბლიოთეკარები, მასწავლებლებთან თანამშრომლობით, სხვადასხვა პროფესიული რესურსის დახმარებით, თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკაში ხელს უწყობენ გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას როგორც მოსწავლეებში, ასევე, მასწავლებლებში. | • სკოლის ბიბლიოთეკარების რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ პროგრამის ფარგლებში ორგანიზებულ შეხვედრებსა თუ სასკოლო აქტივობებსა და პროექტებში. | • პროგრამის ანგარიშები;<br>• უკუკავშირი;<br>• სარეგისტრაციო/დასწრების დოკუმენტაცია;<br>• მიღება-ჩაბარების აქტები. |

### 2.1.2 *ბიუჯეტი*

პროგრამის ბიუჯეტი მოცემულია დანართში #1.

## 2.3 პროგრამა „საინფორმაციო, საგანმანათლებლო, მეთოდური რესურსი მასწავლებლებისთვის - ჟურნალი „მასწავლებელი“, ინტერნეტგაზეთი “Mastsavlebeli.ge“

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **საინფორმაციო, საგანმანათლებლო, მეთოდური რესურსი მასწავლებლებისთვის - ჟურნალი „მასწავლებელი“, ინტერნეტგაზეთი “Mastsavlebeli.ge** |
| პროგრამის ხანგრძლივობა | 2015 წელი |
| პროგრამის წლიური ბიუჯეტი | 278,000 ლარი |
| შემუშავების თარიღი | 2014 წლის დეკემბერი |
| დამტკიცების თარიღი | 2014 წლის იანვარი |

**პროგრამის იდეის მოკლე აღწერა**

მასწავლებლის პროფესიის რეგულირების გზაზე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის პროცესში, მასწავლებლისათვის ინფორმაციის დროული, საჯარო გზით მიწოდება, მათი მეთოდური, საგანმანათლებლო და პროფესიული რესურსებით უზრუნველყოფა. ბენეფიციარებისა და დაინტერესებული პირებისთვის, განათლების სისტემის ახალი მიზნებისა და სტრატეგიების გაცნობა და მასში საზოგადოების ჩართულობა. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის განვითარებისა და დანერგვის საინფორმაციო ხელშეწყობა, მასწავლებელთა ინფორმირება, უკუკავშირის მიღება, პროფესიული დისკუსიის ხელშეწყობა.

**პროგრამის საჭიროების დასაბუთება**

მასწავლებლის პროფესია და მისი სტატუსი, იმ მიზნების ადეკვატური უნდა იყოს, რომელთა განხორციელებასაც საზოგადოება მისგან მოელის. ინფორმაციის მიღებისა და პროფესიული დისკუსიის გზით, ამ მისიის წარმატებით განხორციელებაში მასწავლებელთათვის ახალი, თანამედროვე მეთოდებისა და სტრატეგიების გაცნობასა და საგანმანათლებლო რესურსების დროულად მიწოდებას, პროფესიული მისიის გააზრებას, წარმატებისა და პროფესიული განვითრებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ინტენსიური წვდომის შესაძლებლობა ისეთ რესურსებზე და ინსტრუმენტებზე, რომელიც ხელს შეუწყობს მასწავლებლის სტანდარტის დანერგვას, უწყვეტი პროფესიულ განვითრების შესაძლებლობას. დაბალია მასწავლებელთა ჩართულობა პროფესიის რეგულარიზაციის პროცესში და ამასთან გვაქვს მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებული საინფორმაციო არხების დეფიციტი.

მასწავლებლებისათვის და სისტემაში მომუშავე პირებისათვის გათვალისწინებული პერიოდული გამოცემა - ჟურნალი, გაზეთი, ან მათი ელექტრონული ვერსია წარმოადგენს მასწავლებელთა პროფესიული ზრდისა და განვითარების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, რომელიც ემსახურება საგანმანათლებლო სფეროს ირგვლივ სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის რეგულარულ პუბლიცისტურ გამოცემებში თავმოყრას. ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი.გე“ ადგილს უთმობს ინფორმაციას უახლესი თეორიული თუ პრაქტიკულ სფეროდან, აგრეთვე მეთოდიკურ მიდგომებს, მიგნებებსა და სიახლეებს. ის წარმოადგენს უალტერნატივო სივრცეს გამოცდილების გაზიარებისას, უკუკავშირის მიღებისათვის და პროფესიული დიალოგში სპეციალისტების ჩართვისათვის. ზემოაღნიშნული გამოცემები (ჟურნალი „მასწავლებელი“ და ელექტონული გაზეთი „mastsavlebeli.ge“) რეგულარულად მზადდება და გამოიცემა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სხვადასხვა ადგილობრივი თუ მოწვეული სპეციალისტების მიერ შექმნილი სტატიების საფუძველზე.

**პრობლემის ანალიზი**

- საქართველოს მასწავლებლებს აქვთ ქართულ ენაზე შექმნილი პროფესიული ლიტერატურის და საგანმანთლებლო რესურსების დეფიციტი.
- ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტ გაზეთი „mastsavlebeli.ge“, ერთადერთი პროფესიული, საგანმანათლებლო პერიოდული გამოცემაა მათთვის, რომელიც მიეწოდება საქართველოს ყველა სკოლას და რესურსცენტრს.

აუცილებელია მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაცია, (წარმატებული მასწავლებლების წარმოჩენა, საინტერესო და ინოვაციური პედაგოგიური პრაქტიკის წარმოჩენა, მიზნობრივ პროგრამებში ჩაართული მასწავლებლების საქმიანობის პოპულარიზაცია,) რადგან გაიზარდოს პროფესიაში შემოსვლის ინტერესი. უახლოესი კვლევებით დადასტურებულია, რომ პროფესიას აქვს ახალი კადრების დეფიციტი.

| მიზნობრივი ჯგუფების/ბენეფიციარების აღწერა/მათი საჭიროებები |
|---|
| მასწავლებელს, პროფესიის რეგულარიზაციისა და კარიერული ზრდის პროცესში მუდმივად სჭირდება განახლებული ინფორმაცია და სასარგებლო საგანმანათლებლო რესურსი, როგორც პროფესიული უნარების, ასევე საგნობრივი კომპეტენციების გასავითარებლად. რესურსები ხელმისაწვდომი უნდა იყოს საქართველოს თითოეული მასწავლებლისათვის.<br><br>• ბენეფიციარები:სკოლის მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაციის წევრები, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემი ხელმძღვანელები, უმაღლესი პედაგოგიური საგანმანათლებლო სკოლების აკადემიური პერსონალი და სტუდენტები,<br>• განათლების სპეციალისტები და მკვლევარები<br>• ზოგადსაგანმანათლებლო სისტებით დაინტერესებული მხარეები : (მშობლები) |
| **პროგრამის გრძელვადიანი მიზანი** |
| ინფორმირებული, ახალ საგანმანათლებლო მეთოდებს და გამოწვევებს მორგებული მასწავლებელის რაოდენობის გაზრდა. მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაცია და ახალი კადრების მოზიდვის ხელშეწყობა პროფესიაში. ქართულ ენაზე საგანმანათლებლო რესურსების შექმნა.<br>აკადამიური, საგანმანათლებლო, ხელმისაწვდომი, პროფესიული პერიოდიკის შექმნა და დამკვიდრება. |
| **პროგრამის სპეციფიური მიზან(ებ)ი** |
| მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის განვითრებასა და დანერგვაში პედაგოგიური საზოგადოების დროული ინფორმირება და მათი ჩართულობის გაზრდა. უწყვეტი პროფესიული განვითრების განახლებულ პროცესში ინფორმირებულობა და ჩართულობის გაზრდა. |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგები | შედეგების მიღწევის გზები |
|---|---|
| 1. მასწავლებლის პროფესიის რეგულირების პროცესზე, რეგულირების ინსტრუმენტებზე დროულად და ამომწურავად ინფორმირებული საგანმანთლებლო საკითხებით დაინტერესებული საზოგადოება (საქართველოს თითეული სკოლა, სკოლის მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაციის წევრები, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ხელმძღვანელები, უმაღლესი პედაგოგიური საგანმანათლებლო სკოლების აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, განათლების სპეციალისტები და მკვლევარები იქნებიან)<br>2. მასწავლებლის პროფესიული განვითარების სისტემში ეფექტურად მონაწილეობისათვის აუცილებელი რესურსები გახდება ხელმისაწვდომი. | • ჟურნალ „მასწავლებლის“ გამოცემა<br>• ყოველ სამუშაო დღეს განახლებადი ინტერნეტ გაზეთი (3-4 ახალი მასალა : ბლოგი, პროფესიული უნარების განვითარება, მულტიკულტურული განათლება, არაფორმალური განათლება, საგნობრივი რესურსები, ვიდეო ბლოგი, რეპორტაჟები და სხვ.)<br>• მასწავლებლის წიგნის ბიბლიოთეკის განახლება. |
| 3. განათლების რეფორმირების პროცესებში საზოგადოების ჩართულობა და ინფორმირება.პროფესიის პოპულარიზაცია. | • ჟურნალ „მასწავლებლის“ გამოცემა, ხელმომწერთა რაოდენობა და ჟურნალზე მოთხოვნა.<br>• წვდომა ინტერნეტ გაზეთის ვებგვერდზე (კვლევა, ანალიზი ) |
| 4. წარმატებული მასწავლებლების პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარების რაოდენობის ზრდა | • სტატიებისა და საგანმანათლებლო რესურსების ავტორი მასწავლებლების რიცხვის ზრდა |
| 5. მასწავლებლების მონაწილეობა საგანმანათლებლო რესურსების შექმნაში. | • მასწავლებლის პროფესიის მარეგულირებელ დოკუმენტების განხილვაში სამიზნე ჯგუფებიდან მოაწილეთა ზრდა. |

**პროგრამის შეფასების მთავარი კრიტერიუმები/ინდიკატორები**

| შედეგი | ინდიკატორი | გადმოწმების წყარო |
|---|---|---|
| **პროგრამის გრძელვადიანი შედეგი** | | |

| | | |
|---|---|---|
| 1. გაზრდილია ინფორმირებულ და ახალ საგანმანათლებლო მეთოდებს და გამოწვევებს მორგებული მასწავლებელთა რაოდენობა.<br>2. შექმნილია ქართული ენაზე საგანმანათლებლო რესურსები<br>3. შექმნილია და ხელმისაწვდომია აკადამიური, საგანმანათლებლო, პროფესიული პერიოდიკა | 1.1მასწავლებელთა კარიერული ზრდის სქემაში ჩართული მასწავლებელთა გაზრდილი რაოდენობა<br>1.2ჟურნალის კერძო ხელმომწერთა, გაზრდილი რაოდენობა წინა წელთან შედარებით<br>2.1ორი (1.საბუნებისმეტყველო საგნის მიმართულებით და 2. გამჭოლი კომპეტენციებით) გამოცემული წიგნი სერიით „მასწავლებლის წიგნის“<br>3.1ყოველ სამუშაო დღეს განახლებადი ინტერნეტგაზეთი<br>3.2 ორ თვეში ერთხელ გამოცემული ჟურნალი | • შიდა და გარე კვლევა, მონიტორინგი, ანალიზი.<br>• ჟურნალ „მასწავლებლის“ ხელმომწერთა რაოდენობის დათვლა და ჟურნალზე გამოხმაურება<br>• წვდომა ინტერნეტ გაზეთზე (კვლევა, ანალიზი ) google analytics მონაცემები **სოციალური ქსელის სტატისტიკა** მოწონებების რაოდენობა, გაზიარებების რაოდენობა, **google Analytcs** ვიზიტორთა რაოდენობა იმ ქვეყნების რაოდენობა საიდანაც შემოვიდნენ მკითხველები მათ შორის უნიკალური მკითხველების რაოდენობა, ჩამოწერილი სტატიების რაოდენობა.<br>სერიით „მასწავლებლის წიგნი“ ორი გამოცემული წიგნის გავრცელება, რეალიზაცია და გამოხმაურება (პრეზენტაციებზე, ვებგვერდზე, google analytics მონაცემები) |
| **პროგრამის სპეციფიური მიზან(ებ)ი** | | |
| 1. უწყვეტი პროფესიული განვითრების განახლებულ პროცესში გაზრდილია ინფორმირებული და ჩართული მასწავლებლების რაოდენობა. | 1.1 ინტერნეტგაზეთის და ჟურნალის მკითხველები ინფორმირებული არიან უწყვეტი პროფესიული განვითარების პროცესის შესახებ | • შიდა და გარე კვლევა, მონიტორინგი, ანალიზი.<br>• ჟურნალ „მასწავლებლის“ გამოცემა, ხელმომწერთა რაოდენობა და ჟურნალზე მოთხოვნა.<br>• წვდომა ინტერნეტ გაზეთის ვებგვერდზე (კვლევა, ანალიზი ) მკითხველთა რაოდენობის ზრდა , google Analytcs მონაცემებით **სოციალური ქსელის სტატისტიკა**<br>• მოწონებების რაოდენობა, გაზიარებების რაოდენობა,<br>• google Analytcs ვიზიტორთა რაოდენობა იმ ქვეყნების რაოდენობა საიდანაც შემოვიდნენ მკითხველები მათ შორის უნიკალური მკითხველების რაოდენობა, ჩამოწერილი სტატიების რაოდენობა. |
| 2. მასწავლებლებს პროფესიული განვითარების სისტემში ეფექტურად მონაწილეობისათვის | 2.1 შექმნილი რესურსები | • (კვლევა, ანალიზი ) სქემაზე და კარიერულ ზრდაზე მიზნობრივად შექმნილი და |

| | | |
|---|---|---|
| მნიშვნელოვანი რესურსების რაოდენობა გაზრდილია | | გამოყენებული (წაკითხული, გაზიარებული) გამოქვეყნებული google Analytcs მონაცემებით<br>• **სოციალური ქსელის სტატისტიკა**<br>• მოწონებების რაოდენობა, გაზიარებების რაოდენობა,<br>• **google Analytcs** ვიზიტორთა რაოდენობა იმ ქვეყნების რაოდენობა საიდანაც შემოვიდნენ მკითხველები მათ შორის უნიკალური მკითხველების რაოდენობა, ჩამოწერილი სტატიების რაოდენობა. |
| 3. განათლების რეფორმირების პროცესებში საზოგადოების ჩართულობა და ინფორმირება, | 3.1 მკითხველთა რაოდენობის ზრდა google Analytcs მონაცემებით წინა წელთან შედარებით | • რაოდენობრივი ანალიზი (ჟურნალ „მასწავლებლის“ ხელმომწერთა რაოდენობა და ჟურნალზე მოთხოვნა).<br>• წვდომა ინტერნეტ გაზეთის ვებგვერდზე (კვლევა, ანალიზი ) **სოციალური ქსელის სტატისტიკა**<br>• მოწონებების რაოდენობა, გაზიარებების რაოდენობა,<br>• google Analytcs ვიზიტორთა რაოდენობა იმ ქვეყნების რაოდენობა საიდანაც შემოვიდნენ მკითხველები მათ შორის უნიკალური მკითხველების რაოდენობა, ჩამოწერილი სტატიების რაოდენობა. |
| 4. წარმატებული მასწავლებლების პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარების რაოდენობის ზრდა | 4.1 მასწავლებლების მიერ საკუთარი გამოცდილების გაზიარების შემცველი სტატიები ბლოგები ვიდეობლოგები. | • რაოდენობრივი ანალიზი, ჟურნალ „მასწავლებლის“ და ინტერნეტგაზეთში გამოქვეყნებული მასწავლებლის სტატისტიკა **სოციალური ქსელის სტატისტიკა**<br>• მოწონებების რაოდენობა, გაზიარებების რაოდენობა,<br>• google Analytcs ვიზიტორთა რაოდენობა იმ ქვეყნების რაოდენობა საიდანაც შემოვიდნენ მკითხველები მათ შორის უნიკალური მკითხველების რაოდენობა, ჩამოწერილი სტატიების რაოდენობა. |

| | | |
|---|---|---|
| 5. მასწავლებლების მონაწილეობა საგანმანათლებლო რესურსების შექმნაში. | 5.1 ჟურნალი და ინტერნეტგაზეთის ავტორი მასწავლებლების გაზრდილი რიცხვი წინა წელთან შედარებით | • რაოდენობრივი ანალიზი, ჟურნალ „მასწავლებლის“ და ინტერნეტ გაზეთში გამოქვეყნებული მასწავლებლის სტატიების სტატისტიკა **სოციალური ქსელის სტატისტიკა**<br>• მოწონებების რაოდენობა, გაზიარებების რაოდენობა,<br>• **google Analytcs** ვიზიტორთა რაოდენობა იმ ქვეყნების რაოდენობა საიდანაც შემოვიდნენ მკითხველები მათ შორის უნიკალური მკითხველების რაოდენობა, ჩამოწერილი სტატიების რაოდენობა. |

### 2.1.3 *ბიუჯეტი*

პროგრამის ბიუჯეტი მოცემულია დანართში #1.

## 2.4 მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის პროგრამა

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის პროგრამა** |
| პროგრამის ხანგრძლივობა | 2015 წელი |
| პროგრამის წლიური ბიუჯეტი | 800,000 ლარი |
| შემუშავების თარიღი | 2014 წლის დეკემბერი |
| დამტკიცების თარიღი | 2015 წლის იანვარი |
| **პროგრამის იდეის მოკლე აღწერა** | |
| მასწავლებლის პროფესიის რეგულირების სისტემაში დაწყებულია კომპლექსური ცვლილებების განხორციელება: მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილება, იწყება მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემის დანერგვა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სტამინისტროს ეს სტრატეგია ცენტრის დღის წესრიგში აყენებს მასწავლებლის პროფესიული და საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობრივი სტანდარტების გადამუშავებასა და მათი დანერგვის სამოქმედო გეგმების განსაზღვრას.<br><br>ამ პრიორიტეტული ამოცანის მისაღწევად ცენტრი ახორციელებს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის პროგრამას, რომლის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის მასწავლებელთა პროფესიული და საჯარო სკოლის დირექტორთა თანამდებობრივი სტანდარტების გაუმჯობესება, მათი ეფექტურად დანერგვა და შესაბამისი პროფესიული საზოგადოების ჩართულობისა და ინფორმირების გაზრდა.<br>ამ პროგრამის შედეგად ჩამოყალიბებული სტანდარტები ვრცელდება ზოგადასაგანმანათლებლო სისტემაში მოქმედ მასწავლებლებსა და ადმინისტრატორებზე, ასევე შესაბამისი პროფესიების მსურველებსა და მათი აკადემიური უმაღლესი განათლების მიმწოდებლებზე. | |
| **პროგრამის საჭიროების დასაბუთება** | |
| საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ 2014 წელს შეტანილია ცვლილებები, რომლებიც განაპირობებს 2015 წლიდან მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის დაწყების, განვითარებისა და კარიერული წინსვლის თვისობრივად ახალი სისტემის დანერგვას. ამ სისტემის ძირითადი საყრდენი სწორედ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტია. სისტემური ცვლილება მოითხოვს მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის გადამუშავებას და მის დანერგვას პირველ ეტაპზე სამიზნე საზოგადოებისათვის გაცნობის გზით. | |
| **პრობლემის ანალიზი** | |
| მასწავლებლის მოქმედი პროფესიული სტანდარტი ნაკლებად გამოიყენება მასწავლებლების თვითშეფასებისა და მათი საქმიანობის სანდოდ გარე შეფასებისას. ამას გარდა, პროფესიის რეგულირების ახალი სისტემა ითვალისწინებს მასწავლებლების მკაფიო დიფერენციაციას კვალიფიკაციის მიხედვით და მეტ აქცენტს აკეთებს კარიერული წინსვლის ხელშეწყობაზე. | |
| **მიზნობრივი ჯგუფების/ბენეფიციარები** | |
| • ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლები;<br>• სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები;<br>• მასწავლელობის მსურველები;<br>• მასწავლებელთა პროფესიული მომზადების პროცესში მონაწილე უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები;<br>• მასწავლებელთა პროფესიის რეგულირებაში მონაწილე ორგანიზაციები. | |
| **პროგრამის გრძელვადიანი მიზანი**<br>მასწავლებელთა პროფესიული და საჯარო სკოლის დირექტორთა თანამდებობრივი სტანდარტების ეფექტური დანერგვა. | |
| **პროგრამის სპეციფიური მიზან(ებ)ი** | |
| 1. პროფესიული სტანდარტების დადგენა, განახლება და რედაქტირება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორებისათვის;<br>2. განათლების სისტემაში არსებული პროფესიული სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფა მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის დაწყების, განვითარებისა და კარიერული წინსვლის კონცეფციასთან, სხვა ეროვნულ ზოგადსაგნმანთლებლო და საერთაშორისო პროფესიულ სტანდარტებთან; | |

| 3. განახლებული პროფესიული სტანდარტების დანერგვის ხელშემწყობი საინფორმაციო ღონისძიებების უზრუნველყოფა. | |
|---|---|
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგები** | **შედეგების მიღწევის გზები** |
| • განახლებული და დამტკიცებულია მასწავლებლის პროფესიული და საჯარო სკოლის დირექტორთა თანამდებობრივი სტანდარტები. | • მასწავლებელთა პროფესიული და საჯარო სკოლის დირექტორთა თანამდებობრივი სტანდარტების განახლება და რედაქტირება;<br>• მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანა მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის დაწყების, კარიერული წინსვლის, განვითარებისა და კარიერული წინსვლის კონცეფციასთან. |
| • განახლებული პროფესიული სტანდარტების შესახებ პროფესიული საზოგადოების ინფორმირება. | • პროფესიული სტანდარტების რევიზირებული სამუშაო ვერსიის გასაჯაროება პროფესიული დისკუსიის რეჟიმში ონლაინ-გაზეთში “mastsavlebeli.ge“. |

| **პროგრამის შეფასების მთავარი კრიტერიუმები/ინდიკატორები** | | |
|---|---|---|
| **შედეგი** | **ინდიკატორი** | **გადამოწმების წყარო** |
| **პროგრამის გრძელვადიანი მიზანი** | | |
| მასწავლებელთა პროფესიული და საჯარო სკოლის დირექტორთა თანამდებობრივი სტანდარტების ეფექტური დანერგვა; | • სტანდარტების რევიზიის შესახებ ინფორმირებულ ბენეფიციართა რაოდენობა; | • მონიტორინგის ანგარიში<br>• წლიური ანგარიში |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგები** | | |
| 1. რევიზია გაეწია, განახლდა და დამტკიცდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორების პროფესიულ სტანდარტებს. | 1.1. დამტკიცებულია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;<br>1.2 დამტკიცებულია სკოლის დირექტორის სტანდარტი. | 1.1.1 ცენტრის ვებ-გვერდი<br>1.1.2 ბრძანება სტანდარტების დამტკიცების შესახებ<br>1.1.3 www.matsne.gov.ge |
| 2. პროფესიული საზოგადოება ინფორმირებულია განახლებული პროფესიული სტანდარტების შესახებ, განხორციელებულია სტანდარტების დანერგვის ხელშემწყობი საინფორმაციო ღონისძიებები, მათ შორის კონფერენციები. | 2.1 ცენტრის ვებ-გვერდზე და ონლაინ-გაზეთში “mastsavlebeli.ge” გასაჯაროებული მასწავლებლის პროფესიული და საჯარო სკოლის დირექტორის პროფესიული სტანდარტები;<br><br>2.2. განახლებული სტანდარტების შესახებ საინფორმაციო ხასიათის მქონე ღონისძიების რაოდენობა და ღონისძიებებზე და კონფერენციებზე დამსწრე პირთა რაოდენობა. | 2.1.1 ცენტრის ვებგვერდი;<br>2.1.2 ონლაინ-გაზეთში “mastsavlebeli.ge“ გასაჯაროებული პროფესიული სტანდარტების ნახვათა რაოდენობა;<br>2.2.2 ღონისძიებებსა და კონფერენციებზე დამსწრე მონაწილე ბენეფიციართა სარეგისტრაციო ფურცლები. |

### 2.1.4 *ბიუჯეტი*

პროგრამის ბიუჯეტი მოცემულია დანართში #1.

# თავი III

## 3. უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახური

### 3.1 პროგრამა „ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდამჭერა“

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერა.** |
| პროგრამის ხანგრძლივობა | 2015 წელი |
| პროგრამის წლიური ბიუჯეტი | 200,000 ლარი |
| შემუშავების თარიღი | 2014 წლის დეკემბერი |
| დამტკიცების თარიღი | 2015 წლის იანვარი |
| **პროგრამის იდეის მოკლე აღწერა** | |

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების საჯარო სკოლებში არ არსებობს მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის ობიექტური შეფასების სისტემა. არსებული სისტემა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა ეროვნული უმცირესობების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებისთვის პროფესიული განვითარების ხელშემწყობი აქტივობების შეთავაზებას, რაც ბუნებრივია, აფერხებს მათ პროფესიულ განვითარებას და აისახება სკოლებში სწავლა სწავლების ხარისხზე.

სახელმწიფო ენის არასაკმარისი ცოდნის გამო მასწავლებლებს აქვთ დაბალი მოტივაცია, გაიღონ ძალისხმევა პროფესიული განვითარების მიმართულებით, ეს ყოველივე დასტურდება სხვადასხვა კვლევისათვის ჩატარებული ფოკუს ჯგუფის, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის“ ყოველწლიური ანგარიშის და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საექსპერტო შეფასების მიხედვით.

2010 წელს „გამოყენებითი კვლევების კომპანიის” (ARC) მიერ ჩატარებული კვლევის შესაბამისად რომელიც ჩატარდა ექსპერტების ჯგუფის და სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობების საბჭოს, ასევე უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, და აისახა საქართველოს გაეროს ასოციაციის და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ გამოცემულ პუბლიკაციაში „ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის შეფასება“[2] ნათქვამია: არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთათვის პროფესიული განვითარების პროგრამების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. პროფესიული განვითარების პროგრამების პროვაიდერები არ ახორციელებენ პროგრამებს უმცირესობათა მშობლიურ ენაზე, ძირითადად, საკადრო რესურსის დეფიციტისა და არარენტაბელურობის გამო, ხოლო არაქართულენოვანი სკოლის პედაგოგების უმრავლესობა ვერ ფლობს სახელმწიფო ენას. შესაბამისად, მასწავლებლები ვერც პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობენ და არც სასერთიფიკატო გამოცდებზე რეგისტრირდებიან, იგივე პრობლემა გამოიკვეთა 2014 წელს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის დაკვეთით შესრულებული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ექსპერტული შეფასების დოკუმეტის მიხედვით[3], რომლის ერთ-ერთი თავი განათლებას და სახელმწიფო ენას მიეძღვნა, ნათქვამია:

[2] „ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის შეფასება“თბილისი 2010 წ. საქართველოს გაეროს ასოციაცია, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო.

[3] **„შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების დოკუმენტი“** 2014 წ. ივნისი. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრია აპარატი

- პროფესიული განვითარების პროგრამები ხელმისაწვდომი არ არის მასწავლებლებისათვის რადგან როგორც კერძო პროვაიდერები, ისე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები ტარდება სახელმწიფო ენაზე. სახელმწიფო ენის მცოდნე საგნების მასწავლებლები კომპაქტური განსახლების რაიონებში ძალიან მცირეა. შესაბამისად, კომპაქტური განსახლების რაიონებში არაქართულენოვანი სკოლების საგნების მასწავლებლებს არ გააჩნიათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებში, რაც, თავის მხრივ, აისახება სასწავლო პროცესის ხარისხზე და მოსწავლეთა აკადემიურ და კოგნიტურ განვითარებაზე.

- სასერიფიკატო გამოცდა არ ტარდება უმცირესობათა მშობლიურ ენაზე, რაც, ერთი მხრივ, მოტივაციას უკარგავთ მათ. არ ხდება მათი პროფესიული განვითარება, დისკრიმინირებული არიან, რადგან ვერ სარგებლობენ სერტიფიცირებასთან დაკავშირებული სარგებლით. არსებული სტატისტიკა ცალსახად მიუთითებს, როგორც სერტიფიცირების მსურველთა დაბალ რაოდენობაზე, ისე სერტიფიციებულთა ძალიან დაბალ მაჩვენებელზე. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს სერტიფიცირების მსურველ მასწავლებელთა დაბალ შედეგებზე, რადგან მათმა უმრავლესობამ ვერ გადალახა სასერტიფიკატო გამოცდები.

„გამოყენებითი კვლევების კომპანიის" (ARC) ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების ანგარიშის[4] მიხედვით ხაზგასმულია არაქართულენოვან სკოლებში ახალი საკადრო რესურსით შევსების პრობლემაც, რესურს-ცენტრებისა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ფოკუს-ჯგუფებში შეხვედრისას გამოიკვეთა არაქართულენოვანი სკოლებისთვის მასწავლებელთა დეფიციტის საკითხი. ეს ინფორმაცია დასტურედება განთლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებითაც, რომლის მიხედვით, 2008 წლის მდგომარეობით არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა 46,7 პროცენტი 45 წლის ასაკის ზევითაა. იგივე მონაცემებს აქვეყნებს სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრი „ეთნიკურ უმცირესობათა სკოლების მასწავლებლების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდისათვის 2015 წლის პოლიტიკის დოკუმენტში".[5]

წინამდებარე პროგრამა მჭიდროდ იქნება დაკავშირებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში მიმდინარე სახელმწიფო პროგრამასთან „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის", რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებლებლების ქართული ენის სათანადოდ დაუფლებას, ასევე „უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის პროგრამასთან რომელიც უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის მასწავლებლების პროფესიული განვითარების ფასილიტატორების მომზადებას და ზოგადად სქემის მხარდაჭერას.

*მიზნობრივი ჯგუფი:*
პროგრამის ბენეფიციარები არიან საქართველოს არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 7.500-მდე მასწავლებელი: აზერბაიჯანულენოვანი 3301, სომხურენოვანი 2933, რუსულენოვანი 1208 მოქმედი მასწავლებელი[6].

**პროგრამის საჭიროების დასაბუთება**

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლები ენობრივი, თუ სხვა სპეციფიკებიდან გამომდინარე, დაბალი მოტივაციის და ხელმისაწვდომიბის გამო, ნაკლებად იყვნენ ჩართული პროფესიული განვითარების აქტივობებში.

[4] (**ARC**) „გამოყენებითი კვლევების კომპანია" ფოკუს-ჯგუფების ანგარიში განათლების და მედიის ნაწილი. რეინტეგრაციის სამინისტროს მიერ შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის 2011 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასება.

[5] შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე **„ეთნიკურ უმცირესობათა სკოლების მასწავლებლების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდისათვის პოლიტიკის დოკუმენტი"** თბილისი 2015 წ. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრი

[6] განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, 2015 წლის მონაცემები.

2015 წლის სექტემბრიდან ძალაში შედის „მასწავლებელის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა," რომელში ჩართვის ვალდებულება ეკისრება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ყველა მასწავლებელს, მათ შორის, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებსაც, რომელთა საერთო რაოდენობა 253 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში 7,500-სს შეადგენს.

2015 წლის 20 თებერვალს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული №72 მასწავლებლის შეფასების წესის დამტკიცების დადგენილების 27 მუხლის შესაბამისად მუსიკისა და სპორტის (ფიზიკური აღზრდის) მასწავლებლებისათვის, ასევე **არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სექტორის მასწავლებლებისათვის** საგნის გამოცდა ჩატარდება 2016 წელს პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის საგნის გამოცდის ჩატარების წესის საფუძველზე განსაზღვრულ თარიღში/თარიღებში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ბოლო წლების განმავლობაში კერძოთ, 2009 წლიდან ეროვნულ უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახორციელებს სხვადასხვა პროგრამებს:

- **„კვალიფიციური ქართული ენის სპეციალისტები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში" (შემდეგში წოდებული, როგორც „ქართული, როგორც მეორე ენა"),** რომელიც გულისხმობდა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ქართული ენისა და ლიტერატურის პროფესიონალ მასწავლებელთა მოზიდვას.

- **„ასწავლე საქართველოსთვის"** პროგრამა, რომელიც დღემდე მოქმედი პროგრამაა და ძირითადათ საქართველოს შორეული და მაღალმთიანი საჯარო სკოლებზეა ორიენტირებული მისი მიზანია კვალიფიციური მასწავლებლების გაგზავნა საქართველოს რეგიონებში (მაღალმთიანი და შორეულ სოფლებში), ასევე ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში.

- **„ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის"** პროგრამა, რომლის მიზანია სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი პედაგოგების პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა/ხელშეწყობა და ქართული ენის და საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაა აღნიშნული პროგრამა 2015 წელსაც მოქმედებს.

მიუხედავად ზემოაღნიშნული მიზნობრივი პროგრამებისა სამწუხაროდ, მასწავლებლების სახელმწიფო ენის ცოდნა და არც მათი პროფესიული კომპეტენციები ვერ აკმაყოფილებენ დადგენილ სტანდარტებს. ამ მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ძალისხმევა არასაკმარისი აღმოჩნდა, იმ გამოწვევებთან მიმართებაში რომელიც მასწავლებლის პროფესიას გააჩნია დღეს. ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში დაბალია არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა როგორც ენობრივი, ასევე საგნობრივი და მეთოდური კომპეტენციები რაც დასტურდება იმით, რომ ამ მასწავლებლებს შორის 2010-2013 წ. სერტიფიცირებულია მხოლოდ 37 მასწავლებელი.

პროგრამაში ჩართული მასწავლებლები შეძლებენ საგნობრივი და მეთოდური კომპეტენციის ამაღლებას, ენობრივი კომპეტენციის დახვეწას, რაც მათ გაუადვილებთ სქემით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას და შესაბამისი აქტივობების განხორციელებას. პროგრამის აქტიური მხარდაჭერით მასწავლებლები დააგროვებენ გარკვეული რაოდენობის კრედიტ-ქულებს კარიერული საფეხურებზე გადაადგილების ან ამ საფეხურის შენარჩუნების მიზნით.

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდამჭერის პროგრამაში ჩაერთვებიან მასწავლებლები, რომლებიც დაადასტურებენ ქართული ენის ფლობას A 2

დონეზე, რაც დადასტურდება A 1 დონის ქართული ენის შესწავლის კურსის გავლის ან გამოცდის ჩაბარების შედეგად და მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის განხორციელების პირველ ეტაპზე გამოთქვავენ სქემით გათვალისწინებული აქტივობებში მონაწილეობის სურვილს ან დარეგისტრირდებიან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ საგნის გამოცდაზე.

*პროგრამის მიზანი:*
"ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდამჭერის პროგრამა" მიზნად ისახავს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების გადამზადებას, როგორც საგნობრივ ასევე პროფესიულ უნარებში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მათ როგორც, პროფესიულ განვითარებას, ასევე კარიერულ წინსვლას. ასევე ადგილობრივი ტრენერების მომზადებას, რომლებიც იქნებიან მნიშვნელოვანი დასაყრდენი რეგიონებში.

*პროგრამის ამოცანები:*

- ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის პროგრამის განხილვა ექსპერტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან, მათი მოსაზრებების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება.
- „მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის" თარგმნა აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე.
- „მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის" აზერბაიჯანულენოვანი, რუსულენოვანი და სომხურენოვანი ელექტრონული და ბეჭდური ვერსიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- „მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის" მასწავლებლების შეფასების რუბრიკის და გზამკლევის მასალების თარგმნა აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე
- „მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის" და „ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის" პროგრამის პრეზენტაციების და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება სკოლის დირექტორებისთვის და მასწავლებლებისთვის მათ მშობლიურ ენაზე.
- პროგრამის „ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერის" სატრენინგო და სხვა პროფესიული მასალების ადაპტირება და თარგმნა სომხურ აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე.

- ადგილობრივი მასწავლებლების შერჩევა, რომლებიც გაუწევენ ასისტირებას ცენტრის ტრენერებს.
- საგნობრივი ტრენერთა ტრენინგი.
- დარეგისტრირებული ბენეფიციარებისათვის საგნობრივი ტრენინგების განხორციელება.

*მიზნობრივი ჯგუფები:*
ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლები.

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგები | შედეგების მიღწევის გზები |
|---|---|
| 1. „მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა" ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების 253 | 1.1 „მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის" თარგმნა აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე. |

| | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლბლო სკოლის მასწავლებლებისა და დირექტორებისთვის. | 1.2 „მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ რუბრიკების და გზამკლევის მასალების თარგმნა აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე<br><br>1.3 „მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ აზერბაიჯანულენოვანი, რუსულენოვანი და სომხურენოვანი ელექტრონული და ბეჭდური ვერსიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.<br><br>1.4 სამუშაო შეხვედრების და პრეზენტაციების ორგანიზება სკოლის დირექტორებისთვის და მასწავლებლებისთვის მათ მშობლიურ ენაზე. |
| 2. „ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდამჭერა“ პროგრამაში დარეგისტრირებულ პირებს ჩაუტარდათ საგნობრივი ტრენინგები. | 2.1 შესაბამისი საგნის კონსულტანტების მიერ სატრენინგო და სხვა პროფესიული მასალების ადაპტირება არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებისათვის.<br><br>2.2 საგნისა და პროფესიული უნარების მოდულებისა და საკითხავი მასალების ადაპტირებული ვერსიის თარგმნა აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე.<br><br>2.3 ადგილობრივი მასწავლებლების გამოვლენა, რომლებიც გაუწევენ ასისტირებას ცენტრის ტრენერებს.<br><br>2.4 საგნობრივი ტრენერების ტრენინგი და მათთან მოდულების განხილვა.<br><br>2.5 ტრენინგების ჩატარება სამიზნე ჯგუფებთან.<br><br>2.6 მონაწილეების მიერ ტრენინგების შეფასების კითხვარის ანალიზი. |

| პროგრამის შეფასების მთავარი კრიტერიუმები/ინდიკატორები | | |
|---|---|---|
| **მიზნები/შედეგები** | **ინდიკატორი** | **გადამოწმების წყარო** |
| 1. „მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“ ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების 253 ზოგადსაგანმანათლბლო სკოლების | 1.1არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლბლო სკოლის დირექტორთა და მასწავლებელთა 80% მიიღო ინფორმაცია „მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ შესახებ მშობლიურ ენაზე<br>1.2არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების | 1.1 სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.<br>1.2 „მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ პუბლიკაციის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი (მიღება-ჩაბარების აქტი). |

| | | |
|---|---|---|
| მასწავლებლებისა და დირექტორებისთვის. | 80% მიიღო „მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ და მასთან დაკავშირებული წესების ბეჭდური ვერსიები მშობლიურ ენაზე. | 1.3 სამუშაო მივლინების ანგარიში. |
| 2.„ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერა“ პროგრამით გათვალისწინებული მასწავლებლების დატრენინგება. | 2.1 შესაბამისი საგნის კონსულტანტების მიერ მომზადებული სატრენინგო და სხვა პროფესიული მასალების ადაპტირებული ვერსიები.<br>2.2 მასწავლებლებმა ტრენინგზე მიიღეს საგნისა და პროფესიული უნარების ადაპტირებული ვერსიის ნათარგმნი საკითხავი მასალები აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე.<br>2.3 მასწავლებლებმა ტრენინგი მოისმინეს მშობლიურ ენაზე. | 2.1 არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებმა ტრენინგზე მიიღეს მათვის ადაპტირებული და მომზადებული სატრენინგო მასალის ბეჭდური ვერსია რაც დაადასტურეს მიღება ჩაბარების აქტით.<br>2.2 ტრენინგების შეფასების კითხვრაში გამოთქმული მოსაზრებები ტრენინგის შესახებ<br>2.3 მასწავლებლების მიერ ტრენინგის მშობლიურ ენაზე მოსმენასთან დაკავშირებბით ტრენინგის შეფასების კითხვარში გამოთქმული მოსაზრებები |

### 3.1.1 *ბიუჯეტი*

პროგრამის ბიუჯეტი მოცემულია დანართში #1.

## 3.2 „განათლების მართვის“ პროგრამა

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **განათლების მართვის პროგრამა** |
| პროგრამის ხანგრძლივობა | 2015 წელი |
| პროგრამის წლიური ბიუჯეტი | 124,000 ლარი |
| შემუშავების თარიღი | 2014 წლის დეკემბერი |
| დამტკიცების თარიღი | 2015 წლის იანვარი |

**პროგრამის იდეის მოკლე აღწერა**

*განათლების მართვის სისტემის პრობლემის* არსებობა ერთ-ერთი პრობლემაა „განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები“ -ს დოკუმენტის მიხედვით.

პროგრამის მიზანია საჯარო სკოლების მართვის პრაქტიკების და ეფექტურობის გაუმჯობესება სკოლაში დასაქმებული ადამიანური რესურსის ცოდნისა და უნარ -ჩვევების ამაღლების გზით.

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფებია: საჯარო სკოლის დირექტორები, მოადგილეები, ბიბლიოთეკარები, საქმისმწარმოებლები, საგანმანათლებლო რესურსცენტრების თანამშრომლები (სრგ უფროსი და მთავარი სპეციალისტი-პედაგოგი).

ინტერვენციებისათვის გამოყენებული იქნება სხვადასხვა სტრატეგიები: ტრენინგები, კონფერენცია, პუბლიკაციები. ახალი ტრენინგ მოდულების შემუშავება.

**პროგრამის საჭიროების დასაბუთება**

განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ეფექტის გასაძლიერებლად ჩატარებული ანალიტიკური სამუშაოების, განხორციელებული კვლევის შედეგების ანალიზისა და განათლების სპეციალისტების მოსაზრებების საფუძველზე შემუშავებულ დოკუმენტში „განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები“, მრავალ სხვა ასპექტებთან ერთად აღნიშნულია განათლების მართვის სისტემის პრობლემის არსებობა. ამ პრობლემაში მოიაზრება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექციის მიერ თანამედროვე გამოწვევათა შესაფერისი აქტივობების დაგეგმვისა და სწორი ორგანიზაციული მართვის განხორციელება, პრობლემათა იდენტიფიცირების, განმსაზღვრელი მიზეზების კვლევის, განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვა-ანგარიშგების, თანამშრომლობითი კულტურის ფორმირებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის ნაკლებობისა და არსებული კადრების პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების საჭიროება.

**პრობლემის ანალიზი**

განათლების მართვის სისტემის პრობლემის არსებობას მრავალი ფაქტორის ერთობლიობა განაპირობებს. შესაძლებელია გარკვეული ფაქტორების გამოვლენა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნების, ანგარიშების და აღმოჩენილი/გამოვლენილი ფაქტების ანალიზზე დაყრდნობით. ხარვეზები გამოვლენილია სკოლის ფინანსური მართვის, ადამიანური რესურსების მართვის და შრომითი ურთიერთობების, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების, ადმინისტრაციული საქმისწარმოების, კონტროლისა და ანგარიშვალდებულების, ბუღალტრული აღრიცხვის, მატერიალური რესურსების განკარგვის, ფინანსების განკარგვისა და კონტროლის სფეროებში.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტიც, რომ სკოლის დირექტორებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების მუშაკთა მნიშვნელოვანი ნაწილი ახლადდანიშნულია და საჭიროებს მხარდაჭერას. მხარდაჭერა განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: სკოლის ადმინისტრაციულ-ფინანსური მართვა, სკოლაში კონფლიქტისა და ძალადობის პრევენცია, ინტერკულტურული განათლება, ინკლუზიური განათლება და სხვა.

ამასთან, გასაძლიერებელია სკოლის საქმიანობაში ჩართული სხვა აქტორების როლიც. მაგალითად ძლიერ სუსტია ბიბლიოთეკარის როლი მოსწავლეთა წიგნიერების ამაღლებაში. ხარვეზები ასევე შეინიშნება სკოლის საქმისწარმოებაში.

მნიშვნელოვანია ასევე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვაში ჩართული სხვადასხვა რგოლების არასაკმარისი ურთიერთანამშრომლობა და კომუნიკაცია ცოდნისა და უნარ-ჩვევების ასამაღლებლად და წარმატებული პრაქტიკის მაგალითების ურთიერთგასაზიარებლად.

**მიზნობრივი ჯგუფების/ბენეფიციარების აღწერა/მათი საჭიროებები**

პროგრამის ბენეფიციარები არიან სკოლის დირექტორები, მოადგილეები, სკოლის საქმისმწარმოებლები, სკოლის ბიბლიოთეკარები და საგანმანათლებლო რესურს ცენტრების თანამშრომლები.

2014 წელს ჩატარებულმა სამუშაოებმა ნათლად დაგვანახა ის მთავარი ნაკლოვანებები და საჭიროებები, რასაც ადგილი აქვს ბენეფიციარების მიერ საქმიანობის განხორციელებისას. გამოიკვეთა, რომ მნიშვნელოვანია ამ საჭიროებებზე დაფუძნებული ინტეგრირებული მიდგომების შემუშავება გამოვლენილი სირთულეების გადასალახად, რაც საჯარო სკოლის ადმინისტრაციის წინაშე დგას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ადმინისტრაციულ კადრების ცოდნისა და უნარ - ჩვევების გაძლიერება სკოლის ფინანსური მართვის, ადამიანური რესურსების მართვა და შრომითი ურთიერთობების, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების, ადმინისტრაციული საქმისწარმოების, კონტროლისა და ანგარიშვალდებულების, ბუღალტრული აღრიცხვის, მატერიალური რესურსების განკარგვის, ფინანსების განკარგვა და კონტროლის, ინკლუზიური განათლების, სკოლაში კონფლიქტისა და ძალადობის პრევენციის საკითხებზე.

ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიშში ხაზგასმულია პრობლემები, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობენ საქართველოში დემოკრატიული მოქალაქეობის ინსტიტუტის ფორმირების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის, მრავალფეროვნების მართვისა და ინტერკულტურული განათლების ხელშეწყობის მიმართულებით. შესაბამისად, გასაძლიერებელია სკოლის ადმინისტრაციის ცოდნა და უნარ -ჩვევები ინტერკულტურული განათლების და დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლების მიმართულებებით.

სკოლის ბიბლიოთეკარების საჭიროებებზე 2014 წელს ჩატარებული საჭიროებების კვლევიდან გამომდინარე, საჭირო იქნება მათი მხარდაჭერა ცოდნისა და ახალი უნარ- ჩვევების შეძენისათვის სკოლის ბიბლიოთეკების აქტიურად ამოქმედებისათვის მოსწავლეთა წიგნიერების ასამაღლებლად. ასევე გამოვლინდა სკოლის საქმისმწარმოებლების საჭიროებები მათი პროფესიული უნარ - ჩვევების გასაუმჯობესებლად, რათა შემცირებული იქნას საქმისწარმოებაში არსებული ხარვეზების რაოდენობა.

**პროგრამის გრძელვადიანი მიზანი:**

საჯარო სკოლების მართვის პრაქტიკების და ეფექტურობის გაუმჯობესება სკოლაში დასაქმებული ადამიანური რესურსის ცოდნისა და უნარ -ჩვევების ამაღლების გზით.

**პროგრამის სპეციფიკური მიზან(ებ)ი:**

1. სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება მართვის თანამედროვე ხერხების დასაუფლებლად და პროფესიული ზრდის ხელშესაწყობად ტრენინგების საშუალებით სხვადასხვა აქტუალურ თემებზე;
2. სკოლაში დასაქმებულთა (დირექტორი, მოადგილე, ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი) და საგანმანათლებლო რესურსცენტრების თანამშრომელთა პროფესიული განვითარების, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებისათვის შესაძლებლობების შექმნა.

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგები | შედეგების მიღწევის გზები |
|---|---|
| 1. სკოლების დირექტორებსა და მოადგილეებს აქვთ ცოდნა და უნარები სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის მხარდამჭერი გარემოს ფორმირების საკითხებში. | • ტრენინგები<br>• საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება (კონფერენცია)<br>• პუბლიკაციები |

| | |
|---|---|
| 2. სკოლის დირექტორს/მოადგილეებს აქვთ ცოდნა და უნარები რათა ხელი შეუწყონ სასკოლო საზოგადოებების მრავალფეროვნების მართვას და ინტერკულტურული განათლების ხელშეწყობას სკოლებში. | • ტრენინგები<br>• პუბლიკაციები |
| 3. სკოლის დირექტორებს/მოადგილეებს აქვთ ცოდნა და ხედვა თუ როგორ შეუწყონ ხელი სასკოლო საზოგადოებებში სასკოლო კონფლიქტების გამოვლენას, მართვას, ძალადობის პრევენციას და ამ მიმართებით შეუძლიათ დაგეგმონ სასკოლო გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებები. | • ტრენინგები<br>• სამუშაო შეხვედრები<br>• პუბლიკაციები<br>• კონფერენცია |
| 4. სკოლებში გაუჯობესებულია საქმისწარმოება და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. | • ტრენინგები<br>• საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება (კონფერენცია) |
| 5. სკოლის ბიბლიოთეკარები უფრო ეფექტურად წარმართავენ სკოლის ბიბლიოთეკების საქმიანობას. | • ტრენინგები |
| **პროგრამის შეფასების მთავარი კრიტერიუმები/ინდიკატორები** | |

| შედეგი | ინდიკატორები | გადამოწმების წყარო |
|---|---|---|
| 1. მომზადებულია ტრენინგ მოდულები სამიზნე ჯგუფებისათვის აქტუალურ თემებზე | • მომზადებული ტრენინგ მოდულების რაოდენობა. (მომზადებულია 4 მოდული) | • ბრძანებები დამტკიცებულ ტრენინგ მოდულებზე;<br>• ტრენინგ მოდულების აღწერილობებიდა მასალები |
| 2.შეთავაზებულ ტრენინგებზე (მინიმუმ 7 დასახელების ტრენინგზე) დარეგისტრირებული სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებისათვის ჩატარებულია დაგეგმილი ტრენინგები. | • ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა (ჩატარებულია მინიმუმ 17 ტრენინგი ფინანსურ მართვაში, 6 სატესტო ტრენინგი 3 ახალ მოდულში);<br>• ტრენინგზე დარეგისტრირებული მსმენელების რაოდენობა. (დარეგისტრირებული მსმენელების 70% მა გაიარა ტრენინგი)<br>• ტრენინგის მონაწილეთა ტრენინგით კმაყოფილების % (ტრენინგის მონაწილეთა 70% კმაყოფილია ტრენინგით) | • ტრენერთა ანგარიშები<br>• ტრენინგზე მსმენელთა აღრიცხვის ფურცლები<br>• სატრენინგო მასალის მიღება - ჩაბარების აქტები;<br>• ტრენინგით კმაყოფილების გამოკითხვის ფურცლები. |
| 4. ჩატარებულია განათლების მართვის კონფერენცია. | • ჩატარებულია ერთი კონფერენცია<br>• კონფერენციაზე მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი | • კონფერენციის მასალები (დღის წესრიგი; სამუშაო მასალები, მონაწილეთა სიები, ა.შ.)<br>• კონფერენციის ამსახველი ფოტო მასალა; |

| | | |
|---|---|---|
| | მოხსენებების 90%-ში ასახული იქნება სკოლის მართვაში მონაწილეთა გამოცდილება და ხედვა აქტუალურ საკითხებზე;<br>• კონფერენციის მონაწილეთა და მომხსენებელთა რაოდენობა; (დარეგისტრირებულთა 80% დაესწრო კონფერენციას)<br>• კონფერენციის მონაწილეთა კონფერენციით კმაყოფილების %. (კონფერენციით კმაყოფილია 70%) | • აღრიცხვის ფურცლები<br>• კონფერენციით კმაყოფილების გამოკითხვის ფურცლები. |
| 5. ცენტრის პუბლიკაციები ხელმისაწვდომია კონფერენციის მონაწილეებისათვის | • მომზადებული და გავრცელებული პუბლიკაციების რაოდენობა. (დარიგებულია მინიმუმ 7 დასახელების პუბლიკაცია) | • პუბლიკაციები<br>• მიღება ჩაბარების აქტები |

### 3.1.2 *ბიუჯეტი*

პროგრამის ბიუჯეტი მოცემულია დანართში #1.

## 3.3 „მაძიებლობისა და დამწყები მასწავლებლის მხარდაჭერის“ პროგრამა

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **მაძიებლობისა და დამწყები მასწავლებლის მხარდაჭერის პროგრამა** |
| პროგრამის ხანგრძლივობა | 2015 წელი |
| პროგრამის წლიური ბიუჯეტი | 130,000 ლარი |
| შემუშავების თარიღი | 2014 წლის დეკემბერი |
| დამტკიცების თარიღი | 2015 წლის იანვარი |

**პროგრამის იდეის მოკლე აღწერა**

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანაში, ზოგადი განათლების სისტემის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევა მასწავლებლის პროფესიაში ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრის მოზიდვა, პროფესიის გაახალგაზრდავება და ახალგაზრდა კადრების პროფესიაში შენარჩუნებაა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგთა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კვლევის ანალიზის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში მიღებული ცოდნა და განსაკუთრებით, პრაქტიკისათვის განკუთვნილი მცირე დრო არასაკმარისია იმისათვის, რომ დამწყებმა მასწავლებელმა შესაბამისი პროფესიული უნარები შეიძინოს და განივითაროს. სწორედ ამიტომ, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ახალი რეგულაციის მიხედვით, მასწავლებლის მომზადებისა და საქმიანობის დაწყების მიმართულებით შესულია ცვლილება საუნივერსიტეტო პროგრამებში და გაზრდილია სასკოლო პრაქტიკის წილი.

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ მასწავლებლის პროფესიის მიტოვების მაჩვენებელი მაღალია სკოლაში სწავლების დაწყებიდან 2 წლამდე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დამწყები მასწავლებლის მხარდაჭერა კარიერის დაწყების დასაწყისშივე.

პროგრამაში ერთვებიან დამწყები მასწავლებლები, რომლებიც დამატებითი სერვისების განსაზღვრითა და მიწოდებით უზრუნველყოფილნი იქნებიან პროფესიული განვითარების მრავალფეროვანი მხარდამჭერი აქტივობებით.

<u>მიზანი:</u>
დამწყები მასწავლებლების პროფესიაში მოზიდვითა და შენარჩუნებით მათი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა.

<u>ბენეფიციარები:</u>
პროგრამის პირდაპირი ბენეფიციარები არიან დამწყები მასწავლებლები და კურატორები.
არაპირდაპირ ბენეფიციარებს წარმოადგენენ სკოლის დირექცია, შეფასების ჯგუფი და პროგრამაში ჩაურთველი მასწავლებლები, რომელთა გამოცდილებასაც ასევე იზიარებენ დამწყები მასწავლებლები.
არაპირდაპირ ბენეფიციარებს წარმოადგენენ ასევე ის მოსწავლეები, რომლებთანაც დამწყებ მასწავლებლებს უშუალო შეხება აქვთ სკოლის ფარგლებში.

<u>ინტერვენციის სტრატეგიები:</u>
(1) სკოლების ინფორმირება დამწყები მასწავლებლების მხარდაჭერის პროგრამის პოპულარიზაციისა და ვაკანსიების გამოვლენის მიზნით, (2) მასწავლებლობის კანდიდატების მონაცემთა ბაზის შექმნა, (3) კურატორობის კანდიდატი მასწავლებლების რეგისტრაციის პროცესის უზრუნველყოფა და მათი შერჩევა ღია კონკურსის გზით, (4) მასწავლებლობის კანდიდატების დაკავშირება ვაკანსიის მქონე სკოლებთან და მათი კოორდინირებული თანამშრომლობის ხელშეწყობა, (5) კურატორებისთვის კონსულტაციების გაწევა მათი დამწყებ მასწავლებლებთან მუშაობის მხარდასაჭერად, (6) დამწყები მასწავლებლების საჭიროებათა ანალიზი, (7) დამწყები მასწავლებლების საჭიროებათა ანალიზის გათვალისწინებით მათი ჩართვა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში: ტრენინგების, კონსულტაციების, სამუშაო შეხვედრების, სემინარებისა და კონფერენციის უზრუნველყოფა, (8) დამწყები მასწავლებლებისთვის წამახალისებელი და მამოტივირებელი ინსტრუმენტების შემუშავება, (9) სამუშაო პროცესის შეფასება და მონიტორინგი.

*პროგრამაში ნებაყოფლობით, სამოტივაციო წერილის საფუძველზე ჩაერთვებიან ერთი მხრივ, ახალბედა მასწავლებლები, რომლებიც 2015 წლის სექტემბრიდან იწყებენ სკოლებში მუშაობას, ხოლო მეორე მხრივ, ის მასწავლებლები, რომლებსაც სკოლაში პედაგოგიური მუშაობის 0-2 წლამდე სტაჟი/გამოცდილება უკვე აქვთ. ორივე სამიზნე ჯგუფი დამწყები მასწავლებლის სტატუსის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული განვითარების მრავალფეროვანი მხარდამჭერი აქტივობებით.*

**პროგრამის საჭიროების დასაბუთება**

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში აქტუალურია ახალგაზრდა, კვალიფიციური მასწავლებლების პროფესიაში მოზიდვის, პროფესიაში შენარჩუნების, მათი მოტივაციის ამაღლებისა და კომპეტენციების გაღრმავების საკითხი. მოტივირებული და კვალიფიციური კადრი მასწავლებლობით არ არის დაინტერესებული, რაც განპირობებულია მასწავლებლის დაბალი ანაზღაურებით, პროფესიის არაპრესტიჟულობით და სხვა ფაქტორებით. გარდა ამისა, მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამები ვერ უზრუნველყოფენ სათანადო ხარისხისა და მოცულობის პრაქტიკის კომპონენტს, რაც აუცილებელია ეფექტიანი პროფესიული საქმიანობისთვის.

აღნიშნული პრობლემა აქტუალურია დამწყები მასწავლებლებისთვის: პროფესიული კარიერის საწყის ეტაპზე დამწყები მასწავლებლები აწყდებიან მთელ რიგ სირთულეებს, რომელთა გადალახვაც დამოუკიდებლად უჭირთ და ხშირად ეს სკოლის დატოვების საფუძველიც ხდება. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა აქვს გამოცდილი კოლეგების, ექსპერტებისა და კონსულტანტების მიზანმიმართულ და კვალიფიციურ დახმარებას, რაც ერთი მხრივ, საკადრო დეფიციტის აღმოფხვრისა და მეორე მხრივ, სკოლაში კადრების „დაბერების" შეჩერების წინაპირობაა.

სამომავლოდ განსაზღვრულია პროგრამის მჭიდრო თანამშრომლობა/თანამონაწილეობა შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლების განახლებული პროგრამების ბენეფიციარებთან. ეს პროცესი ხელს შეუწყობს ახალი, კვალიფიციური კადრისების მოზიდვას სკოლაში და ვაკანსიების გაჯერებას მასწავლებლობის უფლების მქონე მომზადებული პირებით.

**პრობლემის ანალიზი**

2012 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეგიდით „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის" მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, ასევე „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის" სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე, გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომელიც დროულ და ეფექტურ მოგვარებას საჭიროებს, მათ შორის რამდენიმე, მოცემული პროგრამის ფარგლებშია:

- დაბალია (და კვლავ იკლებს) მასწავლებლის პროფესიაში შემომსვლელთა რაოდენობა;
- დაბალია მასწავლებლობის მსურველ სტუდენტთა აკადემიური რეიტინგი;
- დაბალია სკოლებში დამწყებ მასწავლებელთა რაოდენობა;
- საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ფიქსირდება კონკრეტული საგნების მასწავლებლების დეფიციტი;
- სხვადასხვა ფაქტორით გამოწვეული ახალბედა მასწავლებელთა გადინება სკოლებიდან;
- წინასწარი ზეპირი გამოკითხვის შედეგად თავს იჩენს 2015 წლის სექტემბრიდან მასწავლებლის

საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში დამწყებ მასწავლებელთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები.

- უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ფარგლებში ვერ გაიზომება ის შედეგები, რომლებიც არაპირდაპირ ბენეფიციარებს შეეხება.
- პროგრამა ამოქმედდება 2015 წლის სექტემბრიდან.

**მიზნობრივი ჯგუფების/ბენეფიციარების აღწერა/მათი საჭიროებები**

პროგრამის ბენფიციარები არიან:
2015 წლის სექტემბრიდან სკოლაში მუშაობის დამწყები - ახალბედა მასწავლებლები, რომლებიც საჭიროებენ მიზანმიმართულ პროფესიულ ხელშეწყობას, მოტივაციის ამაღლებასა და პროფესიაში შენარჩუნებას. დამწყები მასწავლებლები ჩაერთვებიან პროგრამაში და უზრუნველყოფილნი იქნებიან პროფესიული განვითარების მრავალფეროვანი მხარდამჭერი აქტივობებით. მათ მიეცემათ შესაძლებლობა შეიძინონ და განივითარონ მასწავლებლობისთვის საჭირო პრაქტიკული უნარები,

მიიღონ სკოლაში სწავლების სათანადო გამოცდილება და მოიპოვონ მასწავლებლის შესაბამისი სტატუსი.

კურატორები - გამოცდილი და კვალიფიციური მოქმედი მასწავლებლები (უფროსის, წამყვანისა და მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლები), რომლებსაც აქვთ სურვილი და მზაობა გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება დამწყებ მასწავლებლებს და უხელმძღვანელონ მათ პედაგოგიურ საქმიანობას სკოლაში.

პროგრამის სხვადასხვა ეტაპზე ბენეფიციარები მონაწილეობენ პროფესიული განვითარების ტრენინგებში, კონფერენციებში, კვლევებსა და გამოკითხვებში, რომელთა მიზანია დამწყები მასწავლებლების საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიების დაგეგმვა.

**პროგრამის მიზანი**

1. დამწყები, მოტივირებული და შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის მოზიდვა მასწავლებლის პროფესიაში და მათი დასაქმების ხელშეწყობა;
2. დამწყები მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერა;

**პროგრამის ამოცანები**

ზემოთაღნიშნული მიზნის განხორციელებისთვის აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება (დამწყები მასწავლებლების სკოლებში რეკრუტირება მთელი სასწავლო წლის განმავლობაში იწარმოებს):

1) სკოლების ინფორმირება დამწყები მასწავლებლების მხარდაჭერის პროგრამის პოპულარიზაციისა და ვაკანსიების გამოვლენის მიზნით;
2) შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირთა (მასწავლებლობის კანდიდატების) მონაცემთა ბაზის შექმნა;
3) მოქმედ დამწყებ მასწავლებელთა პროგრამაში ჩართვის ორგანიზება ნებაყოფლობით;
4) მასწავლებელობის კანიდატთა დაკავშირება ვაკანსიის მქონე სკოლებთან და მათი კოორდინირებული თანამშრომლობის ხელშეწყობა;
5) კურატორობის კანდიდატი მასწავლებლების რეგისტრაციის პროცესის უზრუნველყოფა და მათი შერჩევა ღია კონკურსის გზით;
6) კურატორებისთვის კონსულტაციების გაწევა დამწყებ მასწავლებლებთან ეფექტიანი მუშაობის მიზნით;
7) დამწყებ მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენა;
8) დამწყები მასწავლებლების ჩართვა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში: ტრენინგების/სემინარების/შეხვედრების უზრუნველყოფა;
9) დამწყებ მასწავლებელთა შეფასება და პროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგი;

| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგები** | **შედეგების მიღწევის გზები** |
|---|---|
| 1. მოტივირებულმა, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებმა დაიწყეს მასწავლებლად მუშაობა და ჩაერთნენ დამწყებ მასწავლებელთა მხარდაჭერის პროგრამაში; | 1.1.პროგრამის მხარდამჭერი საინფორმაციო კამპანიისა და პოპულარიზაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა;<br>1.2.სკოლებში მასწავლებლების ვაკანსიების გამოვლენის ხელშეწყობა;<br>1.3.პროგრამის ფარგლებში პოტენციურ დამწყებ მასწავლებელთა ბაზისა და ვაკანსიების კოორდინაცია;<br>1.4.მოქმედ დამწყებ მასწავლებელთა ინფორმირება;<br>1.5.სამოტივაციო წერილის საფუძველზე მასწავლებლების ჩართვა პროგრამაში; |
| 2. კურატორების კომპეტენციები განვითარდა | 2.1.კურატორების შერჩევა ღია კონკურსის წესით;<br>2.2.კურატორებისთვის კონსულტაციების უზრუნველყოფა დამწყებ მასწავლებლებთან ნაყოფიერი მუშაობის მიღწევის მიზნით;<br>2.3.კურატორების მუშაობის მონიტორინგი;<br>2.4.კურატორის ფინანსური მხარდაჭერა; |
| 3. განხორციელდა დამწყები მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდამჭერი ღონისძიებები; | 3.1. დამწყები მასწავლებლების გამოკითხვა, საჭიროებების დადგენა თვითშეფასების კითხვარის საფუძველზე;<br>3.2. საჭიროებათა ანალიზის საფუძველზე |

| | |
|---|---|
| | ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავება;<br>3.3. ტრენინგების, სემინარებისა და შეხვედრების უზრუნველყოფა დამწყები მასწავლებლებისთვის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის საფუძველზე/გათვალისწინებით;<br>3.4.კურატორისა და დამწყები მასწავლებლის სამუშაო შეხვედრებსა და დამწყები მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებზე დასწრება;<br>3.5. დამწყები მასწავლებლებისა და კურატორების პერიოდული გამოკითხვა;<br>3.6. სკოლის ჩართულობის უზრუნველყოფა დამწყები მასწავლებლის მხარდაჭერის პროცესში;<br>3.7. დამწყები მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროცესის მონიტორინგი და შეფასება. |
| 4. დამწყები  მასწავლებლის მხარდაჭერის პროგრამის  პოპულარიზაცია. | 4.1. პროგრამის მხარდამჭერი საინფორმაციო კამპანიისა და პოპულარიზაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა. |

**პროგრამის შეფასების მთავარი კრიტერიუმები/ინდიკატორები**

| **მიზნები/შედეგები** | **ინდიკატორი** | **გადამოწმების წყარო** |
|---|---|---|
| 1. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოტივირებულმა პირებმა მუშაობა დაიწყეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში; | 1.1. სკოლებში მასწავლებლების ვაკანსიების 30% შეივსო ახალბედა შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებლებით. | 1.1.1.ცენტრის სარეგისტრაციო ვებგვერდი;<br>1.1.2.განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზა/სტატისტიკა;<br>1.1.3.www.pedagogi.ge<br>1.1.4.პროგრამის ანგარიში; |
| 2. მასწავლებლობის კანდიდატები დასაქმდნენ სკოლებში; | 2.1. პროგრამამ დააკავშირა პოტენციური დამწყები მასწავლებლები სკოლებთან.<br>2.2. პროგრამის ფარგლებში (კანდიდატთა ბაზა) დამწყებ მასწავლებელთა დასაქმების მაჩვენებელი 25%-ს აღწევს; | 2.2.1.  ცენტრის მიერ გაცემული  სერტიფიკატები;<br>2.2.2. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზა/სტატისტიკა; |
| 3. დამწყებმა მასწავლებლებმა აიმაღლეს კომპეტენციები; | პროგრამაში მონაწილე დამწყები მასწავლებლების:<br>3.1. 90%-მა თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა;<br>3.2. 70%-მა გაიარა გეგმით დადგენილი აქტივობები. | 3.2.1. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზა/სტატისტიკა;<br>3.2.2. პროგრამის ანგარიში; |
| **პროგრამის სპეციფიური მიზან(ებ)ი/შედეგები:** | | |
| 1. სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია დამწყები მასწავლებლების მხარდაჭერის პროგრამისა და ვაკანსიების რეგისტრაციის შესახებ. | 1.1. საჯარო და კერძო სკოლების 90% ინფორმირებულია.<br>1.2.  სკოლები სასწავლო წლის განმავლობაში არეგისტრირებენ ვაკანსიების 90%-ს ცენტრის ვებგვერდზე. | 1.1.1. პროგრამის შინაარსი, პროცედურა და ვაკანსიების ინსტრუქცია განთავსებულია ცენტრის ვებგვერზე;<br>1.1.2. საინფორმაციო წერილი რესურსცენტრებისთვის; |

| | | |
|---|---|---|
| | | 1.1.3. ცენტრის სარეგისტრაციო ვებგვერდი; |
| 2. შეიქმნა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირთა (მასწავლებლობის კანდიდატთა) მონაცემთა ბაზა; | 2.1. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფარგლებში გაანალიზებულია მასწავლებლობის კანდიდატების მონაცემების 95%;<br>2.2. გაანალიზებულია 2014-2015 წლის განათლების მიმართულებით კურსდამთავრებულთა მონაცემების 90%; | 2.1.1. ცენტრის სარეგისტრაციო ვებგვერდი;<br>2.1.2. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზა/სტატისტიკა;<br>2.1.3. ცენტრის მონაცემთა ბაზა;<br>2.1.4. უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა რეესტრი; |
| 3. დამწყები მასწავლებლები პროგრამაში ჩაერთვნენ ნებაყოფლობით; | 3.1. პროგრამაში ჩართვის მსურველების სარეგისტრაციო განაცხადების 100% განხილული და გაანალიზებულიაა. | 3.1.1. პროგრამაში ჩართვის მსურველთა სარეგისტრაციო განაცხადები; |
| 4. მასწავლებელობის კანიდატები დაუკავშირდნენ ვაკანსიის მქონე სკოლებს და მათ შორის შედგა თანამშრომლობა; | 4.1. სკოლებმა ვებგვერდზე დაარეგისტრირეს მასწავლებლების ვაკანსიების 90%.<br>4.2. ცენტრის მონაცემთა ბაზიდან სკოლებს დაუკავშირდა მასწავლებლობის კანდიდატების 50%;<br>4.3. დაკავშირებულთაგან თანამშრომლობა შედგა კანდიდატების 50%-თან; | 4.1.1. ცენტრის სარეგისტრაციო ვებგვერდი;<br>4.2.1. ცენტრის მონაცემთა ბაზა;<br>4.2.2. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზა/სტატისტიკა;<br>4.2.3. ცენტრის საინფორმაციო წერილი სკოლებისთვის; |
| 5. კურატორობის კანდიდატი მასწავლებლები დარეგისტრირდნენ და კურატორები შეირჩნენ ღია კონკურსის გზით; | 5.1. ცენტრმა დაარეგისტრირა ვაკანსიების მქონე სკოლებში კურატორობის მსურველი ყველა მასწავლებელი;<br>5.2. ცენტრმა კონკურსის გზით შეარჩია კურატორების დამწყები მასწავლებლების პროპორციული რაოდენობა; | 5.1.1. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზა/სტატისტიკა;<br>5.1.2. კურატორების განაცხადის ფორმები;<br>5.1.3. კურატორთა კონკურსის ოქმები; |
| 6. დაიგეგმა და ჩატარდა ინდივიდუალური კონსულტირება კურატორებისთვის დამწყებ მასწავლებლებთან მათი ეფექტური მუშაობის მიზნით; | 6.1. განისაზღვრა კურატორების 90%-ის საჭიროებები;<br>6.2. გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე დაიგეგმა მხარდამჭერი ღონისძიებები კურატორების 90%-ისთვის;<br>6.3. პროგრამაში ჩართული კურატორების განხორციელდა დაგეგმილი მხარდამჭერი ღონისძიებების 70%; | 6.1.1. ტრენერ-კონსულტანტების მიერ შევსებული ანგარიშის ფორმები;<br>6.1.2. ბენეფიციარების სემესტრული ანგარიშის ფორმები; |
| 7. დამწყებ მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებები განისაზღვრა; | 7.1. დამწყებ მასწავლებელთა მიერ შევსებული კითხვარების 100% გაანალიზებულია და მათი პროფესიული საჭირიროებები დადგენილია. | 7.1.1. დამწყები მასწავლებლების მიერ თვითშეფასების შევსებული ფორმები;<br>7.1.2. კურატორების ანგარიშის ფორმები; |

| | | |
|---|---|---|
| | 7.2. კურატორების ანგარიშის 100% გაანალიზებულია; | |
| 8. ტრენინგების/სემინარების/ შეხვედრების უზრუნველყოფა დამწყებ მასწავლებელთათვის; | 8.1. ბენეფიციარების 85% დაესწრო დაგეგმილ ტრენინგებს, სემინარებსა და შეხვედრებს.<br>8.2. მონაწილეთა 70% ჩართული იყო სამუშაო პროცესში. | 8.1.1. ტრენინგებზე დასწრების უწყისები;<br>8.1.2. ტრენინგის შეფასების ფორმები;<br>8.1.3. მონაწილეთა მიერ ტრენინგის შეფასების კითხვარები;<br>8.1.4. მონაწილეთა უკუკავშირი და თვითშეფასება; |
| 9. დამწყები მასწავლებლები შეფასდნენ და ჩატარდა პროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგი; | 9.1. პროგრამაში ჩართული დამწყები მასწავლებლების 95%-ისოთხთვიანი საქმიანობა შეფასდა;<br>9.2. მონიტორინგის ფარგლებში ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლებით შეფასდა ბენეფიციარების 90%-ის სამუშაო პროცესი; | 9.2.1. ტრენინგის შეფასების ფორმები/ანგარიშები;<br>9.2.2. კურატორების ანგარიშის ფორმები;<br>9.2.3. ტრენერ-კონსულტანტების ანგარიშები;<br>9.2.4. პროფესიული საქაღალდე;<br>9.2.5. სკოლის შეფასების ჯგუფის ანგარიში;<br>9.2.6. თვითსეფასების კითხვარი;<br>9.2.7. პროგრამის ანგარიში. |

### *3.3.1. ბიუჯეტი*

პროგრამის ბიუჯეტი მოცემულია დანართში #1.

## 3.4 „სასკოლო ქსელების“ პროგრამა

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **სასკოლო ქსელების პროგრამა** |
| პროგრამის ხანგრძლივობა | 2015 წელი |
| პროგრამის წლიური ბიუჯეტი | 250,000 ლარი |
| შემუშავების თარიღი | 2014 წლის დეკემბერი |
| დამტკიცების თარიღი | 2015 წლის იანვარი |

**პროგრამის იდეის მოკლე აღწერა**

**მთავარი პრობლემა:** თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე გადასვლის პირობებშ ისკოლებს შორის მიმდინარეობს ფარული თუ ღია კონკურენცია. სკოლები ერიდებიან სხვებისათვის გამოცდილების გაზიარებას სხვადასხვა ფაქტორის გამო: 1. სისტემაში არ არსებობს სკოლების თანამშრომლობისათვის წახალისების მექანიზმი; 2. არ არის დამკვიდრებული სკოლებს შორის თანამშრომლობის კულტურა 3. სკოლების შეზღუდული რესურსი შეუძლებელს ხდის სკოლების მიერ დამატებითი ხარჯების გაღებას ამ მიმართულებით 4. სკოლის საზოგადოება მტკივნეულად უყურებს საკუთარი სუსტი მხარის წარმოჩენას, შესაბამისად, ამჯობინებს იზოლაციაში ყოფნას (წყარო: სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების საპილოტე პროგრამის მონიტორინგის შედეგები).

სკოლების იზოლაცია უარყოფითად მოქმედებს როგორც მასწავლებლებზე, ისე მოსწავლეებზე. ხშირია შემთხვევები, როცა საგნობრივ ტრენინგებზე დარეგისტრირებულ მასწავლებლებს რეგიონებიდან უჭირთ შორ მანძილზე ჩამოსვლა, ადგილებზე კი ახლომდებარე სკოლებთან კომუნიკაციის ნაკლებობის / არქონის გამო ვერ ხერხდება ჯგუფის დაკომპლექტება. ამიტომ ჯერ კიდევ არის რაიონები, რომელთა სკოლების მასწავლებლების ნაწილს არ მიეცა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობა, ანუ ირღვევა მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპი. ერთი საგნის მასწავლებლები ახლომდებარე სკოლებიდან ერთმანეთს არც იცნობენ, არა აქვთ გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა, რაც უარყოფითად აისახება მათს პროფესიულ განვითარებაზე. სკოლების იზოლაცია მოსწავლეებსაც უქმნის პრობლემებს. იზრდება კონფლიქტების რისკი.

**მიზნობრივი ჯგუფი:** სკოლები, რომლებმაც გამოთქვეს პროგრამაში ჩართვის სურვილი და შეირჩნენ წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე. კერძოდ:

- სამოტივაციო წერილის შინაარსის შესაბამისობა პროგრამის მიზნებსა და ამოცანებთან / პროგრამის არსისა და მნიშვნელობის გააზრება;
- მასწავლებელთა თანხმობა;
- მდებარეობა;
- სამუშაო პირობები (ოთახი შეხვედრებისათვის, გათბობა, კომპიუტერი და პროექტორი.

**მიზანი** - სკოლებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბება სასკოლო ქსელების შექმნის გზით.

- სკოლების საჭიროებების დადგენა და პრობლემების გადაჭრა სკოლების ერთობლივი საქმიანობებით.
- მასწავლებელთა საქმიანობის ხარისხის ეფექტიანობის ზრდა ურთიერთსწავლების გზით.
- ადამიანური და მატერიალური რესურსების რესურსების გაზიარება-გაცვლის გზით მათი ეფექტიანი და რაციონალური გამოყენება.
- სკოლების ცხოვრებაში საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა.
- მასწავლებელთა პროფესიული ასოციაციების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

რაც საბოლოოდ სკოლის განვითარებასა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

**ინტერვენციის სტრატეგია** - პრეზენტაციები პროგრამის შესახებ, საპილოტე სკოლების შერჩევა, სკოლების დაჯგუფება ქსელების ფარგლებში, ტრენინგები სასკოლო ქსელების კოორდინატორებისათვის / კონსულტანტებისა და სასკოლო ქსელში ჩართული სკოლებისათვის, კონსულტაციები (თითოეულ სკოლაში თვეში ერთხელ), რესურსებით უზრუნველყოფა (სასკოლო ქსელის პრაქტიკული გზამკვლევი, ტრენინგების საკითხავი მასალები, კონსულტაციებზე მიწოდებული საკითავი მასალები და სასწავლო ფილმები და სხვა), პროგრამის მონიტორინგი და შეფასება, სამუშაო შეხვედრები და კონფერენციები, ერთობლივი პროექტები, საუკეთესო საქმიანობის წახალისება (პროექტების კონკურსი).

**პროგრამის საჭიროების დასაბუთება**

საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია ზოგადი განათლების სისტემის განვითარებისა და საჯარო სკოლებში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისკენ. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია განვითარებაზე ორიენტირებული სკოლებითა და პროფესიონალი მასწავლებლების გუნდით, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მუდმივად სრულყოფენ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკას, ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. 2013 წლიდან 206 სკოლაში მიმდინარეობდა სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის პილოტირება, რომელმაც პილოტირების პროცესში ჩართულ სკოლებში შექმნა მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ჯგუფები, ჯგუფები, რომლებსაც შეუძლიათ პროფესიული საჭიროებების დადგენა როგორც ინდივიდუალურ, ისე სკოლის დონეზე და პროფესიული განვითარების საქმიანობების დაგეგმვა როგორც ინდივიდუალურ, ისე სკოლის დონეზე. სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამამ დიდი ინტერესი გამოიწვია არაჩართულ სკოლებში. პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს ბევრი სკოლა მომართავს პროგრამაში ჩართვის თხოვნით. ჩართული სკოლების გამოცდილების გამოყენებისა და ადამიანური, დროითი თუ მატერიალურ-ფინანსური რესურსების ოპტიმიზაციისათვის საჭიროა შეიქმნას სასკოლო ქსელების პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს სკოლებს შორის ურთიერთანამშრომლობას, განვითარებაზე ორიენტირებული ღია სკოლების სისტემის ჩამოყალიბებას, მასწავლებლებს მისცემს საშუალებას გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება სხვა სკოლების მასწავლებლებს და, პირიქით; ერთად იმსჯელონ პროფესიული ხასიათის პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე. ეს პროფესიული ასოციაციების ჩამოყალიბების წინაპირობად შეიძლება იქცეს. სკოლებს შორის თანამშრომლობა აამაღლებს მათ ავტორიტეტს ადგილობრივ საზოგადოებაში და, თავის მხრივ, გაზრდის საზოგადოების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.

**პრობლემის ანალიზი**

დაგეგმილი ეკონომიკიდან თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე გადასვლამ სკოლებიც დააყენა სერიოზული გამოწვევების წინაშე. რთულია კონკურენციის, ხარისხის განვითარების ახალი სისტემების შექმნისა და შენარჩუნების, ანგარიშვალდებულებისა და ავტონომიურობის ბალანსირების პირობებში სწავლა სწავლების ხარისხზე ზრუნვა. სკოლებს შორის მიმდინარეობს ფარული თუ ღია კონკურენცია შეზღუდულ რესურსებზე, ეს განსაკუთრებით ქალაქის სკოლებში იგრძნობა. სოფლის სკოლები არანაკლებ განიცდიან თანამშროლობის ნაკლებობას, ტერიტორიული, რესურსების ნაკლებობის თუ სხვა ფაქტორების გამო ნაკლებია სკოლებს შორის თანამშრომლობა. წარმატებულ სკოლებს არა აქვთ საკუთარი მიღწევების სხვებისთვის გაზიარების სურვილი და/ან შესაძლებლობა. ასეთ ვითარებაში ზარალდება თავად სკოლაც, მასწავლებელიცა და მოსწავლეც.

სკოლების იზოლაციური ფუნქციონირება თანამშრომლობის ხელისშემშლელი ფაქტორია, რაც, თავის მხრივ, აფერხებს მათი განვითარების პროცესს. სკოლებს არ ეძლევათ გამოცდილების ურთიერთგაზიარების შესაძლებლობა, რაც საკუთარი საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეების ობიექტურ შეფასებას, პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათი გადაჭრის ეფექტური გზების მონახვას უშლის ხელს. სკოლები ხშირად ჩივიან რესურსების ნაკლებობაზე მაშინ, როცა სწორედ თანამშრომლობით შეიძლება ადამიანური, დროითი და მატერიალური რესურსების გაზიარება-გაცვლა. სკოლების იზოლაცია უარყოფითად მოქმედებს როგორც მასწავლებლებზე, ისე მოსწავლეებზე. ხშირია შემთხვევები, როცა საგნობრივ ტრენინგებზე დარეგისტრირებულ მასწავლებლებს რეგიონებიდან უჭირთ შორ მანძილზე ჩამოსვლა, ადგილებზე კი ახლომდებარე სკოლებთან კომუნიკაციის ნაკლებობის / არქონის გამო ვერ ხერხდება ჯგუფის დაკომპლექტება. ამიტომ ჯერ კიდევ არის რაიონები, რომელთა სკოლების მასწავლებლების ნაწილს არ მიეცა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობა. ხშირია შემთხვევები, როცა ერთი საგნის მასწავლებლები ახლომდებარე სკოლებიდან ერთმანეთს არც იცნობენ, არ აქვთ გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა, რაც უარყოფითად აისახება მათს პროფესიულ განვითარებაზე. სკოლების იზოლაცია მოსწავლეებსაც უქმნის პრობლემებს. იზრდება კონფლიქტების რისკი.

სკოლებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობებისათვის არ არსებობს არც წამახალისებელი სახელმწიფო პოლიტიკა. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში სკოლების აკრედიტაციის (აკადემიზაციის) მოთხოვნებს შორის ერთ-ერთი სწორედ სასკოლო ქსელებში აქტიური მონაწილეობაა. ასე რომ, სკოლების თანამშრომლობა გარე მხარდაჭერასაც საჭიროებს.

**მიზნობრივი ჯგუფების / ბენეფიციარების აღწერა / მათი საჭიროებები**

სამოტივაციო წერილის საფუძველზე შეირჩევა 350-მდე სკოლა, რომლებიც სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილე სკოლებთან ერთად შექმნიან სასკოლო ქსელებს (პროგრამის მონაწილე 2 / 1 სკოლა + 2 / 3 ახალი სკოლა). სასკოლო ქსელების მუშაობაში სკოლებიდან

| | |
|---|---|
| მონაწილეობას მიიღებენ სკოლის დირექტორი, მოადგილე, სამი საგნობრივი მიმართულების (საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული და ტექნიკური) წარმომადგენლები, თუმცა ქსელების მუშაობაში სხვადასხვა საგნის მასწავლებლებიც ჩაერთვებიან იმისდა მიხედვით, რა საჭიროებები და პრობლემები გამოიკვეთება. ეს საშულებას მოგვცემს მოვიცვათ ქსელში ჩართული სკოლების თითქმის ყველა მასწავლებელი.<br><br>მას შემდეგ, რაც დადგინდება სკოლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეების საჭიროებები, ამ საჭიროებების გათვალისწინებით მომზადდება ტრენინგმოდულები, დადგინდება კონსულტაციების თემატიკა და შეიქმნება შესაბამისი რესურსები. | |
| **პროგრამის გრძელვადიანი მიზანი:**<br><br>პროგრამის მიზანია თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარების გზით სკოლებში არსებული გამოცდილებისა და კარგი პრაქტიკის გაზიარების ხელშეწყობა. | |
| **პროგრამის სპეციფიკური მიზან(ებ)ი:**<br><br>- სასკოლო ქსელების ფორმირების ხელშეწყობა;<br>- სკოლების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება სასკოლო ქსელების საჭიროებების ანალიზის გათვალისწინებით | |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგები** | **შედეგების მიღწევის გზები** |
| ფორმირებულია სასკოლო ქსელები. | • კონკურსის გამოცხადება და წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით სასკოლო ქსელებში მონაწილე სკოლების შერჩევა;<br>• სკოლების დაჯგუფება სასკოლო ქსელებად;<br>• სასკოლო ქსელების მონაწილეებთან ქსელების მუშაობის შესახებ საინფორმაციო ტრენინგებისა და კონსულტაციების ჩატარება;<br>• სასკოლო ქსელების ფეისბუკ გვერდის შექმნა. |
| განხორციელებულია სკოლების მხარდამჭერი ღონისძიებები სასკოლო ქსელების საჭიროებების ანალიზის გათვალისწინებით. | • სასკოლო ქსელებისთვის ტრენინგებისა და კონსულტაციების ჩატარება მათი საჭიროებების დასადგენად;<br>• სკოლების მიერ საკუთარი საჭიროებების დადგენა;<br>• სკოლების საჭიროებების ანალიზის საფუძველზე ქსელისათვის საერთო პრობლემის იდენტიფიცირება და მათი სამოქმედო გეგმის შემუშავება;<br>• ტრენინგებითა და კონსულტაციებით სკოლების სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობა. |
| განხორციელებულია ერთობლივი ღონისძიებები სასკოლო ქსელების მიერ. | • სასკოლო ქსელების სამუშაო შეხვედრები;<br>• საგნობრივი ჯგუფების მასწავლებელთა შეხვედრები და ერთობლივად განხორციელებული აქტივობები. |
| მობილიზებულია სასკოლო ქსელებში არსებული რესურსები. | • სკოლებში არსებული საგანმანათლებლო რესურსების კატალოგიზაცია;<br>• საჭიროებებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე ახალი საგანმანათლებლო რესურსების ერთობლივად შექმნა და მათი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში;<br>• არსებული რესურსების გაზიარება ქსელის სკოლებში და სოციალურ ქსელში/ქსელის ფეისბუკზე. |
| საზოგადოება ჩართულია სკოლის/სასკოლო ცხოვრებაში. | • სამუშაო შეხვედრების ორგანიზება საზოგადოების ჩართულობის საშუალებებსა და მეთოდებზე<br>• საზოგადოებისათვის გასაცნობი ინფორმაციის თემატიკის განსაზღვრა |

| | |
|---|---|
| | • სხვადასხვა საშუალებების გამოყენება საზოგადოების ინფორმირებისათვის სკოლაში მიმდინარე პროცესებზე. |

| **პროგრამის შეფასების მთავარი კრიტერიუმები/ინდიკატორები** | | |
|---|---|---|
| **შედეგი** | **ინდიკატორები** | **გადამოწმების წყარო** |
| 1. ფორმირებულია სასკოლო ქსელები | 1.1. 2015 წლის 20 -30 იანვრის პერიოდში ცხადდება კონკურსი სასკოლო ქსელში გაერთიანების მსურველთათვის.<br>1.2. სკოლების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადების 90% სწორედ არის შევსებული და ექვემდებარება განხილვას;<br>1.3. საკონკურსო კომისიის დასკვნა-შერჩეული 354 სკოლის განაწილება 90 სასკოლო ქსელში ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით;<br>1.4. ყველა სასკოლო ქსელში ჩატარებული საინფორმაციო ტრენინგი/კონსულტაცია | 1.1.1. ვებგვერდზე კონკურსის შესახებ ინფორმაციის განთავსება<br>1.1.2. ბრძანება საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ და თანდართული განაცხადის ფორმა<br>1.1.3. კომისიის სხდომის ოქმი.<br>1.1.4. მონიტორინგის ანგარიში<br>1.1.5. შესაბამისი ტრენინგმოდულები, ტრენერ-კონსულტანტთა ანგარიშები, მსმენელთა დასწრების ფურცლები |
| 2. განხორციელებულია სკოლების მხარდამჭერი ღონისძიებები სასკოლო ქსელების საჭიროებების ანალიზის გათვალისწინებით | 1.1 სკოლების 100% ში ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრები;<br>1.2 ქსელების დაახლოვებით 50% დაგეგმავს და განახორციელებს პედაგოგიურ კვლევას;<br>1.3 სკოლების 100% -ში ჩატარდება წელიწადში მინიმუმ ერთი ღია გაკვეთილი კათედრაზე;<br>1.4 სკოლების 80% ერთმანეთს უცვლის ინფორმაციას სიახლეების შესახებ. | 2.1.1. ღონისძიებების ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა; განხორციელებული პროექტების ანგარიშები;<br>2.2.1. მონიტორინგის ანგარიში;<br>2.3.1. ქსელის სამუშაო გეგმები, ტრენერთა ანგარიშები, საკონსულტაციო და ტრენინგმოდულები, აღრიცხვის ფურცლები.<br>2.4Facebook-ზე ჯგუფის მიერ გაზიარებული ინფორმაციები. |
| 3.განხორციელებულია ერთობლივი ღონისძიებები სასკოლო ქსელების მიერ | 3.1 ყოველი საკონსულტაციო შეხვედრის შემდეგ ქსელებში (შეხვედრების საერთო რაოდენობის 60 %- ) ჩატარებული სამუშაო შეხვედრები (მინიმუმ 5 სამუშაო შეხვედრა) ქსელის სკოლების საგნობრივი ჯგუფების/კლასის მასწავლებელთა და ერთი ინტრესთა სფეროს მასწავლებელთა მონაწილეობით.<br><br>3.2 სასკოლო ქსელის 70%-ში სამუშაო გეგმის მიხედვით განხორციელებული მინიმუმ ერთი ერთობლივი სასწავლო აქტივობა (ინტეგრირებული გაკვეთილი, პრაქტიკის კვლევა, | 3.1.1. შეხვედრების ამსახველი ოქმები. სხვა მასალები, შესაბამისი კითხვარი და მონიტორინგის ანგარიში<br>3.1.2. ქსელის სამუშაო გეგმა.<br>3.1.3. შეხვედრებისა და ჩატარებულ ღონისძიებათა ამსახველი მასალები. მასწავლებელთა მიზნობრივი ჯგუების საქმიანობის ამსახველი მასალები. ტრენერ-კონსულტანტთა შეფასება-ანგარიში |

| | | |
|---|---|---|
| | საგაკვეთილო/სასწავლო პროექტი და სხვ.) | |
| 4.მობილიზებულია სასკოლო ქსელებში არსებული რესურსები | 4.1 ყველა ქსელში ჩატარებული ტრენინგი და კონსულტაცია საგანმანათლებლო რესურსებზე და მათ მნიშვნელობაზე;<br>4.2. ქსელში გაერთიანებული სკოლების მინიმუმ 80 % -ში აღწერილი და კატალოგიზებული არსებული საგანმანათლებლო რესურსები;<br>4.3 სასწავლო მიზნების შესაბამისად სასკოლო ქსელების 60 % -ში მინიმუმ ერთი სასწავლო რესურსის მოძიება - დამზადება;<br>4.4 სასკოლო ქსელების 70%-ში არსებული და მასწავლებლების მიერ ერთობლივად შექმნილი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით დაგეგმილი და ჩატარებული გაკვეთილები . | 3.1.1. მონიტორინგის ანგარიში;<br>3.1.2. ანგარიშები, ფეისბუკზე ატვირთული საგანმანათლებლო რესურსების კატალოგები;<br>3.1.3. პედაგოგთა გამოხმაურებები, გაკვეთილის გეგმები;<br>3.1.4. ტრენერ-კონსულტანტთა ანგარიშები. |
| 5. საზოგადოება ჩართულია სკოლის/სასკოლო ცხოვრებაში | 5.1. ორგანიზებული სამუშაო შეხვედრების რაოდენობა საზოგადოების ჩართულობის საშუალებებსა და მეთოდებზე. | 5.1.1. სამუსაო შეხვედრების ანგარიში<br>5.1.2. სკოლების მიერ მომზადებული საინფორმაციო ფურცლების, სასკოლო გაზეთების, ელექტრონული საშუალებების სახეები. |

### *3.4.1. ბიუჯეტი*

პროგრამის ბიუჯეტი მოცემულია დანართში #1.

### 3.5 „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მართვის“ პროგრამა

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მართვა.** |
| პროგრამის ხანგრძლივობა | 2015 წელი |
| პროგრამის წლიური ბიუჯეტი | 350,000 ლარი |
| შემუშავების თარიღი | 2014 წლის დეკემბერი |
| დამტკიცების თარიღი | 2015 წლის იანვარი |

**პროგრამის იდეის მოკლე აღწერა**

დღემდე, ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებში არ არსებობს მასწავლებელის პროფესიული საქმიანობის ობიექტური შეფასების სისტემა. არსებული შეფასების სისტემას არ აქვს კავშირი პროფესიულ განვითარებასთან, არ ასახავს რეალურ სასწავლო პროცესს სკოლაში.

მასწავლებლის პროფესიული განვითარების მოქმედი სქემის მიხედვით, მასწავლებლისთვის კატეგორიის მინიჭება ეყრდნობა მხოლოდ გარე შეფასებას, რომელიც არ არის გამჭვირვალე. მასწავლებლის შეფასების პროცესში სკოლა არ არის ჩართული, რაც უარყოფითად მოქმედებს სკოლაში ურთიერთანამშრომლობის და პასუხისმგებლობის კულტურის განვითარებაზე .

„მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მართვის“ პროგრამის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების შიდა შეფასების ჯგუფები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლები.

პროგრამის მიზანია:

- მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის ობიექტური და გამჭირვალე შეფასების სისტემის დანერგვა;
- სკოლებზე პასუხისმგებლობის დელეგირება, მათი ავტონომიურობის გაზრდა.

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მართვის პროგრამის მიზნის მისაღწევად იგეგმება ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებში მასწავლებელთა მრავალმხრივი საქმიანობის შეფასების სრულფასოვანი მექანიზმების ამოქმედება, შეფასების ეფექტური, გამჭვირვალე სისტემის დანერგვა.

კარგად მომზადებული და ორგანიზებული შეფასება, საფუძვლიანი თვითშეფასებისა და სკოლაში შიდა შეფასების გზით, მოემსახურება სასკოლო გარემოსა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, თითოეული მასწავლებლის პროფესიულ ზრდას.

სკოლებში საფუძველი ჩაეყრება ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარების სისტემას. ეს სკოლის განვითარების საწინდარია.

**პროგრამის აქტუალობა**

კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“ 2014 წლის 28 ნოემბერს საქართველოს პარალამენტის მიერ მიღებული ცვლილებები განსაზღვრავს, რომ მასწავლებლობის საქმიანობის დაწყება, პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ ამ კანონის შესაბამისად დამტკიცებული „მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ მიხედვით.

პროგრამის მიზანია მოამზადოს ყველა პირობა სქემის წარმატებული ამოქმედებისათვის.

ამ ცვლილებების განხორციელება გულისხმობს სკოლებში მასწავლებელთა საქმიანობის შიდა შეფასების პროცესის ორგანიზებას და განვითარებას, მის განხორციელებას ობიექტურად და გამჭვირვალედ. ამის საფუძველი დღეს სკოლებში სამწუხაროდ არ არსებობს. სკოლებში შესაქმნელი შიდა შეფასების ჯგუფები თავის მუშაობაში უნდა დაეყრდნონ შეფასების ელექტრონულ სისტემას, რომლემაც უნდა უზრუნველყოს პროცესების გამჭვირვალობა.

| |
|---|
| შიდა შეფასების ობიექტურობისათვის, სანდოობისათვის და გამჭვირვალობისათვის ჩამოსაყალიბებელია ცენტრალიზებული მონიტორინგის სისტემა.<br><br>პროგრამის ერთ-ერთი მიზანი არის 2011-2014 წწ-ში სქემაში ჩართული მასწავლებლების ამ პერიოდში გაწეული საქმიანობის შეფასება. ეს პროცესი გამოყენებული იქნება შეფასების ინსტრუმენტების და შეფასების ელექტრონული სისტემის პილოტირებისათვის. |
| **პროგრამის საჭიროების დასაბუთება** |
| 2015 წლის 20 თებერვლის საქართველოს მთავრობის N68 დადგენილებით დამტკიცდა „მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემა“.<br><br>განსხვავებით არსებული სქემისგან რომლიც იყენებდა მხოლოდ ცენტარლიზებულ გარე შეფასებას, ახალი სქემის მიხედვით სკოლა სრულფასოვნად ჩაერთვება მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის მრავალმხრივ შეფასებაში. სკოლებზე პასუხისმგებლობის დელეგირება ხელს შეუწყობს ადგილზე ხარისიხის მართვის ეფექტიანი სისტემების შექმნას, მასწავლებლებელი უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს სკოლის განვითარების პროცესში.<br><br>არსებულ სქემაში არ იყო განსაზღვრული მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობების შეფასების მკაფიო კრიტერიუმები. არ იყო შემუშავებული სტანდარტიზებული შეფასების რუბრიკები.<br><br>შეფასების სისტემა აღარ იქნება გაუმჭვირვალე, ის მკაცრად დეყრდნობა მასწავლებლის ახალ ოთხდონიან პროფესიულ სტანდარტს. შეფასების რუბრიკები წინასწარ იქნება ხელმისწავდომი მასწავლებლებისათვის, თვითშეფასების და განმავითარებელი შეფასების გამოყენება დაეხმარება მას პროფესიულ წინსვლაში.<br><br>შეფასების სისტემის გამჭვირვალედ და გამართულად მოქმედებისათვის შესაქმნელია შეფასების ელექტრონული სისტემა რომელიც თავს მოუყრის და მოაწესრიგებს შეფასების პროცესში მიღებულ ინფორმაციას.<br><br>2011 წლიდან 2014 წლამდე მოქმედებდა, საქართველოს განათლებისა და მეცინიერების მინისტრის 2011 წლის 19 მაისის N90/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა“. მასში ჩართულია 8148 მასწავლბლი. აუცილებელია არსებულ სქემაში ჩართული მასწავლებლების გაწეული პროფესიული საქმიანობის შეფასება 2015 წლის ბოლომდე.<br><br>სკოლის შიდა შეფასების პროცესის ობიექტურობისათვის აუცილებელია შეფასების ჯგუფის საქმიანობის მონიტორინგის პროცესის დაგეგმვა და დანერგვა. შესარჩევია და მოსამზადებელი მონიტორინგის კვალიფიციური სპეციალისტები.<br><br>მთლიანობაში პროგრამის მიზანია მოამზადოს საფუძველი მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის წარმატებული ამოქმედებისათვის. |
| **პრობლემის ანალიზი** |
| 2010 წლიდან საქართველოში ამოქმედდა მასწავლებელთა საქმიანობის შეფასება სერტიფიცირების გამოცდის საფუძველზე. რომლის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში მასწავლებელი იღებდა მასწავლებლობის უფლებას. სერტიფიცირება ვერ აფასებს მასწავლებლის პრაქტიკულ უნარებს, იგი მხოლოდ თეორიული ცოდნის შემოწმებაზეა ორიენტირებული. მასწავლებლის შეფასება არ აისახებოდა მის კარიერულ წინსვლაზე, არ არსებობობდა მკაფიო მექანიზმები, რომლებიც ამას განსაზღვრავს.<br><br>2011 წელს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე ამოქმედდა მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა, რომელშიც ნებაყოფლობით შეუძლიათ ჩართვა მხოლოდ სერტიფიცირებულ მასწავლებელს. მასწავლებლები სქემით განსაზღვრული კრედიტების დაგროვების საფუძველზე, 8 წლიანი ინტერვალით გადაინაცვლებენ ერთი კატეგორიიდან მომდევნო, |

უფრო მაღალ კატეგორიაზე. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მოქმედი სქემა ითვალისწინებს მასწავლებლის სამ კატეგორიას: სერტიფიცირებული, პირველი და უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი.

2011 წელს დამტკიცებული მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემით არ არის მკაფიოდ გაწერილი მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები, რაც განაპირობებს შეფასების არაგამჭვირვალობას, ხდის მას არასანდოს და მისდამი უარყოფითად განაწყობს მასწავლებელთა დიდ ნაწილს. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მოქმედი სქემა არ ეფუძნება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს. არსებული სქემით კატეგორიიდან კატეგორიებზე გადასვლა მხოლოდ კრედიტების მოცულობაზე არის დამოკიდებული და არა მისაღწევი კატეგორიის კომპეტენციებზე.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მოქმედ სქემაში ჩართვის წესი პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის პროცესის მიღმა ტოვებს არასერტიფიცირებულ მასწავლებლებს, ამავდროულად მასში ჩართვა სერტიფიცირებული მასწავლებლებისთვისაც ნებაყოფლობითია, რაც ზღუდავს სქემაში ჩაურთველთა პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს. მოქმედი სქემის მიხედვით, მასწავლებლისთვის კატეგორიის მინიჭება ეყრდნობა მხოლოდ გარე შეფასებას, რომელიც არ არის გამჭვირვალე. მასწავლებლის შეფასების პროცესში სკოლა არ არის ჩართული, რაც აფერხებს სკოლის განვითარებას.

**მიზნობრივი ჯგუფების/ბენეფიციარების აღწერა/მათი საჭიროებები**

პროგრამის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლები და ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში შესაქმნელი შეფასების ჯგუფის წევრები.

**პროგრამის გრძელვადიანი მიზანი**

- სკოლებში შიდა შეფასების პროცესის სანდოობის ჩამოყალიბება.
- სკოლებში შიდა შეფასების ჯგუფების ავტონომიურობის გაზრდა.
- ელექტრონული შეფასების სისტემის განვითარება, საინფორმაციო ტექნოლოგიების მეტი ინტეგრირება შეფასების პროცესებში.

**პროგრამის სპეციფიური მიზნები**

- 2011-14 წლებში არსებულ მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში ჩართული მასწავლებლების პროფესიული პორტფოლიოების შეფასება და დაგროვილი კრედიტქულების განსაზღვრა (8148 სქემაში ჩართული მასწავლებლის)
- შეფასების ელექტრონული სისტემის შექმნასა და მისი პილოტირების პროცესში განათლების მართვის საინფორმაციოს სისტემასთან (EMIS) თანამონაწილეობა. სისტემის პილოტირება, 2011-2014 წლებში არსებულ მასწ.პროფ.განვითარების სქემაში ჩართული მასწავლებლების შეფასებას პროცესის დროს განხორციელდება.
- „მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის" ფარგლებში შიდა შეფასების ჯგუფების საქმიანობის მონიტორინგის პროცესის შემუშავება.

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგები | შედეგების მიღწევის გზები |
|---|---|
| შეფასედბა 2011-14 წლებში არსებულ მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში ჩართული 8148 მასწავლებლის პროფესიული პორტფოლიოები. 2015 წლის ბოლომდე განისაზღვრება მათ მიერ დაგროვილი კრედიტ-ქულები. | • ვიმუშავებთ მასწავლებლების შეფასებისათვის სავალდებულო დოკუმენტაციის სიისა და განაცხადის ფორმის შექმნაზე<br>• ცენტრის კონსულტანტები და მოწვეული ექსპერტები იმუშავებენ სქემის აქტივობების შეფასების კრიტერიუმების და რუბრიკების შემუშავებაზე.<br>• შეირჩევა შემფასებლების გუნდი რომლებიც მომზადდებიან მასწავლებლების პორტფოლიოში მოთავსებული დოკუმენტაციის შეფასებაში<br>• განხორციელდება 2011-2014 წლებში, სქემაში ჩართულ მასწავლებლების პროფესიული პორტფოლიოების შეფასება. |

| | |
|---|---|
| შეიქმნება მასწავლების შეფასების ელექტრონული სისტემა და მოხდება მისი პილოტირება | • ერთობლივი მუშაობა განათლების მართვის საინფორმაციოს სისტემასთან (EMIS) ერთად შეფასების ელ. სისტემის პარამეტრებზე, მასში განსათვსებელი დოკუმენტაციის ფორმტზე.<br>• 2011-14 წლებში სქემაში ჩართულ მასწავლებლების შეფასებაში გამოვიყენებთ ელ. შეფასების სისტემას და ამ გზით მოხდება მისი პილოტირება. |
| შემუშავდება და განისაზღვრება შიდა შეფასების მონიტორინგის წესი. 2011-14 წლებში სქემაში ჩართული მასწავლებლების შეფასების პროცესში მოხდება მისი პილოტირება. | • ცენტრის კონსულტანტები და მოწვეული ექსპერტები იმუშავებენ შიდა შეფასების ჯგუფის საქმიანობის მონიტორინგის წესის შემუშავებაზე.<br>• პროგრამის ფარგლებში შიდა შეფასების მონიტორინგის სპეციალისტების კონკურსის გამოცხადება, რომლებიც ამ ეტპაზე განახორციელებენ ძველი სქემის მასწავლებლების შეფასებას.<br>• შიდა შეფასების მონიტორინგის სპეციალისტების მომზადება.<br>• შიდა შეფასების მონიტორინგის პროცესის პილოტირება 2011-14 წლებში სქემაში ჩართული მასწავლებლების შეფასების პროცესში. |

**პროგრამის შეფასების მთავარი კრიტერიუმები/ინდიკატორები**

| **მიზნები/შედეგები** | **ინდიკატორი** | **გადამოწმების წყარო** |
|---|---|---|
| • შექმნილია და დანერგილია მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის ობიექტური და გამჭირვალე შეფასების სისტემა.<br><br>• სკოლებზე დელეგირებულია მასწავლებელთა შიდა შეფასების პასუხისმგებლობა. | • შემუშავებული და დამტკიცებული მასწავლებლების საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები და სტანდარტიზებული რუბრიკები.<br>• შიდა შეფასების პროცესში მასწავლებლების მხრიდან არაობიექტური შეფასების შესახებ გასაჩივრების შემთხვევები ყოველწლიურად 15 % შემცირება.<br>• შერჩევითი მონიტორინგის პროცესის ყოველწლიური შედეგების თანახმად შიდა და გარე შეფასების შედეგებს შორის განსხვავების 5 %-იანი შემცირება;<br>• ყველა (100%) საჯარო სკოლაში შიდა შეფასების ჯგუფების არსებობა. | • გამოცემული გზამკვლევი.<br><br>• შიდა შეფასების ყოველწლიური მონიტორინგის ანგარიში.<br><br>• სკოლის დირექტირების მიერ გამოცემული ბრძანება შიდა შეფასების ჯგუფის შექმნის შესახებ. |
| • შეფასებულია მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში 2011-2014 წლებში ჩართული მასწავლებლების | • კომისიის მიერ შეფასებულია 8148 მასწავლებლების მიერ პორტფოლიოში | • ელ.შეფასების სისტემაში განთავსებული შეფასების დოკუმენტაცია და ანგარიშები; |

| | | |
|---|---|---|
| პორტფოლიოები და განსაზღვრულია მისანიჭებელი კრედიტქულები (8148 მონაწილე).<br><br>• თანამონაწილეობა განათლების მართვის საინფორმაციოს სისტემასთან (EMIS) შეფასების ელექტრონული სისტემის შექმნასა და მისი პილოტირების პროცესში.<br><br>• შემუშავებულია სკოლების შიდა შეფასების ჯგუფების საქმიანობის მონიტორინგის სისტემა. | წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მინიჭებულია შესაბამისი კრედიტქულები.<br><br>• ამუშავებულია ელქტრონული შეფასების სისტემა, რომელიც გამოყენებული იქნება 2011-14 წლებში სქემაში ჩართული 8148 მასწავლებლების შესაფასებლად.<br><br>• დამტკიცებულია მასწავლებლის შიდა შეფასების მონიტორინგის წესი. | • კომისიების მიერ შექმნილი დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს კრედიტქულის აღიარებას.<br><br>• განათლების მართვის საინფორმაციოს სისტემის (EMIS) ვებგვერდზე არსებული ელექტრონული შეფასების სისტემა.<br><br>• ცენტრის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი. |

### *3.5.1 ბიუჯეტი*

პროგრამის ბიუჯეტი მოცემულია დანართში #1.

### 3.6 „უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის“ პროგრამა

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის პროგრამა** |
| პროგრამის ხანგრძლივობა | 2015 წელი |
| პროგრამის წლიური ბიუჯეტი | 500,000 ლარი |
| შემუშავების თარიღი | 2014 წლის დეკემბერი |
| დამტკიცების თარიღი | 2015 წლის იანვარი |

**პროგრამის იდეის მოკლე აღწერა**

დღეს მოქმედი მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის მიხედვით, საქართველოში არ არსებობს მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის კომპლექსური, თანმიმდევრული და ერთიანი სისტემა, რომელშიც განსაზღვრული იქნება მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, მათი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისთვის საჭირო აქტივობები და ვადები.

**კანონმდებლობასთან შესაბამისობა:** პროფესიული განვითარების მოქმედი სქემა ითვალისწინებს მასწავლებლის სამ კატეგორიას: სერტიფიცირებული, პირველი და უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი. 2014 წლის მარტში შევიდა ცვლილება „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის“ ზოგად ნაწილში (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N39/ნ, 28/03/2014), რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია მასწავლებლის ოთხი სტატუსი. აქედან გამომდინარე, მასწავლებლის პროფესიული განვითარების არსებული სქემა არ შეესაბამება აღნიშნულ დოკუმენტს.

**პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა:** ამასთანავე, არსებულ სქემაში მასწავლებლის მიერ კატეგორიის მოპოვების შემდეგ მოუქნელია მისი კარიერული წინსვლის მექანიზმები. კატეგორიიდან კატეგორიაზე გადანაცვლება შესაძლებელია მხოლოდ 8-წლიანი ინტერვალით, განსაზღვრული კრედიტების დაგროვების საფუძველზე. სახელმწიფოს მხრიდან მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის ძირითად საშუალებად კი დღემდე რჩება ტრენინგები, რაც არ გვაძლევს იმის გარანტიას, რომ თითოეული მასწავლებელი მიიღებს სწორედ მის საჭიროებებზე მორგებულ მომსახურებას. არ არის შემუშავებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებლის მუდმივ, სისტემურ და მის საჭიროებაზე მორგებულ პროფესიულ განვითარებას. სკოლის ორგანიზაციული კულტურაც არ არის ორიენტირებული მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე.

**შეფასების სისტემა:** მოქმედი სქემის მიხედვით, მასწავლებლისთვის კატეგორიის მინიჭება ეყრდნობა მხოლოდ გარე შეფასებას. დღეს მასწავლებელთა ძალისხმევა და მოტივაცია, ძირითადად, მიმართულია სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარებასა და კატეგორიის მოპოვებაზე. ამას გარდა, მასწავლებლის სერტიფიცირების სისტემა არ მოიცავს განმავითარებელი შეფასების კომპონენტს, რაც, ერთი მხრივ, მიუთითებს იმაზე, რომ თავად შეფასების სისტემა არასრულყოფილია, ხოლო, მეორე მხრივ, საშუალებას არ აძლევს პროფესიაში მყოფ მასწავლებლებს, დააკვირდნენ საკუთარი პროფესიული განვითარების პროცესს, შეძლონ თვითრეფლექსია და, შესაბამისად, გაუჩნდეთ პროფესიული ზრდის სურვილი.

ამასთანავე, პროფესიული განვითარებისთვის სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ მომსახურებას ისევე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული საქმიანობისა და მათი კომპეტენციების შეფასების სისტემას, არა აქვს უშუალო კავშირი სასწავლო პროცესთან, ყოველდღიურ საგაკვეთილო პრაქტიკასთან და ნაკლებად ეხმიანება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს.

2014 წელს პარალამენტმა მიიღო საქართველოს კანონი, ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის $21^{7}$ მუხლის პირველი ქვეპუნქტი ითვალისწინებს მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მთავრობის მიერ დამტკიცებული სქემის განხორციელებას. „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“ ითვალისწინებს ამ პრობლემების აღმოფხვრასა და მასწავლებლის პროფესიის რეგულირების ერთიანი, თანმიმდევრული, სამართლიანი და გამჭვირვალე სისტემის დანერგვას.

უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის პროგრამის გრძელვადიანი მიზანია სკოლაში პროფესიული გარემოს გაუმჯობესება, ასევე თითოეული მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის ხელშეწყობა და ამ გზით სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება.

პროგრამა მიზნის მისაღწევად გეგმავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაზე პასუხისმგებლობის დელეგირების გზით სკოლებში მასწავლებელთა მრავალმხრივი საქმიანობის შეფასების სრულფასოვანი მექანიზმების ამოქმედებას, ასევე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და შეფასებისთვის ეფექტური და გამჭვირვალე სისტემის დანერგვის ხელშეწყობას.

უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის პროგრამის ძირითად მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ყველა მოქმედი მასწავლებელი.

**პროგრამის საჭიროების დასაბუთება**

2014 წელს პარალამენტის მიერ ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე მიღებული კანონის $21^7$ მუხლის („მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის“ შესახებ) პირველ ქვეპუნქტის თანახმად, მასწავლებლობის საქმიანობის დაწყება, პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ ამ კანონის შესაბამისად დამტკიცებული მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შესაბამისად. 2015-2016 სასწავლო წლიდან მოქმედი მასწავლებლები ავტომატურად ჩაერთვებიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარერიერული წინსვლის სქემაში“ და მათ დადგენილი წესით მიენიჭებათ შესაბამისი სტატუსები.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების 2011-2014 წლების სქემა ითვალისწინებდა მასწავლებლის სამ კატეგორიას (სერტიფიცირებული, პირველი და უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი), რომლებზეც გადანაცვლება შესაძლებელი იყო მხოლოდ 8-წლიანი ინტერვალით, განსაზღვრული კრედიტების დაგროვების საფუძველზე. 2014 წლის მარტში „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტში“ შეტანილი ცვლილების (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N39/ნ, 28/03/2014) შესაბამისად, განსაზღვრულია მასწავლებლის ოთხი სტატუსი (პრაქტიკოსი, უფროსი, წამყვანი და მენტორი), რომლებზეც გადასანაცვლებლად მხოლოდ მაქსიმალური ვადაა დადგენილი.

„უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის“ პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს „მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის“ სქემის წარმატებით დანერგვასა და ეფექტურ ფუნქციონირებას საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

ამ მიზნით საქართველოს 2080 საჯარო სკოლაში ეტაპობრივად უნდა მომზადდეს სკოლის შიდა შეფასების ჯგუფები, რომლებიც განახორციელებენ შიდა სასკოლო შეფასებას. მასწავლებელთა მუდმივი პროფესიული განვითარებისა და მათ საჭიროებაზე მორგებული მომსახურების უზრუნველსაყოფად ასევე საჭიროა კვალიფიციური ტრენერ-კონსულტანტებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ფასილიტატორების ეტაპობრივად მომზადება. შედეგად, მასწავლებლის პროფესიული განვითარების, ასევე მისი საქმიანობისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა იქნება თანამიმდევრული, ურთიერთთანმშრომლობაზე აგებული და, რაც მთავარია, აღარ იქნება მოწყვეტილი სასკოლო პრაქტიკისგან. გარდა ამისა, მოპოვებული სტატუსის შენარჩუნება ან მომდევნო სტატუსის მოპოვება დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ კრედიტ-ქულების დაგროვებაზე, არამედ სტატუსის შესაბამისი კომპეტენციების დაუფლებაზე.

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემა ემსახურება ხარისხიანი განათლების დამკვიდრებას. იგი ეფუძნება თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

**პრობლემის ანალიზი**

2011 წელს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე ამოქმედდა მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა. არსებული სქემის მიხედვით, არ არსებობს მასწავლებლის

საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის კომპლექსური, თანმიმდევრული და ერთიანი სისტემა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მოქმედ სქემაში ჩართვა შეუძლიათ მხოლოდ სერტიფიცირებულ მასწავლებლებს, რის შედეგადაც პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის პროცესის მიღმა რჩებიან არასერტიფიცირებული მასწავლებლები. ამასთანავე, მასში ჩართვა სერტიფიცირებული მასწავლებლებისთვისაც ნებაყოფლობითია, რაც ზღუდავს სქემაში ჩაურთველთა პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს.

გარდა ამისა, მასწავლებლებს, სქემით განსაზღვრული კრედიტების დაგროვების საფუძველზე, მხოლოდ 8-წლიანი ინტერვალით ეძლევათ შესაძლებლობა გადაინაცვლონ ერთი კატეგორიიდან მომდევნო, უფრო მაღალ კატეგორიაზე. მოქმედი სქემის მიხედვით, მასწავლებლის შეფასების პროცესში სკოლა არ არის ჩართული, რაც აფერხებს სკოლის, როგორც ინსტიტუციის, როლს მასწავლებლთა პროფესიულ განვითარებაში.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მოქმედი სქემა ნაკლებად ითვალისწინებს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს. არსებული სქემით ერთი კატეგორიიდან მეორე, უფრო მაღალ კატეგორიაზე გადასვლა დამოკიდებულია მხოლოდ კრედიტების მოცულობაზე და არა მისაღწევი კატეგორიისთვის აუცილებელ კომპეტენციებზე და, შესაბამისად, მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე.

მასწავლებელთა საქმიანობის შეფასება ხდება მხოლოდ სერტიფიცირების გამოცდის საფუძველზე, რომლის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში მასწავლებელი იღებს მასწავლებლობის უფლებას. სერტიფიცირების არსებული ფორმა ვერ აფასებს მასწავლებლის პრაქტიკულ უნარებს, იგი მხოლოდ თეორიული ცოდნის შემოწმებაზეა ორიენტირებული, ხოლო მისი შედეგები არ აისახება მასწავლებლის კარიერულ წინსვლაზე.

**მიზნობრივი ჯგუფების/ბენეფიციარების აღწერა/მათი საჭიროებები**

პროგრამის მთავარი ბენეფიციარები არიან საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგები და მოსწავლეები.

პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების ფარგლებში, მისი ბენეფიციარები არიან მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრები და სკოლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორები, რომლებიც ზრუნავენ თითოეული მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე და ახორციელებენ მათი საქმიანობის შეფასებას.

ახალი სქემის პროექტის მიხედვით, მასწავლებლის შეფასების ჯგუფი, რომელიც შედგება სკოლის დირექტორის, სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილის, სკოლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორისა და საგნობრივი კათედრის ერთი წევრისაგან, შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტების გამოყენებით აფასებს უფროსი და წამყვანი მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს, ასევე მასწავლებლის მიერ წარმოებულ პროფესიულ საქაღალდეს. ჯგუფი უზრუნველყოფს მასწავლებელთა ობიექტურ და სამართლიან შეფასებას, განმავითარებელი შეფასების საფუძველზე კომენტარებისა და რეკომენდაციების შეთავაზებას მასწავლებლებისთვის.

იმის გათვალისწინებით, რომ მასწავლებლებს უჭირთ საკუთარი პროფესიული განვითარების დაგეგმვა, ახალი ხედვის მიხედვით მათ ამ საქმიანობაში დაეხმარება სკოლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორი. სკოლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორი - ეს არის სკოლის ბაზაზე შერჩეული პროფესიონალი, რომლის შერჩევის კრიტერიუმებსაც დაადგენს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. ფასილიტატორი ეხმარება მასწავლებლებს პროფესიული საჭიროებების დადგენაში, ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, ასევე შესაბამისი აქტივობების განხორციელებაში ურთიერთთანამშრომლობის გზით. პროფესიული განვითარების ცენტრი ასევე უზრუნველყოფს ამ კადრის გადამზადებას სკოლებში, იმისათვის, რათა მათ შეძლონ კოლეგების პროფესიული განვითარების ციკლის ეფექტიანად დაგეგმვა.

**პროგრამის გრძელვადიანი მიზანი**

<table>
<tr><td colspan="2">პროგრამის მიზანია ზოგასაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა მხარდაჭერა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაში.</td></tr>
<tr><td colspan="2">პროგრამის სპეციფიკური მიზან(ებ)ი:<br><br>• მასწავლებელთა შეფასების ახალი სისტემის შექმნა და დანერგვა;<br>• მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ეფექტური სისტემის შექმნა სასწავლო პრაქტიკის გასაუმჯობესებლად;<br>• ახალი სისტემის (სქემის) შესახებ ცნობიერების ამაღლება და პოპულარიზაცია;<br>• მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარის მომზადება;<br>• სქემის გზამკვლევის მომზადება;<br>• მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორებისა და მასწავლებლის შეფასების ჯგუფების წევრების შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება;<br>• მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორებისა და მასწავლებლის შეფასების ჯგუფების წევრების ეტაპობრივი გადამზადება;<br>• ცენტრის ტრენერ-კონსულტანტების მიერ ტრენინგების ჩატარება და კონსულტირება.</td></tr>
<tr><th>პროგრამის მოსალოდნელი შედეგები</th><th>შედეგების მიღწევის გზები</th></tr>
<tr><td>• მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემატიზაცია.</td><td>• მასწავლებელთა თვითშეფასების კომპეტენციის განვითარება და სრულყოფა - შეფასების შედეგების გამოყენება საკუთარი პროფესიული განვითარებისათვის და მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად;<br><br>• სკოლის შეფასების ჯგუფებისა სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორების ეფექტური მუშაობის ხელშეწყობა - მათი ეტაპობრივი გადამზადება;<br><br>• ცენტრის მიერ სქემაში ჩართულ მასწავლებელთა მხარდამჭერი ღონისძიებების ორგანიზება;<br><br>• მასწავლებლის მიერ მიღწეული შედეგების აღიარება.</td></tr>
<tr><td>• სკოლის როლის გაზრდა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაში.</td><td>• სკოლაზე და მასწავლებელზე პასუხისმგებლობის დელეგირების საშუალებით სკოლის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა<br>• სკოლის შიდა შეფასების მექანიზმების შექმნა და დანერგვა.</td></tr>
<tr><td>• სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ამაღლება.</td><td>• სკოლაში ურთიერთსწავლებისა და გამოცდილების გაზიარების კულტურის დამკვიდრების ხელშემწყობი მექანიზმების დანერგვა;<br><br>• სკოლაში განმავითარებელი ურთიერთშეფასების პრაქტიკის დამკვიდრება;<br><br>• მასწავლებლის შეფასების ჯგუფისა და პროფესიული განვითარების ფასილიტატორების ინსტიტუტის ამოქმედება და განვითარება;</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| | • მასწავლებელთა ინდივიდუალური და ჯგუფური პასუხისმგებლობის გაზრდის ხელშეწყობასკოლის დონეზე. |
| • მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტების მომზადება და პილოტირება. | • მასწავლებლის პროფესიული საქაღალდის შეფასების რუბრიკების შემუშავება და პილოტირების გზით მათი დახვეწა-გადამუშავება;<br>• მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარის შემუშავება და პილოტირება. |
| • მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ინფორმაციული უზრუნველყოფა. | • სქემის გზამკვლევის მომზადება;<br>• საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება სკოლებთან/რესურს ცენტრებთან/უნივერსიტეტებთან. |
| • ცენტრის ტრენერ-კონსულტანტების ჯგუფის შექმნა. | • ტრენერ-კონსულტანტების შერჩევა და მათი მომზადება. |
| • მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორებისა და სკოლის შეფასების ჯგუფის წევრების გადამზადება. | • ფასილიტატორებისა და შეფასების ჯგუფის წევრების შერჩევის კრიტერიუმების შექმნა;<br>• სკოლის მიერ არჩეული პროფესიული განვითარების ფასილიტატორების მომზადება და მათ განვითარებაზე ზრუნვა. |

| **პროგრამის შეფასების მთავარი კრიტერიუმები/ინდიკატორები** | | |
|---|---|---|
| **მიზნები/შედეგები** | **ინდიკატორი** | **გადამოწმების წყარო** |
| • შემუშავებულია ახალი სისტემა. | • ხედვა შემუშავებულია,<br>• შესაბამის სამართლებრივ აქტებში ცვლილებები განხორციელებულია. | • ზოგადი განათლების შესახებ კანონი<br>• პროფესიული განვითარების სქემის დებულება<br>• ცენტრის შესაბამისი პროგრამები |
| • შეფასების ჯგუფისა და ფასილიტატორების პროფესიული განვითარება | • ჩატარდა ტრენინგების პირველი ეტაპი შეფასების ჯგუფის წევრებისა და პროფესიული განვითარების ფასილიტატორებისათვის. | • ტრენერ-კონსულტანტთა ანგარიშები<br>• მონიტორინგის შედეგები<br>• |
| • გაიზარდა სკოლის როლი მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაში. | • მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორების ინსტიტუტი ამოქმედებულია საჯარო სკოლებში.<br>• შეფასების ჯგუფები დაკომპლექტებულია ყველა საჯარო სკოლაში. | • საკანონმდებლო ცვლილება<br>• ამონაწერები სკოლების ოქმებიდან<br>• მონიტორინგის ანგარიში |
| • განხორციელებულია სქემის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებები. | • სქემის შესახებ გამართული საინფორმაციო შეხვედრები რაოდენობა საქართველოს ყველა რეგიონში.<br>• სარეკლამო საინფორმაციო პროდუქტების რაოდენობა. | • შეხვედრების ანგარიშები<br>• ცენტრის ვებ-გვერდზე ატვირთული ინფორმაცია ხშირად დასმულ კითხვებზე<br>• ვიდეორგოლი სქემის შესახებ<br>• სქემის გზამკვლევი |

| | | |
|---|---|---|
| | • სკოლებში დარიგებული ბეჭდური მასალების რაოდენობა. | |
| • შექმნილია და პილოტირებულია მასწავლებლთა შეფასების ინსტრუმენტები. | • არსებობს და გავრცელებულია მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარები<br>• მომზადებული მასწავლებლის პორტფოლიოს / პროფესიული საქაღალდის შეფასების რუბრიკები | • კითხვარის პილოტირების შედეგების ანალიზი<br>• თვითშეფასების კითხვარი<br>• შეფასების რუბრიკები |

### *3.6.1 ბიუჯეტი*

პროგრამის ბიუჯეტი მოცემულია დანართში #1.

### 3.7 სკოლის მასწავლებელთა ონლაინ სისტემაში ჩართვა და დამეგობრება ევროპის ქვეყნების მასწავლებლებთან (eTwinning Plus)

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **სკოლის მასწავლებელთა ონლაინ სისტემაში ჩართვა და დამეგობრება ევროპის ქვეყნების მასწავლებლებთან (eTwinning Plus)** |
| პროგრამის ხანგრძლივობა | 2015 წელი |
| პროგრამის წლიური ბიუჯეტი | 58,749 ლარი |
| პროგრამის ალტერნატიული დაფინანსების წყარო | 102,587,32 ევრო |
| შემუშავების თარიღი | 2014 წლის დეკემბერი |
| დამტკიცების თარიღი | 2015 წლის იანვარი |

**პროგრამის იდეის მოკლე აღწერა**

პროგრამის „ სკოლის მასწავლებელთა ონლაინ სისტემაში ჩართვა და დამეგობრება ევროპის ქვეყნების მასწავლებლებთან" (eTwinning Plus) მიზანია, ხელი შეუწყოს განათლების პოპულარიზაციას, კერძოდ, მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების პროცესს, პედაგოგებისთვის პროფესიული ზრდის საშუალებების შეთავაზების გზით.

Etwinning-ის ფარგლებში ქართველ მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ ითანამშრომლონ ევროპელ კოლეგებთან, დაამყარონ პროფესიული კავშირები ევროპის სხვადასხვა ტიპის სკოლების მასწავლებლებთან და განათლების სპეციალისტებთან, რათა ერთობლივად დაგეგმონ საგანმანათლებლო პროექტები.

*პროგრამის აღწერა*

eTwinningPlus-ი ევროპისა და მისი მეზობელი ქვეყნების სკოლების თანამშრომლობის ხელშესაწყობად შექმნილი ონლაინ პლატფორმაა, სადაც მასწავლებლებს, სკოლის დირექციას და სკოლაში მომუშავე სხვა პერსონალს ერთმანეთთან დაკავშირება, თანამშრომლობა, იდეების გაზიარება და სასწავლო პროექტების განხორციელება შეუძლიათ. პროგრამა საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, ევროპის მასშტაბით ყველაზე ცოცხალ და საინტერესო საგანმანათლებლო ქსელში ჩაერთო. eTwinningPlus პორტალი (http://plus.etwinning.net/en/pub/index.htm) მთავარი სამუშაო სივრცეა, რომელიც დარეგისტრირებულ მასწავლებლებს მრავალფეროვან ინსტრუმენტებსა და სერვისებს სთავაზობს პარტნიორების მოსაძებნად, სასურველი პროექტების შესარჩევად და მონაწილეობის მისაღებად, იდეებისა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გასაზიარებლად. საერთაშორისო საგანმანათლებლო თანამშრომლობით აქტივობებში მონაწილეობა ხელს შეუწყობს სასწავლო გამოცდილების გამდიდრებას და ავთენტური განზომილების შემოტანას საკლასო ოთახში. eTwinningPlus-ის პროექტის მრავალფეროვანი აქტივობები ასეთივე მრავალფეროვან სარგებელს სთავაზობს მოსწავლეებს.

*ძირითადი ღონისძიებები 2015 წლისათვის*

- პროგრამაში ჩართული სკოლის წარმომადგენლებისთვის საჭიროებებიდან გამომდინარე საინფორმაციო შეხვედრების, ტრენინგების, სემინარების ორგანიზება;
- გამოცდილების გაზიარების მიზნით რეგიონალური და წლიური კონფერენციის დაგეგმვა და განხორციელება;
- წარმატებული პრაქტიკის მქონე მასწავლებლების სტაჟირების მიზნით უცხოეთში განხორციელებულ კონფერენციებზე მივლინება;
- ინფორმაციის გაცვლისა და პროგრამაში ჩართული მონაწილეების კონსულტირების მიზნით პროგრამის ფარგლებში მომზადებულ ვებ-გვერდზე (etwinningplus.ge) მასწავლებელთა პორტალის შექმნა და პოპულარიზება;
- პროგრამის პოპულარიზების მიზნით სკოლებში ვიზიტი და პროგრამაში ჩართული მხარეებისთვის საინფორმაციო მასალების მომზადება;
- პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების ხარისხის შეფასების სისტემის მომზადება და დანერგვა;
- რეგიონალური დონეზე ტრენინგებისა და კონსულტაციების განხორციელების მიზნით ელჩების (ambassador) სისტემის ჩამოყალიბება, შერჩევა და ტრენინგების პროცესის განხორციელება.
- სკოლის ბაზაზე საგნობრივი და მეთოდოლოგიური ჯგუფის შექმნა, რომელიც დაეხმარება მასწავლებლებს იდეების განხოერციელებასა და სხვა სკოლების მასწავლებლებთან კომუნიკაციაში.

| |
|---|
| მჭიდრო თანამშრომლობა მეზობელი ქვეყნების პარტნიორ საგანტოებთან საერთაშორისო კონფერენციების ერთობლივი მომზადებისა და მასში მონაწილების მიღების მიზნით. |
| **პროგრამის საჭიროების დასაბუთება** |
| საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სკოლებში სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაა. აქედან გამომდინარე, განათლების სისტემის რეფორმირებისას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მასწავლებელთა პროფესიული კვალიფიკაციის დონის ამაღლება, საერთაშორისო სტანდარტებთან და მოთხოვნებთან მიახლოება, რაც უამრავი გამოწვევისა და სირთულის წინაშე აყენებს მასწავლებელს. ამ მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ევროკომისიის დახმარებით 2013 წლის მარტის თვიდან ახორციელებს მასწავლებელთა დამეგობრების პროგრამას. პროგრამა მიზანმიმართულია ქართველ და ევროპელ მასწავლებელთა დამეგობრებაზე, კომუნიკაციასა და გამოცდილების გაზიარებაზე.<br><br>eTtwinning-ის ფარგლებში ქართველი მასწავლებლები თანამშრომობენ ევროპელ კოლეგებთან, , რათა ერთობლივად დაგეგმონ საგანმანათლებლო პროექტები. ზემოთ აღნიშნული ეხმარება მასწავლებლებს საკომუნიკაციო კომპეტენციების დაუფლებაში, ამგვარი თანამშრომლობა ხელს უწყობს სწავლის მოტივაციის გაზრდას ასევე დადებითად მოქმედებს მასწავლებლების პროფესიულ განვითარებასა და მასწავლებლებს შორის გუნდური მუშაობის პრინციპების უკეთ ათვისებასა და საგნის ინტეგრირებულად სწავლებაზე. თავის მხრივ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი პროგრამის ფარგლებში დარეგისტრირებულ მასწავლებლებს სთავაზობს სხვადასხვა სახის სამუშაო შეხვედრებს, ტრენინგებსა და სემინარებს. |
| **პროგრამის რეზიუმე**<br><br>სკოლის მასწავლებელთა ონლაინ სისტემაში ჩართვა და დამეგობრება ევროპის ქვეყნების მასწავლებლებთან - პროგრამა (eTwinning Plus) - 2013 წლიდან დაიწყო. ამ ეტაპზე პროექტში ჩართულია 349 მასწავლებელი, 127 სკოლა, ხოლო აქტიური პროექტია 333, რომელსაც ქართველი და ევროპელი მასწავლებლები ერთობლივად ახორციელებენ. 2014 წლიდან ქართველ მასწავლებლებს საშუალება მიეცათ პროექტის ინიცირების, შესაბამისად უკვე არსებობს 14 ასეთი პროექტი, eTwinning Plus პორტალი მასწავლებლებს საშუალებას აძლევს გაიარონ ონლაინ სემინარები, რაც ემსახურება გამოცდილების გაზიარებასა და ახალი ინფორმაციის მიღებას. eTwinning Plus-ის პროგრამაში საქართველოსთან ერთად ჩაერთო შემდეგი ქვეყნები სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვეთი და უკრაინა. |
| ***მიზნობრივი ჯგუფების/ბენეფიციარების აღწერა/მათი საჭიროებები***<br><br>• საჯარო სკოლის მასწავლებლები;<br>• საჯარო სკოლის მოსწავლეები.<br>• |
| **პროგრამის გრძელვადიანი მიზნები** |
| პროგრამის მიზანია სწავლების ხარისხის გაუმჯობესება უწყვეტი პროფესიული განვითარების პროცესის და მოცდილების გაზიარების ხელშეწყობის გზით. |
| ***პროგრამის სპეციფიური მიზან(ებ)ი***<br>• გამოცდილების გაზიარების მიზნით დაეხმაროს მასწავლებელებს ჩამოაყალიბონ მყარი კოლეგიალური ურთიერთობები რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე;<br>• მისცეს მასწავლებლებს შესაძლებლობა ახალი იდეებისა და მიდგომების ჩამოყალიბება/ განვითარების, რომელიც შთაგონების წყარო იქნება პარტნიორი მასწავლებლებისთვის;<br>• ხელი შეუწყოს წარმატებული სასკოლო პრაქტიკის იდენტიფიცირებას და გაზიარებას.<br>• ხელი შეეწყოს სწავლების ინოვაციურ მეთოდებთან გაცნობას და გამოყენებას;<br>• გაზარდოს მოსწავლეთა ჩართულობა პროგრამაში, რაც დაეხმარება მათ ენის პრაქტიკის შეძენასა და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გაღრმავებაში. |

| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგები** | **შედეგების მიღწევის გზები** |
|---|---|

| | |
|---|---|
| • მასწავლებლებმა გაიუმჯობესეს საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები. | • მასწავლებლები თანამშროლობენ ევროპის ქვეყნების სხვადასხვა სკოლის მასწავლებლებთან, აქვთ მუდმივი მიმოწერა, ერთმანეთს უზიარებენ იდეებს<br>• მასწავლებლები პროექტებს გეგავენ უცხოელ კოლეგებთან ერთად<br>• ასრულებენ კონკრეტული პროექტის ადმინისტრატორის მიერ მითითებულ დავალებებს |
| • სკოლაში დაინერგა სწავლების თანამედროვე სწავლების მეთოდები. | ▪ მასწავლებლებისთვის ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები/ტრენინგები/სემინარები/კონფერენციე ბი<br>▪ მასწავლებლები გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს, გეგმავენ საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებს |
| • მოსწავლეებმა გაიუმჯობესეს თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები. | ▪ მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან მასწავლებლების მიერ დაგეგმილ აქტივობებში, კულტურულ პროექტებში, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.<br>▪ ეწყოვა ვიდეო კონფერენციები ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კოლეგებთან და ხდება ინფორმაციის ურთიერთგაცვლა<br>▪ მოსწავლეები გუნდურად მუშაობენ მითითებულ დავალებებზე<br>▪ აწარმოებენ მიმოწერას ევროპის სხვადასხვა ქვეყნის სკოლის მოსწავლეებთან. |
| • მოსწავლეებს აუმაღლდათ სწავლის მოტივაცია. | ▪ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული მრავალფეროვან სასწავლო პროექტებში;<br>▪ წახალისების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა სახის კონკურსი, რომლებშიც მოსწავლეებს მონაწილეობისა და მიღწევებისთვის შესაბამისი სიგელები, ჯილდოები და სიმბოლური საჩუქრები გადაეცემათ. |
| • მოსწავლეები და მასწავლებლები, ეცნობიან განსხვავებულ სოციალურ და კულტურულ ღირებულებებს. | • მასწავლებლები გეგმავენ გარკვეული ტიპის აქტივობებსს, რომლებიც მიმართულია სხვადასხვა სახის სოციალური და კულტურული ღირებულებების ურთიერთგაცვლაზე. მაგ: მუშაობა პროექტზე რომელიც მოიცავს იფორმაციის შეგროვებას სხვა ქვეყნის ტრადიციასა და ისტორიაზე. |

| ***პროგრამის შეფასების მთავარი კრიტერიუმები/ინდიკატორები*** | | |
|---|---|---|
| **მიზნები/შედეგები** | **ინდიკატორი** | **გადამოწმების წყარო** |
| **პროგრამის გრძელვადიანი მიზანი** | | |
| მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა,<br>სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი პედაგოგიური მეთოდების დანერგვა და პრაქტიკული გამოყენების უზრუნველყოფა. | | |
| **პროგრამის სპეციფიური მიზან(ებ)ი** | | |
| • კომპიუტერთან მუშაობის ტექნიკური უნარების გაუმჯობესებისა და პროგრამის ელექტრონული | • დარეგისტრირებული მასწავლებლების 80% ესწრება ტრენინგს. | • ტრენინგის დასწრების ფურცელი |

| | | |
|---|---|---|
| პორტალის უკეთ გაცნობის მიზნით მასწავლებლებისთვის ტრენინგების შეთავაზება. | | |
| • დარეგისტრირებული მასწავლებლების ჩართულობის უზრუნველყოფა პორტალზე უცხოელი კოლეგების მიერ ინიცირებულ პროექტებში | • დარეგისტრირებული მასწავლებლების 70% აქვს აქტიური პროექტი, ხოლო 30% ახდენს პროექტის ინიცირებას | • მონიტორინგის ანგარიში;<br>• პროგრამის ელექტრონული პორტალის მონაცემები<br>• Twinspace-ზე მასწავლებლების ნამუშევრები |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგები** | | |
| • დარეგისტრირებულმა მასწავლებლებმა გაიუმჯობესეს საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები. | • დარეგისტრირებული მასწავლებლების( 350) 60 % -მა (საერთო რაოდენობიდან) გაიუმჯობესა საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები: პორტალზე მუშაობისას დავალებებს /ინსტრუქციებს იძლევა უცხოურ ენაზე, რეგულარულად იყენებს უცხოურ ენას სხვა ქვეყნის მასწავლებლებთა ურთიერთობისას | • პროექტში ჩართული პარტნიორების რაოდენობა<br>• პროექტში შესრულებული დავალებები რაოდენობა და მონიტორინგის შედეგები |
| • სკოლაში დაინერგა სწავლების თანამედროვე მეთოდები | დარეგისტრირებული მასწავლებლების 60% იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს:<br>• მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება. პროექტებით სწავლება, ვიდეო პროექტისა და ციფრული თხრობის გამოყენება სწავლებაში,<br>• პედაგოგების 50% -მა პროცენტი ჩართულია სულ მცირე სამ სასწავლო პროექტში. | • ადგილობრივი მასწავლებლებისისა და სკოლის წარმომადგენლების გამოკითხვა<br>• ელექტრონუილ პორტალი მონაცემები<br>• პროექტის ფარგლებში შესრულებული დავალებები. |
| • მოსწავლეებმა გაიუმჯობესეს გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები. | • მოსწავლეთა რაოდენობა რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სასწავლო პროექტებსა და სხვა კლასგარეშე აქტივობებში; (თითო დარეგისტრირებული სკოლიდან სულ მცირე 30 მოსწავლე-ჯამში 3800 მოსწავლე). | • მასწავლებლების გამოკითხვა<br>• მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროექტების ანგარიშები<br>• Twinspace-მონიტორინგი |
| • მოსწავლეები და მასწავლებლები ეცნობიან განსხვავებულ სოციალურ და კულტურულ ღირებულებებს. | • სხვადასხვა ქვეყნის მიერ დაგეგმილ პროექტებში აქტიური მონაწილეობა (დარეგისტრირებული მასწავლებლების 70 %) ევროპის ქვეყნის კოლეგებთან ვიდეო კონფერენციები, | • მასწავლებლებისა და მოსწავლეების გამოკითხვის შედეგები<br>• გაზრდილი პროექტების რიცხვი<br>• საინტერესო იდეები ახალი პროექტის ინიცირებისათვის |

| | | |
|---|---|---|
| | ელექტრონული მეილით მიმოწერა, პროექტის ფარგლებში პრეზენტციების მომზადება, რომლებიც მიზნად ისახავს სხვადასხვა სახის სოციალური და კულტურული ღირებულებების გაცნობასა და ურთიერთგაცვლას. | |

### *3.7.1 ბიუჯეტი*

პროგრამა ხორციელდება საქართველოს მთავრობისა და ევროკომისიის ერთობლივი დაფინანსებით. საქართველოს თანადაფინანსებით გათვალისწინებული ბიუჯეტი მოცემულია დანართში #1.

# თავი IV

# 4. სტრატეგიული დაგეგმვისა და ანალიზის სამსახური

## 4.1 „სტრატეგიული დაგეგმვისა და ანალიზის“ პროგრამა

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სტრატეგიული დაგეგმვისა და ანალიზის პროგრამა |
| პროგრამის ხანგრძლივობა | 2015 წელი |
| პროგრამის ჯამური ბიუჯეტი | 300,000 ლარი |
| შემუშავების თარიღი | 2014 წლის დეკემბერი |
| დამტკიცების თარიღი | 2015 წლის იანვარი |

**პროგრამის იდეის მოკლე აღწერა**

სტრატეგიული დაგეგმვისა და ანალიზის სამსახური ახლად შექმნილი სამსახურია. სამსახურის დანიშნულებაა ცენტრის საქმიანობების ეფექტურობისა და ხარისხის უზრუნველყოფა. სამსახურის ფუნქციებში ძირითადად შედის სტრატეგიული სამოქმედო გეგმების შემუშვება, ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობების შეფასება და ცენტრის სისტემური მუშაობის უზრუნველყოფა.

სამსახური შეიმუშავებს ცენტრის წლიურ ანგარიშსა და სამოქმედო გეგმებს. ის ასევე პასუხისმგებელია სიტუაციის ანალიზის ჩატარებაზე. გარდა ამისა, სხვა სამსახურების საჭიროებებიდან გამომდინარე სრატეგიული დაგეგმვისა და ანალიზის სამსახურმა უნდა დაგეგმოს კვლევები, ჩაატაროს პროგრამების შედეგიანობის მონიტორინგი და მოამზადოს რეკომენდაციები ცენტრის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. სამსახურის კიდევ ერთ მიმართულებას წარმოადგენს ცენტრისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საერთაშორისო პარტნიორებისა და ორგანიზაციების იდენტიფიცირება და მათთან ურთიერთობის დამყარება.

შედეგზე ორიენტირებული საქმიანობების სტრუქტურირებულად განხორციელებისა და დაკისრებული მოვალეობების დროულად შესრულების მიზნით საჭირო გახდა სამსახურის მიზნების, გეგმების და აქტივობების ოპერაციონალიზაცია, რაც არის მოცემული პროგრამის შემუშავების მიზანი.

**პროგრამის საჭიროების დასაბუთება**

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობის დაგეგმვისა და ეფექტური განხორციელებისათვის აუცილებელია ამ საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტიელებების ინფორმაციასა და მონაცემებზე დაფუძნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ცენტრის საქმიანობა არ იქნება სისტემური ხასიათის და შედეგზე ორიენტირებული, რაც თავის მხრივ ხელს შეუშლის განათლების ეროვნულ პოლიტიკის განხორციელებაში ცენტრის სისტემურ მონაწილეობას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობის შედეგების ეფექტურობისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად აუცილებელია კვლევების წარმოება, რაც დაეხმარება ცენტრს იმ პრობლემების იდენტიფიცირებაში, რომლებიც არსებობს, როგორც ცენტრის შიგნით, ასევე მის გარეთ. კვლევების შედეგად მოპოვებული მონაცემები ცენტრისთვის წარმოადგენს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების და სამომავლო საქმიანობების დაგეგმვის საფუძველს. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ნაწილია მონიტორინგი და შეფასება.

*პროგრამის აქტუალობა:*

იმის გათვალისწინებით, რომ ცენტრი არის სამ წლიანი სტრატეგიის შემუშავების ფაზაში, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს მომავალი საქმიანობების, პროგრამების მიმდინარეობის და პრიორიტეტული მიმართულებების დაგეგმვა, განსაკუთრებით აქტუალური ხდება ინფორმაციის შეგროვებაზე და საქმიანობების შეფასებაზე ორიენტირებული პროგრამის განხორციელება.

**პრობლემის ანალიზი**

შესაბამისი ინფორმაციის გარეშე ძალიან რთულია იმის განსაზღვრა, თუ რა ნაბიჯები უნდა დაიგეგმოს სიტუაციის გამოსასწორებლად. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ მომენტში ხორციელდება სხვადასხვა კვლევითი პროექტი და მონიტორინგის აქტივობები, არსებული პროცესები არ არის

<table>
<tr><td colspan="2">სისტემური ხასიათის და სრულად არ ფარავს ყველა იმ სფეროს და საკითხს, რომელზეც მუშაობს ცენტრი. ეს გარემოება კი ართულებს ვალიდური და მიზანშეწონილი გადაწყვეტილებების მიღებას და სამომავლო ნაბიჯების დაგეგმვას.</td></tr>
<tr><td colspan="2">მიზნობრივი ჯგუფების/ბენეფიციარების აღწერა/მათი საჭიროებები<br>• ცენტრის სტრუქტურული ერთეულები (სამსახურები) და იმ სერვისების და პროგრამების ბენეფიციარები, რომლებსაც ცენტრი ემსახურება.<br>• საერთაშორისო და ადგილობრივი საგანმანათლებლო ინსტიტუციები.</td></tr>
<tr><td colspan="2">პროგრამის გრძელვადიანი მიზანი<br>ცენტრის საქმიანობის შედეგების ეფექტურობისა და ხარისხის უზრუნველყოფა კვლევების ორგანიზებით, სტრატეგიული დაგეგმვისა და შეფასების პროცესის წარმართვითა და ხარისხის მართვის სხვადასხვა ღონისძიებით.</td></tr>
<tr><td colspan="2">პროგრამის სპეციფიური მიზან(ებ)ი<br>1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამწლიანი სტრატეგიის შემუშავება<br>2. განათლების ეროვნული პოლიტიკის ფორმირებაში ცენტრის სისტემური მონაწილეობისა და ცენტრის საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვის მხარდაჭერა მნიშვნელოვანი კვლევების იდენტიფიცირებისა და ჩატარების გზით.<br>3. ცენტრის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა მისი საქმიანობის ხარისხის შეფასების კრიტერიუმებისა და მეთოდოლოგიის დადგენით.<br>4. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა და საერთაშორისო ქსელებში ცენტრის მიზნობრივი ჩართულობის უზრუნველყოფა</td></tr>
<tr><td>პროგრამის მოსალოდნელი შედეგები</td><td>შედეგების მიღწევის გზები</td></tr>
<tr><td>1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამწლიანი სტრატეგიის დოკუმენტი შემუშავებულია.</td><td>1.1 მეორადი მონაცემების/ინფორმაციის ანალიზი;<br>1.2 სტრატეგიული დაგეგმვისა და ანალიზის სამსახურის, კონსულტანტების, ცენტრის ხელმძღვანელობის და სხვა სამსახურების თანამშრომლობის საფუძველზე სტრატეგიის დოკუმენტის მომზადება;<br>1.3 საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა.</td></tr>
<tr><td>2. განათლების ეროვნული პოლიტიკის ფორმირებაში ცენტრის სისტემური მონაწილეობისა და ცენტრის საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვისათვის საჭირო ინფორმაცია და მონაცემები შეგროვებული და გაანალიზებულია. შესაბამისი რეკომენდაციები არის შემუშავებული.</td><td>2.1 სკოლების ორგანიზაციული და თანამშრომლობითი კულტურის კვლევა (2015 წ.);<br>2.2 PR სტრატეგიის შემუშავების კვლევა (2015 წ.);<br>2.3 დამწყებ მასწავლებელთა რაოდენობის დადგენა კვლევის მეშვეობით (2015 წ.);<br>2.4 ცენტრის სერვისებითა და პროგრამების მიმართ დამოკიდებულებების კვლევა (2016 წ.);<br>2.5 მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების განმახორციელებელი გარე ორგანიზაციების კვლევა (2016 წ.).</td></tr>
<tr><td>3. ცენტრის საქმიანობის ხარისხის შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი მეთოდოლოგია იდენტიფიცირებულია.</td><td>3.1 სტრატეგიული დაგეგმვისა და ანალიზის სამსახურის, ცენტრის ხელმძღვანელობის და სხვა სამსახურების თანამშრომლობის საფუძველზე შესაბამისი კრიტერიუმებისა და მეთოდოლოგიის დოკუმენტის მომზადება;<br>3.2 საჭიროების შემთხვევაში პროგრამებში ცვლილებების განხორციელება/ შეფასება/მონიტორინგი.</td></tr>
<tr><td>4. ცენტრის საქმიანობის ხარისხის შესაფასებლად საჭირო ინფორმაცია და მონაცემები შეგროვებულია, გაანალიზებულია და რეკომენდაციები შემუშავებულია.</td><td>4.1 PR სტრატეგიის შემუშავების კვლევა;<br>4.2 ცენტრის სერვისებითა და პროგრამების დამოკიდებულებების კვლევა;<br>4.3 სკოლების ორგანიზაციული და თანამშრომლობითი კულტურის კვლევა;<br>4.4 მასწავლებელთა მოსალოდნელი დეფიციტის განსაზღვრა.</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| 5. ცენტრი ჩართულია საერთაშორისო ქსელებში და წარმატებით თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან. | 5.1 ცენტრის სტრუქტურულ ერთეულებთან (სამსახურებთან) კოორდინირებით საერთაშორისო პარტნიორების იდენტიფიცირება;<br>5.2 იდენტიფიცირებულ პარტნიორებთან კავშირების დამყარება;<br>5.3 საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობების განსაზღვრა და თანამშრომლობის პროცესის დეტალური დაგეგმვა;<br>5.4 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ორგანიზაციების საერთაშორისო ქსელების იდენტიფიცირება;<br>5.5 აღნიშნული ქსელების მაკორდინირებელ ორგანოებთან კავშირის დამყარება ქსელში ჩართვის მოთხოვნების და პირობების გამოვლენის მიზნით;<br>5.6 ევროსაბჭოს პროგრამა „პესტალოცის“ ფარგლებში გათვალისწინებული სამუშო შეხვედრის ორგანიზება. |

| **პროგრამის შეფასების მთავარი კრიტერიუმები/ინდიკატორები** | | |
|---|---|---|
| **მიზნები/შედეგები** | **ინდიკატორი** | **გადამოწმების წყარო** |
| **პროგრამის გრძელვადიანი მიზანი:** | | |
| 1. ცენტრის საქმიანობის შედეგების ეფექტურობისა და ხარისხის უზრუნველყოფა კვლევების ორგანიზებით, სტრატეგიული დაგეგმვისა და შეფასების პროცესის წარმართვითა და ხარისხის მართვის სხვადასხვა ღონისძიებით. | 1.1 კვლევების ჩატარების გეგმა გაწერილია და სრულდება;<br>1.2 ხარისხის მართვის ინდიკატორები დადგენილია და შეთანხმებულია შესაბამის სამსახურებთან. | 1.1.1. კვლევების ჩატარების წლიური გეგმა, კვლევების პროგრამები<br>1.2.1 შემუშავებული ინდიკატორების დოკუმენტი |
| **პროგრამის სპეციფიური მიზან(ებ)ი:** | | |
| 1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამწლიანი სტრატეგიის შემუშავება<br>2. განათლების ეროვნული პოლიტიკის ფორმირებაში ცენტრის სისტემური მონაწილეობისა და ცენტრის საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვის მხარდაჭერა მნიშვნელოვანი კვლევების იდენტიფიცირებისა და ჩატარების გზით.<br>3. ცენტრის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა მისი საქმიანობის ხარისხის შეფასების კრიტერიუმებისა და მეთოდოლოგიის დადგენით.<br>4. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა და საერთაშორისო ქსელებში ცენტრის მიზნობრივი ჩართულობის უზრუნველყოფა | 1.1 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამწლიანი სტრატეგიის დოკუმენტი დამკიცებულია (2015 წ.).<br>2.1 კვლევების ჩატარების გეგმა გაწერილია და სრულდება;<br>3.1 ხარისხის მართვის ინდიკატორები დადგენილია და შეთანხმებულია შესაბამის სამსახურებთან (2015 წ.)<br>4.1 ცენტრი რაიმე სახით თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან.<br>4.2 ცენტრი ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ორგანიზაციების საერთაშორისო ქსელში. | 1.1.1 ბრძანება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამწლიანი სტრატეგიის დამტკიცების შესახებ.<br>2.1.1 სტრატეგიული დაგეგმვისა და ანალიზის სამსახურში არსებული კვლევების პროგრამები, გეგმები და სხვა დოკუმენტაცია.<br>3.1.1 შემუშავებული ინდიკატორების დოკუმენტი.<br>4.1.1 ცენტრსა და საერთაშორისო პარტნიორებს შორის გაფორმებული ნორმატიული აქტები. |

| პროგრამის მოსალოდნელი შედეგები | | |
|---|---|---|
| 1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამწლიანი სტრატეგიის დოკუმენტი შემუშავებულია. | 1.1 სტრატეგიის შემუშავებისთვის საჭირო მონაცემები/ინფორმაცია გაანალიზებულია და არსებობს შესაბამისი ანგარიში;<br>1.2 სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცებული საბოლოო ვარიანტი (2015 წ.) | 1.1.1 სტრატეგიული სამსახური მიერ შექმნილი ანაგრიში<br>1.2.1 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამწლიანი სტრატეგიის დოკუმენტის დამტკიცების ბრძანება |
| 2. განათლების ეროვნული პოლიტიკის ფორმირებაში ცენტრის სისტემური მონაწილეობისა და ცენტრის საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვისათვის საჭირო ინფორმაცია და მონაცემები შეგროვებული და გაანალიზებულია. შესაბამისი რეკომენდაციები არის შემუშავებული. | 2.1 განათლების ეროვნული პოლიტიკის ფორმირებაში ცენტრის სისტემური მონაწილეობისა და ცენტრის საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვისათვის საჭირო ინფორმაცია და მონაცემების იდენტიფიცირებულია;<br>2.2 ინფორმაციისა და მონაცემების მოპოვების მიზნით ჩატარებული კვლევების რაოდენობა. | 2.1.1 განათლების ეროვნული პოლიტიკის ფორმირებაში ცენტრის სისტემური მონაწილეობისა და ცენტრის საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვისათვის საჭირო იდენტიფიცირებული ინფორმაცია და მონაცემების ჩამონათვალის დოკუმენტი.<br>2.2.1 კვლევების პროექტების დოკუმენტები.<br>2.2.2. კვლევის პროცესში შექმნილი დოკუმენტები და მასალა (კითხვარები, ტრანსკრიპტები, აუდიო/ვიდეო ჩანაწერები ა.შ.)<br>2.2.3 კვლევების საბოლოო ანგარიშები. |
| 3. ცენტრის საქმიანობის ხარისხის შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი მეთოდოლოგია შემუშავებულია. | 3.1 შემუშვებული შეფასების კრიტერიუმების 100% პასუხობს ცენტრის მისიას, მიზნებს.<br>3.2 შემუშავებული მეთოდოლოგია შეთანხმებულია ცენტრის ხელმძღვანელობასთან და სხვა სამსახურებთან.<br>3.3 შემუშავებული მეთოდოლოგიის ფარგლებში გაწერილი მიზნები და შედეგები | 3.1.1 ცენტრის სტრატეგიული დოკუმენტი.<br>3.1.2 შემუშავებული კრიტერიუმების ჩამონათვალის დოკუმენტი.<br>3.3.1 შემუშავებული კრიტერიუმების ჩამონათვალის დოკუმენტი.<br>3.3.2 მეთოდოლოგიის აღწერის დოკუმენტი. |

| | | |
|---|---|---|
| | ასახავს შეფასების კრიტერიუმების 100%-ს. | |
| 4. ცენტრის საქმიანობის ხარისხის შესაფასებლად საჭირო ინფორმაცია და მონაცემები შეგროვებულია, გაანალიზებულია და რეკომენდაციები შემუშავებულია. | 4.1 მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული კვლევების რაოდენობა.<br>4.2 კვლევის ფარგლებში ჩატარებული აქტივობების რაოდენობა. | 4.1.1 კვლევის ტექნიკური ანგარიში<br>4.2.1 კვლევის პროცესში შექმნილი დოკუმენტები და მასალა (კითხვარები, ტრანსკრიპტები, აუდიო/ვიდეო ჩანაწერები ა.შ.)<br>4.2.2 კვლევის საბოლოო ანგარიში. |
| 5. ცენტრი ჩართულია საერთაშორისო ქსელებში და წარმატებით თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან | 5.1 ცენტრი არის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ორგანიზაციების საერთაშორისო ქსელის წევრთა სიაში.<br>5.2 ცენტრის მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის დამადასტურებელ სხვადასხვა დოკუმენტის (ხელშეკრულებები, მემორანდუმები, შეთანხმებები და სხვა) რაოდენობა;<br>5.3 საერთაშორისო პარტნიორებთან ცენტრის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების (შეხვედრები, კონფერენციები, სასწავლო ტურები და სხვა) რაოდენობა;<br>5.4 საერთაშორისო პარტნიორების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში (შეხვედრები, კონფერენციები, სასწავლო ტურები და სხვა) ცენტრის წარმომადგენლების მონაწილეობის სიხშირე. | 5.1.1 საწევრო გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.<br>5.1.2 ქსელის საიტზე არსებული ინფორმაცია.<br>5.1.3 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ორგანიზაციების საერთაშორისო ქსელის წევრთა სია.<br>5.2.1 ცენტრში არსებული დოკუმენტები (ხელშეკრულებები, მემორანდუმები, შეთანხმებები და სხვა)<br>5.3.1 ცენტრის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) ანგარიშები.<br>5.4.1 ცენტრის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) ანგარიშები, ღონისძიებების მონაწილეთა აღრიცხვის დოკუმენტაცია. |

#### *4.1.1. ბიუჯეტი*

პროგრამის ბიუჯეტი მოცემულია დანართში #1.

# თავი V

## 5. რეგიონული კოორდინაციის სამსახური

### 5.1 „მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების" პროგრამა

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების პროგრამა** |
| პროგრამის ხანგრძლივობა | 2015 წელი |
| პროგრამის წლიური ბიუჯეტი | 1,324,160 ლარი |
| შემუშავების თარიღი | 2014 წლის დეკემბერი |
| დამტკიცების თარიღი | 2015 წლის იანვარი |
| **პროგრამის იდეის მოკლე აღწერა** | |
| სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, ახორციელებს ცენტრის დებულებით განსაზღვრული სამიზნე ჯგუფების უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ მრავალფეროვან ღონისძიებებს. მიუხედავად ამისა, პროფესიული განვითარების პროგრამებში სამიზნე ჯგუფების ჩართულობა არ იყო თანაბარი და სისტემაში არსებობდნენ ჯგუფები, რომელთაც ნაკლები წვდომა ჰქონდათ პროფესიული განვითარების სხვადასხვა აქტივობაზე.<br><br>ცენტრის სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ქვეყნის მასშტაბით უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს პროფესიული განვითარების ღონისძიებების (ტრენინგების, სემინარების, საზაფხულო ბანაკები, ვორქშოფები, სამუშაო შეხვედრები, სტაჟირებისა თუ კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები და სხვა) დაგეგმვა-განხორციელების პროცესი.<br><br>პროგრამის მიზანია ცენტრის სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ტრენინგებისა და სხვა ღონისძიებების სამიზნე ჯგუფებისთვის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, პროფესიული განვითარების აქტივობების ორგანიზებულად, ხარისხის სტანდარტების შესაბამისად ჩატარება ადამიანური და მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზით.<br><br>მიზნის მისაღწევად, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ცენტრის მიერ დაგეგმილი აქტივობების წლიური კალენდრის შემუშავება, სამიზნე ჯგუფებში გავრცელება, ღონისძიებებზე რეგისტრაციის მოქნილი მექანიზმების შექმნა, დანერგვა და დაწესებულ ვადებში განხორციელება. | |
| **პროგრამის საჭიროების დასაბუთება** | |
| ცენტრის საქმიანობის მასშტაბიდან გამომდინარე, გამოიკვეთა ცალკე პროგრამის არსებობის საჭიროება, რომელიც უზრუნველყოფს ცენტრის სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდას, სამიზნე ჯგუფების პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მაქსიმალურ ჩართულობას სერვისების მიწოდების პროცესების კოორდინირებული და ოპტიმალური დაგეგმვა-განხორციელების გზით. | |
| **პრობლემის ანალიზი** | |
| ცენტრში არსებული მონაცემების თანახმად, ცენტრის მიერ შეთავაზებული მომსახურებით ისარგებლა მოქმედ მასწავლებელთა 48%-მა. აქედან გამომდინარე, დაახლოებით ყოველ მეორე მოქმედ მასწავლებელს არ მიუღია მონაწილეობა ცენტრის მიერ შეთავაზებულ პროფესიული განვითარების ღონისძიებებში. ხოლო მათგან ვინც ამ ღონისძიებებს დაესწრო, ნახევარს მონაწილეობა მიღებული აქვს მხოლოდ ერთ აქტივობაში. ცენტრის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში მონაწილეობის მაჩვენებელი უფრო დაბალია ბენეფიციართა სხვა ჯგუფებისთვის, ასევე მდგომარეობა განსხვავდება რეგიონალურ ჭრილშიც.<br>ეს მონაცემები მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ ცენტრის სერვისებით მოქმედ მასწავლებელთა დაახლოებით ნახევარს უსარგებლია, პროფესიული განვითარების პროგრამებში სამიზნე ჯგუფების ჩართულობა არ იყო თანაბარი და სისტემაში არსებობდნენ ჯგუფები, რომელთაც ნაკლები წვდომა ჰქონდათ პროფესიული განვითარების სხვადასხვა აქტივობაზე, რაც ნაწილობრივ განპირობებული იყო ცენტრის პროგრამებს შორის სუსტი ჰორიზონტალური კავშირებითა და კოორდინაციით, ასევე ხარისხის მართვისა და ადამიანური რესურსების გამოყენების არაეფექტური სისტემით. | |

**მიზნობრივი ჯგუფების/ბენეფიციარების აღწერა/მათი საჭიროებები**

ცენტრის დებულებით განსაზღვრული სამიზნე ჯგუფები, მათ შორის:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში დასაქმებული პირები;
- პირები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამებით;
- სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული სხვა პირები.

**პროგრამის გრძელვადიანი მიზანი**

პროგრამის მიზანია ცენტრის სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ტრენინგებისა და სხვა ღონისძიებების სამიზნე ჯგუფებისთვის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, პროფესიული განვითარების აქტივობების ორგანიზებულად, ხარისხის სტანდარტების შესაბამისად ჩატარება ადამიანური და მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზით.

**პროგრამის სპეციფიკური მიზან(ებ)ი**

- ცენტრის ღონისძიებების წლიური კალენდრის შემუშავება და სამიზნე ჯგუფებისთვის მიწოდება;
- ღონისძიებებზე რეგისტრაციის მოქნილი სისტემის შემუშავება და დანერგვა;
- პროფესიული განვითარების ღონისძიებების (ტრენინგები, სემინარები, საზაფხულო ბანაკები, ვორქშოფები, კონფერენციები, მასტერკლასები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, სტაჟირების პროგრამები და სხვა) ორგანიზება;
- ცენტრის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების კოორდინირებული მართვა და დაწესებულ ვადებში შესრულების მონიტორინგი და კონტროლი.

| | პროგრამის მოსალოდნელი შედეგები | შედეგების მიღწევის გზები |
|---|---|---|
| 1. | შემუშავებული და დამტკიცებულია ცენტრის ღონისძიებების წლიური კალენდარი. | • ცენტრის სხვა პროგრამებთან კოორდინაციით კალენდრის შემუშავება;<br>• ხელმძღვანელობის მიერ კალენდრის დამტკიცება. |
| 2. | კალენდარი ხელმისაწვდომია სამიზნე ჯგუფებისთვის. | • კალენდარი განთავსებულია ცენტრის ვებგვერდზე და ინფორმაცია გავრცელებულია სოციალური ქსელებითა და სხვა საკომუნიკაციო არხებით. |
| 3. | შემუშავებული და დანერგილია რეგისტრაციის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამიზნე ჯგუფების უხარვეზო რეგისტრირებას. | • ელექტრონული რეგისტრაციის შინაარსობრივი და ტექნიკური ბაზის მომზადება;<br>• ცენტრის ვებგვერდზე ინტეგრირება. |
| 4. | ოპტიმალურად დაიგეგმა და ინსტრუქციების შესაბამისად ჩატარდა პროფესიული განვითარების ტრენინგები. | • კალენდარში ღონისძიებების ასახვა;<br>• ტრენინგების კოორდინატორების მიერ ჯგუფების ოპტიმალური დაკომპლექტება, დროსა და სივრცეში დაგეგმვა და ჩატარება. |
| 5. | საქართველოს მასშტაბით ამერიკის საელჩოს პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის მასწავლებლებისთვის ჩატარდა სემინარები. | • ქვეყნის მასშტაბით რეგისტრაციის გამოცხადება;<br>• ჯგუფების დაკომპლექტება;<br>• სემინარების ჩატარება. |
| 6. | ფიზიკის მასწავლებელთა ჯგუფს გავლილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში, ჟენევა, შვეიცარია. | • მასწავლებელთა შერჩევა კონკურსის წესით;<br>• ვიზიტის ორგანიზება და განხორციელება. |
| 7. | ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებელთა ჯგუფს გავლილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი კოპერნიკუსის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ცენტრში, ვარშავა, პოლონეთი. | • მასწავლებელთა შერჩევა კონკურსის წესით;<br>• ვიზიტის ორგანიზება და განხორციელება. |
| 8. | უცხოური ენების (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) | • მასწავლებელთა შერჩევა კონკურსის წესით; |

| | |
|---|---|
| მასწავლებლების ჯგუფს გავლილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი სამიზნე ქვეყნების პროფესიული განვითარების ცენტრებში. | • ვიზიტის ორგანიზება და განხორციელება; |
| 9. ორგანიზებული და ჩატარებულია ცენტრის მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო შეხვედრები, პრეზენტაციები, კონსულტაციები და ა.შ. | • ჩასატარებელი აქტივობების განრიგის შემუშავება;<br>• აქტივობებში მონაწილე სკოლებისა და მასწავლებლების ვინაობისა და რაოდენობის (შეიქმნება მონაწილეთა საინფორმაციო ბაზა) განსაზღვრა, ჯგუფების დაკომპლექტება და ღონისძიებების ჩატარება. |

| **პროგრამის შეფასების მთავარი კრიტერიუმები/ინდიკატორები** | | |
|---|---|---|
| **მიზნები/შედეგები** | **ინდიკატორი** | **გადამოწმების წყარო** |
| **პროგრამის გრძელვადიანი მიზანი:** | | |
| პროგრამის მიზანია ცენტრის სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ტრენინგებისა და სხვა ღონისძიებების სამიზნე ჯგუფებისთვის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, პროფესიული განვითარების აქტივობების ორგანიზებულად, ხარისხის სტანდარტების შესაბამისად ჩატარება ადამიანური და მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზით. | • ცენტრის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების რაოდენობა, რომელიც მიმდინარეობს კალენდარული გეგმით დადგენილ ვადებში;<br>• ჩატარებული ღონისძიებების არანაკლებ 80% -ისა ხორციელდება დადგენილი სტანდარტებისა და პროცედურების თანახმად. | • სამსახურის კვარტალური და წლიური ანგარიშები;<br>• მონიტორინგის ანგარიშები. |
| **პროგრამის სპეციფიკური მიზან(ებ)ი:** | | |
| 1. ცენტრის ღონისძიებების წლიური კალენდრის შემუშავება და სამიზნე ჯგუფებისთვის მიწოდება; | • წლიური კალენდარი დამტკიცებულია და სამიზნე ჯგუფები ინფორმირებული არიან. | • ცენტრის ვებგვერდი;<br>• სოციალურ ქსელებში ცენტრის გვერდები;<br>• დარეგისტრირებულ პირთა ბაზა. |
| 2. ღონისძიებებზე რეგისტრაციის მოქნილი სისტემის შემუშავება და დანერგვა; | • რეგისტრაციის სისტემა მუშაობს გამართულად;<br>• მონაცემთა ბაზა არის სრულფასოვანი და უხარვეზო. | • ცენტრის ვებგვერდი;<br>• წლიური ანგარიში;<br>• მონიტორინგის ანგარიში. |
| 3. პროფესიული განვითარების ღონისძიებების (ტრენინგები, სემინარები, საზაფხულო ბანაკები, ვორქშოფები, კონფერენციები, მასტერკლასები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, სტაჟირების პროგრამები და სხვა) ორგანიზება. | • ჩატარებული ღონისძიებების არანაკლებ 80% -ისა ხორციელდება დადგენილი სტანდარტებისა და პროცედურების თანახმად. | • კვარტალური და წლიური ანგარიშები;<br>• მონიტორინგის ანგარიშები. |

| | | |
|---|---|---|
| 4. ცენტრის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების კოორდინირებული მართვა და დაწესებულ ვადებში შესრულების კონტროლი. | • კალენდრით გათვალისწინებული ღონისძიებები ტარდება ორგანიზებულად ხარისხის სტანდარტების სრული დაცვით. | • კვარტალური და წლიური ანგარიშები;<br>• მონიტორინგის ანგარიშები;<br>• ღონისძიებებზე დასწრების სარეგისტრაციო ფორმები. |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:** | | |
| 1. შემუშავებული და დამტკიცებულია ცენტრის ღონისძიებების წლიური კალენდარი. | • ცენტრის სხვა პროგრამებთან კოორდინაციით კალენდრის შემუშავება;<br>• ხელმძღვანელობის მიერ კალენდრის დამტკიცება. | • დამტკიცებული წლიური კალენდარი;<br>•<br>• კვარტალური ანგარიშები |
| 2. კალენდარი ხელმისაწვდომია სამიზნე ჯგუფებისთვის. | • კალენდარი განთავსებულია ცენტრის ვებგვერდზე და ინფორმაცია გავრცელებულია სოციალური ქსელებითა და სხვა საკომუნიკაციო არხებით. | • ცენტრის ვებგვერდი;<br>• სოციალურ ქსელებში ცენტრის გვერდები;<br>• დარეგისტრირებულ პირთა ბაზა. |
| 3. შემუშავებული და დანერგილია რეგისტრაციის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამიზნე ჯგუფების უხარვეზო რეგისტრირებას. | • ელექტრონული რეგისტრაციის შინაარსობრივი და ტექნიკური ბაზის მომზადება;<br>• ცენტრის ვებგვერდზე ინტეგრირება. | • ცენტრის ვებგვერდი;<br>• წლიური ანგარიში;<br>• მონიტორინგის ანგარიში. |
| 4. ოპტიმალურად დაიგეგმა და ინსტრუქციების შესაბამისად ჩატარდა პროფესიული განვითარების ტრენინგები. | • კალენდარში ღონისძიებების ასახვა;<br>• ტრენინგების კოორდინატორების მიერ ჯგუფების ოპტიმალური დაკომპლექტება, დროსა და სივრცეში დაგეგმვა და ჩატარება. | • კვარტალური და წლიური ანგარიშები;<br>• მონიტორინგის ანგარიშები;<br>• ტრენინგებზე დასწრების სარეგისტრაციო ფორმები. |
| 5. საქართველოს მასშტაბით ამერიკის საელჩოს პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის მასწავლებლებისთვის ჩატარდა სემინარები. | • ქვეყნის მასშტაბით რეგისტრაციის გამოცხადება;<br>• ჯგუფების დაკომპლექტება;<br>• სემინარების ჩატარება. | • სარეგისტრაციო ფორმები;<br>• ტრენინგგავლილ მსმენელთა რეესტრი. |
| 6. ფიზიკის მასწავლებელთა ჯგუფს გავლილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში, ჟენევა, შვეიცარია. | • მასწავლებელთა შერჩევა კონკურსის წესით;<br>• ვიზიტის ორგანიზება და განხორციელება. | • კვარტალური ანგარიშები;<br>• ვიზიტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• მონაწილეთა სერტიფიკატები;<br>• გაფორმებული შეთანხმებები პარტნიორ ორგანიზაციებთან. |
| 7. ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებელთა ჯგუფს გავლილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი კოპერნიკუსის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ცენტრში, ვარშავა, პოლონეთი. | • მასწავლებელთა შერჩევა კონკურსის წესით;<br>• ვიზიტის ორგანიზება და განხორციელება. | • კვარტალური ანგარიშები;<br>• ვიზიტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• მონაწილეთა სერტიფიკატები; |

| | | |
|---|---|---|
| | | • გაფორმებული შეთანხმებები პარტნიორ ორგანიზაციებთან. |
| 8. უცხოური ენების (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) მასწავლებლების ჯგუფს გავლილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი სამიზნე ქვეყნების პროფესიული განვითარების ცენტრებში. | • მასწავლებელთა შერჩევა კონკურსის წესით;<br>• ვიზიტის ორგანიზება და განხორციელება. | • კვარტალური ანგარიშები;<br>• ვიზიტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• მონაწილეთა სერტიფიკატები;<br>• გაფორმებული შეთანხმებები პარტნიორ ორგანიზაციებთან. |
| 9. ორგანიზებული და ჩატარებულია ცენტრის მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო შეხვედრები, პრეზენტაციები, კონსულტაციები და ა.შ. | • ჩასატარებელი აქტივობების განრიგის შემუშავება;<br>• აქტივობებში მონაწილე სკოლებისა და მასწავლებლების ვინაობისა და რაოდენობის (შეიქმნება მონაწილეთა საინფორმაციო ბაზა) განსაზღვრა, ჯგუფების დაკომპლექტება და ღონისძიებების ჩატარება. | • შეხვედრების სარეგისტრაციო ფორმები;<br>• ცენტრის ვებგვერდზე განთავსებული სიახლეების ბლოკი;<br>• მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობები. |

### *5.1.1. ბიუჯეტი*

პროგრამის ბიუჯეტი მოცემულია დანართში #1.

## 5.2 პროგრამა „ტრენერთა სკოლა“

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **ტრენერთა სკოლა** |
| პროგრამის ხანგრძლივობა | 2015 წელი |
| პროგრამის ჯამური ბიუჯეტი | 120,000 ლარი |
| შემუშავების თარიღი | 2014 წლის დეკემბერი |
| დამტკიცების თარიღი | 2015 წლის იანვარი |

**პროგრამის იდეის მოკლე აღწერა**

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისმიერგანხორციელებულმა 2012 წლის კვლევამ „მასწავლებელთა საჭიროებებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შეთავაზებული მომსახურებების, რესურსებისა და პროგრამების შეფასების“ შესახებ გამოკვეთა არსებულ ტრენერთა კვალიფიკაციის ზრდის და სისტემაში ახალი კადრების მოზიდვის აუცილებლობა. გამომდინარე აქედან, პროგრამა ითვალისწინებს ტრენერთა მომზადებისა თუ გადამზადების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ამოქმედებასა და ტრენერთა შეფასების სისტემის განვითარებას. პროგრამის ფარგლებში მოხდება ახალი კადრების შერჩევა და არსებული ტრენერთა ჯგუფის გადამზადება.

პროგრამის იდეა:

- პროგრამა გულისხმობს ტრენერთა მომზადებისან/და გადამზადების მიზნით სპეციალური პროგრამის შემუშავებას, ასევე ტრენერთა შეფასების სისტემის მომზადებას და განვითარებას. პროგრამის ჩარჩოებში მოხდება ახალი კადრების მოზიდვა და არსებულ ტრენერთა გადამზადება,მონაწილეებში ტრენერის კომპეტენციების გამომუშავება,მათ საქმიანობაზე დაკვირვება და ტრენერის სტატუსის მინიჭება.

მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:

- მასწავლებელთა პროფსიული განვითარების ეროვნულ ცენტრში დასაქმებული ტრენერები;
- პროგრამის კურსით დაინტერესებული სხვა პირები ( ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი *საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაცია*,მასწავლებლები და სტუდენტები, საჯარო სექტორის წარმომადგენლები ).

ინტერვენციის სტრატეგია:

ინტერვენიციის სტრატეგია დამოკიდებულია ტრენერთა სკოლის მსმენელთა კატეგორიაზე, კერძოდ, ცენტრის მოქმედი ტრენერებისთვის დაგეგმილია ტრენინგი ( TOT ტრენინგი), ტრენერის კომპეტენციების ჩარჩოს შესაბამისი კომპეტენციების დადასტურება, პორტფოლიოს წარდგენა, ხოლო პროგრამის კურსით დაინტერესებულ პირთათვის ტრენერის მომზადების კურსი, რომელიც თავისმხრივ შედგება საბაზო და ძირითადი კურსებისაგან. ტრენერის სტატუსის მაძიებლისათვის აუცილებელია:

- **ტრენინგი** ( საბაზო, ტრენერთა მომზადების კურსი) – რომელიც მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე სწავლებისას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას;
- **ჩართული პრაქტიკა** - ტრენინგზე ასისტირება,
- **დამოუკიდებელი პრაქტიკა** - ტრენინგებისა და სხვა, პროფესიული განვითარების შესაბამისი აქტივობების დამოუკიდებლად განხორციელება, პორტფოლიოს წარმოება, საქმიანობის აღნუსხვა, პრაქტიკის კვლევა.

**პროგრამის საჭიროების დასაბუთება:**

კვლევამ„მასწავლებელთა საჭიროებებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შეთავაზებული მომსახურებების, რესურსებისა და პროგრამების შეფასების“ შესახებ დაადასტურა ერთისმხრივ, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში, ინსტიტუციის დონეზე ტრენინგის სისტემის დანერგვის საჭიროება, მოქმედ ტრენერთა გადამზადება და ახალი კადრების მოძიება;მეორე მხრივ, ტრენერთა შეფასების კონცეფციის შემუშავება და დანერგვა, ტრენერთა კომპეტენციების ჩარჩოს სრულყოფა და ა.შ.

„ტრენერთა სკოლა“ ტრენერთა მომზადების კურსით დაინტერესებულ პირებსშესაძლებლობას მისცემს გაიარონ ტრენერთა მოსამზადებელი საბაზო კურსი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას და ეფუძნებამოზრდილთასწავლებისპრინციპებს.

ტრენერთა მომზადების კურსის ფორმატი ითვალისწინებს როგორც საბაზო კურსის, ასევე ტრენერის მოსამზადებელი ძირითადი კურსების ერთობლიობას. ორივე სასწავლო კურსის გავლა სავალდებულოა ტრენერობის მაძიებელი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

საბაზო და ტრენერთა მომზადების ძირითადი კურსის განმავლობაში ხდება მონაწილეთათვის ინფორმაციის გადაცემა, ინფორმაციის გააზრება პრაქტიკულ კონტექსტში და მონაწილეთა შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. ტრენერთა სკოლის თეორიული კომპონენტის დასრულების შემდეგ სტატუსის მაძიებელი გადის პრაქტიკულ კომპონენტს და დაგროვილი გამოცდილებით, პორტფოლიოს პრეზენტაციის საფუძველზე ადასტურებს ტრენერთა კომპეტენციის ჩარჩოს შესაბამის კომპეტენციებს.

**პრობლემის ანალიზი**

შრომის ბაზარზე საკმაოდ მოთხოვნადია ტრენერის პოზიცია და როგორც წესი, ამ პოზიციაზე საქმდებიან ის პირები, რომლებსაც აქვთ არაფორმალური გზით მიღებული განათლება ან/და გამოცდილება. 2015 წლიდან ტრენერთა სკოლის ბაზაზე შემუშავდა და დამტკიცდა „ტრენერთა კომპეტენციების ჩარჩო", რომლის დადასტურება აუცილებელია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სახელით ტრენერის საქმიანობის განმახორციელებელ პირთათვის. გამომდინარე აქედან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრის ინტერესსს წარმოადგენს ტრენერთა სკოლის, როგორც ინსტიტუციის ჩამოყალიბება, მოქმედი ტრენერებისთვის კვალიფიკაციის დადასტურება, მათ მიერ საქმიანობის ეფექტურად განხორციელება და კარიერული ზრდა, ახალი კადრების მომზადება.

**მიზნობრივი ჯგუფების/ბენეფიციარების აღწერა/მათი საჭიროებები**

1. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრის ტრენერები** - რომლებსაც აქვთ თეორიული ცოდნა, ტრენინგების ჩატარების გარკვეული პრაქტიკა, მაგრამ ამ ეტაპზე, შესაძლოა იკვეთება საჭიროებები ტრენერთა კომპეტენციის ჩარჩოს შესაბამისი კომპეტენციის დადასტურებისათვის, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ამოქმედებისა და შეფასების სისტემის გამჭვირვალე, გაზომვადი და ვალიდური მექანიზმების ამუშავებისათვის;
2. **სხვა დაინტერესებული პირები** - რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება, აქვთ დამატებითი საქიანობის განხორციელების შესაძლებლობა ტრენერობის შემთხვევაში. მათთვის შესაძლებლობაა გაიარონ საბაზო და ტრენერთა მომზადების სასწავლო კურსები, შეასრულონ პრაქტიკული კომპონენტით განსაზღვრული აქტივობები, დაადასტურონ ტრენერის კომპეტენციების ჩარჩოს შესაბამისი კომპეტენციები.

**პროგრამის გრძელვადიანი მიზანი:**

- „ტრენერთა სკოლის" მიზანია ტრენერთა მოსამზადებლად **ინსტიტუციის ჩამოყალიბების ხელშეწყობის** გზით მოქმედ **ტრენერთა პროფესიულ განვითარებაზე პერმანენტული ზრუნვა,** მათი **საქმიანობის შეფასებისა** და **სტატუსის მოპოვება-შენარჩუნების** პრაქტიკის დამკვიდრება.

**პროგრამის სპეციფიური მიზან(ებ)ი:**

- მოქმედ ტრენერთა გადამზადების ხელშეწყობა და მათი შეფასების სისტემის შექმნა;
- ტრენერთა მომზადება, სტატუსის მინიჭება და კარიერული ზრდის ხელშეწყობა;
- ტრენერთა შეფასებისა და სწავლების ხარისხის განვითარების კონცეფციის შექმნა და განვითარება;
- საერთაშორისო გამოცდილებისგაზიარება პროფესიული განვითარების მიზნით და შემდგომი განზოგადება საქართველოს კონტექსტში;

ტრენერთა კომპეტენციების ჩარჩოს მუდმივი სრულყოფა;

| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგები** | **შედეგების მიღწევის გზები** |
|---|---|
| 1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მოქმედი ტრენერები ადასტურებენ ტრენერის კომპეტენციებს. | • შერჩევის გამჭვირვალე პროცედურები, შესაბამისი კომპეტენციების დადასტურება და ტრენერის სტატუსის მინიჭება, სერთიფიკატის გაცემა;<br>• პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება და შეფასების ინსტრუმენეტების შემუშავება და გამოყენება; |

| | |
|---|---|
| | • ტრენინგ- კურსების შემუშავება დადგენილი ფორმატის შესაბამისად და ჩატარება; |
| 2. ტრენერმა იცის:<br>• ზრდასრულთა სწავლების პრინციპები;<br>• ეფექტური კომუნიკაცია და ჯგუფის დინამიკის მართვა;<br>• მოდულის განვითარება და აქვს ადაპტირების შესაძლებლობა;<br>შეუძლია:<br>• საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება;<br>• შეუძლია საკუთარი პროფესიული განვითარების მართვა;<br>შეუძლია სპეციფიკური დარგობრივი ცოდნის დემონსტრირება | • ტრენინგ-მოდულები შემუშავება და დამტკიცება;<br>• საჩვენებელი სემინარების ჩატარება; |
| 3. ტრენერთა შესაბამისი კომპეტენციის მქონე ახალი კადრები. | • ტრენერების კანდიდატთა შერჩევა ღია კონკურსის გზით, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ტრენერთა ბაზა<br>• ტრენერობის მსურველთა რეგისტრაცია და საბაზო და ტრენერის მოსამზადებელი სასწავლო კურსების გავლა;<br>• ასისტირება და მენტორთან ერთად მუშაობა; |
| 4. ორგანიზებული/ჩატარებულია ტრენერთა მოსამზადებელი სასწავლო კურსები; | • TOT სემინარის ჩატარება, მათთვის შეფასების სისტემის გაცნობა და სისტემის შესაბამისი საქმიანობის განხორციელების შეთავაზება; |
| 5. ტრენერთა მომზადების, გადამზადების, კარიერული წინსვლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა/ მექანიზმები ამოქმედებულია (?); | • ტრენერთა ტრენინგის შეფასებისსისტემის მიხედვით შეფასებული მოქმედი ტრენერები;<br>• ტრენერთა აქტივობები, რომელიც ადასტურებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტურობას;<br>• ტრენერთა შეფასებები;<br>• მოდულის შეფასებები<br>• ტრენინგის მონაწილეთა შეფასებები; |
| 6. საერთაშორისო გამოცდილება გაზიარებულია მოქმედი ტრენერების მიერ, კურსის მონაწილეთათვის | • ტრენერები გაივლიან ტრენინგს საზღვარგარეთ, გაეცნობიან საერთაშორისო გამოცდილებას, გაიზიარებენ საუკეთესო პრაქტიკის |

**პროგრამის შეფასების მთავარი კრიტერიუმები/ინდიკატორები**

**პროგრამის გრძელვადიანი მიზნები**

| **შედეგები** | **ინდიკატორი** | **გადამოწმების წყარო** |
|---|---|---|
| 1.„ტრენერთა სკოლის" მიზანია ტრენერთა მოსამზადებელი ინსტიტუციის ჩამოყალიბების ხელშეწყობის გზით მოქმედ ტრენერთა პროფესიულ განვითარებაზე პერმანენტული ზრუნვა, მათი საქმიანობის | 1.1.ტრენერთა სკოლის ეფექტური მუშაობისთვის შექმნილია ნორმატიული დოკუმენტაცია; | 1.1.1.ბრძანება N05-79;<br>1.1.2.ბრძანება N05-80;<br>1.1.3.ტრენინგის ანგარიშის ფორმა;<br>1.1.4.ტრენინგის ჩატარების ინსტრუქციები;<br>1.1.5.სერტიფიკატის შაბლონი;<br>1.1.6.ტრენინგის მონაწილეთა შეფასების ფორმა; |

| | | |
|---|---|---|
| შეფასებისა და სტატუსის მოპოვება-შენარჩუნების პრაქტიკის დამკვიდრება. | 1.2.ჩატარებულია ტრენინგი ტრენერთათვის; | 1.2.1.ტრენერთა დასწრების ფურცლები;<br>1.2.2.ტრენერთა პორტფოლიო;<br>1.2.3.ტრენერთა და მსმენელთა შეფასებები;<br>1.2.4.ტრენინგ-მოდული და მასალები; |
| | 1.3.ტრენერთა მიერ ჩატარებულია ტრენინგები; | 1.3.1.მემენელთა დასწრების ფურცლები;<br>1.3.2.მსმენელთა პორტფოლიო;<br>1.3.3.ტრენერთა და მსმენელთა შეფასებები;<br>1.34.ტრენინგ-მოდული და მასალები; |
| | 1.4.შეფსებულია მოქმედ ტრენერთა საქმიანიობა | 1.4.1.მოქმედ ტრენერთა ანგარიშის ფორმები;<br>1.4.2.სერტიფიკატები( გაცემული წესის დაცვით);<br>1.4.3.ტრენინგის მონაწილეთა შეფასების ფორმები;<br>1.4.4.ტრენერთა ბაზა; |
| **პროგრამის სპეციფიკური მიზნები** | | |
| **შედეგები** | **ინდიკატორი** | **გადამოწმების წყარო** |
| 1. მოქმედ ტრენერთა გადამზადების ხელშეწყობა; | 1.1.ჩატარებულია ტრენერთა ტრენენინგი; | 1.1.1. ტრენინგზე დასწრების ფურცლები;<br>1.1.2.ტრენინგ-მოდულის ჩარჩო;<br>1.1.3. ტრენინგის ამსახველი ვიდეო-ფოტო მასალა; |
| 2.მოქმედ ტრენერთა შეფასების სისტემის შექმნა; | 2.1. ტრენერთა შეფასების სისტემის შესაბამისად შეფასებულია ცენტრის მოქმედი 45 ტრენერი; | 2.1.1.ტრენერთა შეფასების ფურცლები;<br>2.1.2.ტრენერთა თვითშეფასებები;<br>2.1.3.ტრენერთა პორტფოლიოს მასალები;<br>2.1.4.ტრენერთა მიერ ჩატარებული ტრენინგები; |
| 3.ტრენერთა მომზადება, სტატუსის მინიჭება და კარიერული ზრდის ხელშეწყობა; | 3.1. ჩატარებულია საბაზო ტრენინგი 150 მსმენელისთვის | 3.1.1.ტრენერთა შეფასების ფურცლები;<br>3.1.2.ტრენერთა თვითშეფასებები;<br>3.1.3.ტრენერთა პორტფოლიოს მასალები; |
| | 3.2. ჩატარებულია ტრენერთა ტრენინგი 150 მსმენელისთვის | 3.2.1.ტრენერთა შეფასების ფურცლები;<br>3.2.2.ტრენერთა თვითშეფასებები;<br>3.2.3.ტრენერთა პორტფოლიოს მასალები; |
| | 3.3. ჩატარებულია ტრენერის მიერ საჩვენებელი ტრენინგი; | 3.3.1.ტრენერის მიერ მომზადებული/დაგეგმილი ტრენინგი;<br>3.3.2. ტრენერთა პორტფოლიოს მასალები; |
| 4. ტრენერთა შეფასებისა და სწავლების ხარისხის | 4.1შემუშავებულია ტრენერის სტატუსის მოპოვების, | 4.1.1. ბრძანება N05-79;<br>4.1.2. ცენტრის ვებ-გვერდი და ელექტრონული სისტემა; |

| | | |
|---|---|---|
| განვითარების კონცეფციის შექმნა და განვითარება; | შენარჩუნებისა და შეფასების სიტემა; | |
| | 4.2 ტრენერის სტატუსის მოპოვების, შენარჩუნებისა და შეფასების კონცეფციის შესაბამისი შეფასების დოკუმენტაცია, ყოველი კონკრეტული კომპეტენციის შესაფასებლად; | 4.2.1. დანართები ტრენერთა შეფასებისთვის;<br>4.2.2. მენტორთა შეფასებები; |
| 5. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება პროფესიული განვითარების მიზნით და შემდგომი განზოგადება საქართველოს კონტექსტში; | 5.1.ტრენერთა ვიზიტი საზღვარგარეთ | 5.1.1.გამგზავრებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;<br>5.1.2. გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩატარებული მრგვალი მაგიდა, ტრენერთა სკოლისთვის საერთაშორისო გამოცდილების განზოგადება; |
| 6. ტრენერთა კომპეტენციების ჩარჩოს მუდმივი სრულყოფა; | 6.1.ამოქმედებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, გაკეთებულია ტრენერთა შეფასებების ანალიზი და დადგენილია ცვლილების საჭიროება; | 6.1.1.ტრენერთა მომზადებისა და გადამზადების ეტაპზე შევსებული შეფასების ფურცლები;<br>6.1.2. ტრენერთა და მსმენელთა შეფასების ანალიზი;<br>6.1.3.ტრენერთა კომპეტენციების ჩარჩოს ცვლილებების პაკეტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **პროგრამის მოსალოდნელი შედეგები** | | |
| **შედეგები** | **ინდიკატორი** | **გადამოწმების წყარო** |
| 1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მოქმედი ტრენერის მიერ ტრენერის კომპეტენციების დადასტურება; | 1.1.ტრენერის სტატუსის მქონე მოქმედი ტრენერები; | 1.1.1.შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული მოქმედ ტრენერებთან<br>1.1.2.სერთიფიკატები ტრენერთათვის გაცემული ცენტრის მიერ<br>1.1.3. მოქმედ ტრენერთა ელექტრონული ბაზა;<br>1.1.4.ჩატარებული ტრენინგების დოკუმენტაცია; |
| 2. ტრენერთაკომპეტენციების მატარებელიახალიკადრები; | 2.1.ტრენერის სტატუსის მქონე ტრენერები ( 150); | 2.1.1.შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული ტრენერებთან<br>2.1.2.სერთიფიკატები ტრენერთათვის გაცემული ცენტრის მიერ<br>2.1.3. ტრენერთა ელექტრონული ბაზა;<br>2.1.4. ჩატარებული ტრენინგების დოკუმენტაცია; |
| 3. ტრენერთამოსამზადებელი სასწავლოკურსები; | 3.1.დამტკიცებული ტრენინგ-კურსები; | |
| 4. ტრენერთა მომზადების, გადამზადების, კარიერული წინსვლის ხარისხის | 4.1.შეფასების დანართები; | 1.1.1.ბრძანება N05-79;<br>1.1.2.ბრძანება N05-80;<br>1.1.3.ტრენინგის ანგარიშის ფორმა; |

| | | |
|---|---|---|
| უზრუნველყოფის სისტემა/ მექანიზმები ; | | 1.1.4.ტრენინგის ჩატარების ინსტრუქციები;<br>1.1.5.სერტიფიკატის შაბლონი;<br>1.1.6.ტრენინგის მონაწილეთა შეფასების ფორმა; |

### *5.2.1. ბიუჯეტი*

პროგრამის ბიუჯეტი მოცემულია დანართში #1.

# დანართი 1

## ბიუჯეტი

| სამსახური | ბიუჯეტი *სამსახურების* მიხედვით | პროგრამა | ბიუჯეტი *პროგრამების* მიხედვითი |
|---|---|---|---|
| მიზნობრივი პროგრამების სამსახური | **7,065,570** | 1.1 ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად | **1,260,570** |
| | | 1.2 ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის | **3,550,000** |
| | | 1.3 ასწავლე საქართველოსთვის | **2,020,000** |
| | | 1.4 პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების პროგრამა | **235,000** |
| სტანდარტების განვითარების სამსახური | **2,654,000** | 2.1 ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) ტრენინგების პროგრამა | **1,376,000** |
| | | 2.2 მასწავლებელთა ზოგადი კომპეტენციების განვითარების პროგრამა | **200,000** |
| | | 2.3 საინფორმაციო, საგანმანათლებლო მეთოდური რესურსი მასწავლებლებლებისათვის - ჟურნალი „მასწავლებელი“, ინტერნეტ გაზეთი „mastsavlebeli.ge“ | **278,000** |
| | | 2.4 მასწავლებელის პროფესიული სტანდარტის განვითარებისა და დანერგვის პროგრამა | **800,000** |
| უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახური | **1,612,750** | 3.1 ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერა | **200,000** |
| | | 3.2 განათლების მართვის პროგრამა | **124,000** |
| | | 3.3 მაძიებლობისა და დამწყები მასწავლებლის მხარდაჭერის პროგრამა | **130,000** |
| | | 3.4 სასკოლო ქსელების პროგრამა | **250,000** |
| | | 3.5 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა | **350,000** |
| | | 3.6 უწყვეტი პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის პროგრამა | **500,000** |
| | | 3.7 eTwinning | **58,750** |
| სტრატეგიული დაგეგმვისა და ანალიზის სამსახური | **300,000** | 4.1 სტრატეგიული დაგეგმვის და ანალიზის პროგრამა | **300,000** |
| რეგიონული კოორდინაციის სამსახური | **1,444,160** | 5.1 მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების (ტრენინგების) პროგრამა | **1,324,160** |
| | | 5.2 ტრენერთა სკოლა | **120,000** |
| **სულ** | 13,076,480 | **2015 წლის პროგრამების ბიუჯეტი პროგრამული კოდით 32 02 02 02** | 13,076,480 |